ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 24 დღე



№ 164 (12 540) 15 ივლისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

**ქუთაისის ტორპედო ალარ არსებობს**

მას ტორპედო 2008 ჩაენაცვლება »»» 4

**კარიერა ცალი ფეხით გავიარე**

ინტერვიუ არვიდას საბონისთან »»» 16

# მილანი, სიტი თუ მაინც ბარსელონა?

წუხელ, გვიან ღამით ცნობილი გახდა, რომ "ბარსელონამ" რონალდინიოს ულტიმატუმი წაუყენა. ფეხბურთელს მოსაფიქრებლად 72 საათი მისცეს. 3 დღის შემდეგ მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ერთი შეხედვით, ბრაზილიელს სამი არჩევანი აქვს: "მანჩესტერ სიტი", "მილანი" ან "ბარსელონა". როგორც ვთქვით, სიტის შესაძლებლობები ფორვარდს არ აკმაყოფილებს, "ბარსას" კი "მილანის" შემოთავაზებული თანხა არ მოსწონს. იოლი შესაძლებელია, გაუჩო კომპრომისზე არ წავიდეს და ინგლისში წასვლაზე უარი განაცხადოს. ალბათ, გაინტერესებთ, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში რა მოხდება. თუ "დიარიო მარკას" დავუჯერებთ, რონალდინიო "ბარსელონაში" დარჩება. როგორც ხედავთ, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს, რეალურად მხოლოდ ორი არჩევანი აქვს: ან "სიტი" ან "კამო ნოუ". ლაპორტა და ბეგირისტაინი ყოველდღე ჯიუტად ამბობენ, რომ 15 მილიონიან ტრანსფერს არაფრის დიდებით არ დათანხმდებიან. ნუთუ მართლა არსებობს იმის შანსი, რომ გაუჩომ ისევ "კამპ ნოუზე" გააგრძელოს კარიერა?

## 72 საათი გადაწყვეტილების მისაღებად





### ჟოან ლაპორტა

"მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა მზად არის, რომ 32 მილიონი ევრო გადაგვიხადოს. ჩვენთვის ეს სრულიად მისაღები თანხაა. ბრიტანელ კოლეგებს მაშინ შევხვდებით, როცა თავად მოისურვებენ. ეს საკითხი ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა.

»»» 6

პეკინი 2008

Beijing 2008

# ასი ათასი ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს

ნიკოლოზ ნეფარიძე

პეკინის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული ქართველი სპორტსმენი სახელმწიფოსგან ჯილდოდ 100 ათასი დოლარის შესაბამის თანხას მიიღებს, რაც ათენის ოლიმპიადასთან შედარებით ორჯერ გაზრდილი პრემიალურია. ამის შესახებ ოფიციალურად ოლიმპიური გუნდის საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე გაცხადდება. ხელცარიელები არც სხვა მედალოსნები დარჩებიან – ვერცხლის მედლის მფლობელი 70 ათასი დოლარით გამდიდრდება, ხოლო ბრინჯაოს მედალოსანი – 50 ათასი დოლარით. უპრემიოდ არ დარჩებიან ოლიმპიურ პრიზიორთა პირადი მწვრთნელები, ისინი თავიანთ შეგირდთა ჯილდოს ნახევარს მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პეკინში 32 ლიცენზიანტი წარადგენს. შესაძლოა, უახლოეს დღეებში მათ პლაჟის ფრენბურთის ქალთა გუნდი საქა-რთველო დაემატოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხიარული შემტევის თავგადასავალი

როცა ფეხბურთელზე კამათობენ, ის უკვე რეზონანსულია. რადგან რეზონანსულია, ის არ არის ჩვეულებრივი. რახან არ არის ჩვეულებრივი, ის არის საინტერესო...

**ბექა გოცირიძე** 16 წლის იყო, როცა მასზე კამათობდნენ. ბექა მაშინ თბილისის "ამერის" ფეხბურთელი იყო. იმ დროისთვის "ამერს" მკვეთრი გეზი ჰქონდა აღებული - 1988 წელს დაბადებული ყმაწვილებითა და ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელით დიდ საქმეს უნდა შესჭიდებოდა. გოცირიძე "ამერში" დიდ ხანს არ გაჩერდა, გუნდი მთავარმა მწვრთნელმა **გაიოზ დარსაძემ** დატოვა და გოცირიძის გარდა, "ამერს" კიდევ ერთმა საინტერესო ჭაბუკმა უგანა - **გიორგი განუგრავამ.**

აქედან სულ ცოტა ხანში ჩარხი ისე დატრიალდა, დარსაძე ეროვნული ნაკრების თავკაცი გახდა და გოცირიძე ერთხელ ეროვნულ გუნდშიც კი ათამაშა - ათენში, საბერძნეთთან (0:1) მატჩის ბოლოს შეცვლაზე შეუშვა.

ბევრი იყო საკამათო გოცირიძეზე. ზოგი ირწმუნებოდა, ეს ბიჭი წინ ვერასდროს წავაო, ზოგი ამბობდა, ამ ყმაწვილისთვის ჯერ ადრეა ეროვნულ ნაკრებში თამაშიო, ძალიან ცოტას კი სჯეროდა, რომ გოცირიძე ძალიან შორს გაალწევდა. მოკლედ, ბექაზე არცთუ ცოტას ბჭობდნენ და კამათობდნენ.

ახლა გოცირიძე "ზესტაფონისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია, ერთი-ორჯერ **კლაუს ტოპმიოლერმაც** კი მიიწვია ეროვნულ გუნდში, **პეტარ სეგრტმა** ის ნაკრების ბოლო ორ შეხვედრაში, ესტონეთთან და პორტუგალიასთან შეცვლაზე ათამაშა.

შეიძლება ითქვას, გოცირიძე ამასობაში სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი გახდა.

*"კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მაკავშირებს "ზესტაფონთან". ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასთან. ჩემთვის არავის უთქვამს, თუ კონტრაქტს არ გააგრძელებ, სათადარიგოთა სკამზე დაგსვამთო"*, - გვითხრა გოცირიძემ.

"ზესტაფონში" იყო არაერთი შემთხვევა, როცა ფეხბურთელს ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს, მაგალითად, გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **გოგი ფიფიას**, ვინაც უარი თქვა კლუბის მიერ შემოთავაზებულ ახალ პირობებზე და მისი არყოფნა წინა სეზონში ძალიან დააკლდა "ზესტაფონს" საჩემპიონო რბოლაში.

*"მე მაინც მგონია, რომ საჩემპიონო ბრძოლაში ის ტრადიციები დაგვაკლდა, რაც თბილისის "დინამოს" აქვს. ფეხბურთში ტრადიციები ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს. თანაც "დინამოს" საკუთარი ბაზა აქვს, ჩვენზე უკეთეს პირობებშია".*

როცა გოცირიძე "ამერიდან" წავიდა, "დინამოში" ჩარიცხვის შანსი გაუჩნდა, მაგრამ...

*"გასინჯვაზე ვიყავი "დინამოში" და დამიწუნეს. მიზეზი ვკითხე და მითხრეს, ძალიან ბევრს რატომ დარბიხარო. მარცხენა ფლანგზე გამამწესეს, მე კი ბურთს ვითხოვდი და აქეთ-იქით მიწევდა მოძრაობა."*

ძნელია იმის თქმა, ბექა "ამერში" რომ დარჩენილიყო, მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ - უარესი. ზოგადად, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის კარგი არ არის აქეთ-იქით რომ დადის გუნდის საძებნელად.

*"ამერში" 3+3 სისტემის კონტრაქტი შემომთავაზეს. 16 წლის ვიყავი და ასეთ ხანგრძლივ კონტრაქტზე უარი ვთქვი. დარსაძის რჩევით "ზესტაფონში" მივედი."*

გოცირიძე დარსაძის ჯილა იყო. ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებები - დარსაძე მას ყველგან ათამაშებდა, თუმცა...

*"ამდენ ნაკრებში თამაში ჩემთვის მართლაც მეტისმეტი იყო. მაშინ ბავშვი ვიყავი. დარსაძეს უნდოდა მე, განუგრავას და რატი წინამძღვრიშვილს ეროვნულ ნაკრებში ყოფნისა და თამაშის გამოცდილება მიგვეღო. ნაკრების ფეხბურთელებთან ვარჯიში ჩემთვის მართლაც სასარგებლო იყო. მაგრამ ატყდა ერთი ამბავი, ყველა იმას ამბობდა, ამ ახალგაზრდებს ეროვნულ ნაკრებში ჯერ რა ესაქმებათო. ამის გამო მართლა ვნერვიულობდი"*, - გვითხრა გოცირიძემ.

"ზესტაფონში" კი გოცირიძემ დაამტკიცა, რომ არ არის ჩვეულებრივი ფეხბურთელი. ძალიან საჭირო გოლები გაიტანა, მათ შორის წლევანდელი თასის ფინალშიც, როცა "ზესტაფონმა" 2:1 დაამარცხა "ამერი".

*"შეიძლება ითქვას, რომ "ზესტაფონში" ჩემი გუნდი ვიპოვე. ყველაფერი კარგად წამივიდა და დამდეგ სეზონში ძალიან მინდა, რომ "ზესტაფონთან" ერთად თასიც მოვიგო და ჩემპიონობაც".*

ვინძლო, 2008-09 ბოლო ზესტაფონური სეზონი გამოდგეს ბექასთვის, რადგან...

*"ცოტაც და "ზესტაფონიდან" ალბათ წავალ. როგორც ყველას, მეც უცხოეთში მინდა საკუთარი თავის გამოცდა. ყველაფერს დრო გვიჩვენებს, ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით, თუმცა რალაც შემოთავაზებები უკვე მაქვს. კარგი ტრანსფერისთვის აუცილებელია, რომ ეს სეზონი უწინდელზე უკეთესად ჩავატარო."*

გოცირიძე ჩია ალნაგობისაა, თუმცა ძალისმიერ ორთაბრძოლებში ჯაბანი არ არის და მაღალი ბურთისთვისაც შლეგად იბრძვის. დრიბლინგიც აქვს და საგოლე ალღოც, ტექნიკურიცაა და აგრესიულიც.

*"მაღალი არ ვარ და როცა მაღალ ბურთს მოვიგებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რალაც ხერხი ვიცი. უბრალოდ, კარგი ნახტომი მაქვს. ახლა ალბათ ყველა ხედავს, რომ თავით ცუდად ნამდვილად არ ვთამაშობ."*

მიმდინარე შესარჩევში ბექამ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ისეთი გოლი გაუტანა, სულში და გულში რომ ჩარჩება კაცს. გულშემატკივარსაც ყველაზე უფრო ამის გამო უყვარდება ფეხბურთი და ფეხბურთელი.

*"თამაშისთვის პეტარ სეგრტმა ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად მოგვამზადა, ქართველი ხალხის გულისთვის გადით მოედანზე და ითამაშეთო. ამ მატჩამდე ჯგუფში რუსეთს გოლი არ ჰქონდა გაშვებული, ჩვენ კი წინა შეხვედრა ყაზახეთთან 1:4 წავაგეთ. განწყობა მართლაც ბევრს ნიშნავს, სეგრტმა ისიც კი გვითხრა, თქვენი ოჯახებისთვის უნდა გახვიდეთ და გაიმარჯვოთო. 2:0 მოვიგეთ და ძნელად ვიჯერებდით, ეს რომ შევძელით. სექტემბერში რუსები გამწარებულები გველოდებიან. თუ იქაც მოვიგებთ, ჯგუფიდან გასვლის თეორიულ შანსს შევინარჩუნებთ. რუსეთს ბოლო ორი მატჩი ესპანეთთან აქვს და ვინ იცის, რა მოხდება."*

20 წლის გოცირიძეს ეროვნულ ნაკრებში უკვე ოთხი კეპი მოუნაგრია და ცხადია, ეროვნულ გუნდში ფეხის მოკიდებაზე სერიოზულად ფიქრობს.

*"ისეთი ფეხბურთელი არ ვარ, ფეხები ამიკანკალდეს, არაფერს და არავის შევუშინდები"*, - საკუთარ თავს ასედაც აგულიანებს გოცირიძე.

სანაკრებო პერიპეტიებამდე ბექას "ზესტაფონში" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი აქვს 17 ივლისს უნგრეთში იქაურ "დიორთან".

*"მართლა არის იმის შანსი, მომდევნო ეტაპზე რომ გავიდეთ, თანაც საპასუხო შეხვედრა ზესტაფონშია. "დიორთან" თავი უნდა დავდოთ, მაგრამ მხოლოდ ეს ალბათ, არ იქნება საკმარისი - უნდა გაგვიმართლოს კიდეც."*

სხვა რა გითხრათ, ბექა "მერსედესს" დააგელვებს და ტრენაჟორებზე სისტემატურად ვარჯიშობს. *"ძალაზე თუ არ ვიმუშავე, ვიცი, რომ არაფერი გამოვა, სახლშიც კი ვვარჯიშობ, ხანდახან იპოდრომზეც"*, - ამბობს გოცირიძე, ვინც საკუთარ თავს მხიარულ ადამიანად მიიჩნევს და ისიც კი გვითხრა, სმენა და ხმა არ მაქვს, მაგრამ, როცა გულს მოუნდება, ყოველთვის ვმღერივარ, სიმღერა ძალიან მიყვარსო.

**დავით თავართქილაძე**


ბექა გოცირიძემ საქართველოს თასის წლევანდელ ფინალში თავის ყოფილ გუნდ ამერს ეფექტური გოლი გაუტანა

ზესტაფონის მეტოქე

# იმერლებამდე კარპატული ფრე





ვარჯიში, თამაში და ავტოგრაფი - დიორის საზესტაფონო სამზადისი

"ზესტაფონის" სტუმრობამდე" უნგრული "დიორი" მზადებას განაგრძობს. "დიორ ეტომ" ამხანაგური მატჩი ლვოვის "კარპატთან" გამართა. მადიარები ლვოველებთან 1:1-ზე გაიყარნენ.

"დიორმა" "კარპატთან" შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: **სტეპანოვიჩი, პინტერი (65. ვიოლდი), ფობუმბოდი, სუპიჩი (55. ბანკი), ნიკოლოვი (55. პაკოლიჩი), ბიჩაკი, იაკლი, კოლტაი (55. პაკოლიჩი), ბოორი, ბაიჯატი, კოვაჩსი (65. ბრნოვიჩი).**

უნგრელებმა უკრაინელთა წინააღმდეგ 4-4-2 სქემით ითამაშეს. 30-ე წუთზე **კოვაჩსმა** გახსნა ანგარიში. 43-ე წუთზე კი ლვოველთაგან ფეჩსუკმა წონასწორობა აღადგინა და დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა. ლვოველებთან საკონტროლო მატჩის შემდეგ "დიორი" მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მზადება გააგრძელა. გუნდმა ღია ვარჯიშიც გამართა და გულშემატკივრებს ავტოგრაფებიც ბევრი რომ დაურიგა, კლუბის ოფიციალური ვებგვერდიდან აღებული ამ ფოტოებიდანაც ჩანს. ამასთან, "ზესტაფონთან" მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო. იმასაც შეგახსენებთ, რომ "დიორი"-"ზესტაფონის" მატჩი 17 ივლისს, "დიორი ეტო"-ზე ადგილობრივი დროით 20 საათზე (22 საათზე თბილისის დროით) დაიწყება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქეებმა, "ზესტაფონმა" და "დიორმა" ერთმანეთს ვიდეოინფორმაცია გაუცვალეს. ეს ცნობა იმერელთა კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემაც** დაგვიდასტურა.

*"კლუბებმა ერთმანეთში მოვილაპარაკეთ და თითო მატჩის ვიდეოფირი გავცვალეთ. უნგრელებმა გასული სეზონის მიწურულს "ვაშაშთან" ჩატარებული თამაში მოგვაწოდეს, რომელიც "დიორმა" შინ 2:1 მოიგო. ჩვენ "ბათუმთან" 0:0 ნათამაშები შეხვედრის ვიდეოჩანაწერი გავუგზავნეთ".*

"ზესტაფონი" უნგრეთში ხვალ გაემგზავრება.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე,** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.** ნომრის მორიგე რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# ფინკე დღეს კონტრაქტს მიიღებს




ფოლკერ ფინკე და ნოდარ ახალკაცი პირობებს ათანხმებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ეროვნული ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატი **ფოლკერ ფინკე** დღეს იმ კონტრაქტის სრულ პაკეტს მიიღებს, რომელზეც, შესაძლოა, "ფრაიბურგის" ყოფილ მწვრთნელს ხელმოწერა მოუწიოს. ამას გარდა, ფედერაციის ხელმძღვანელები სხვა კანდიდატებთან, **ექტორ რაულ კუპერთან** და **ავრაამ გრანტთანაც** განაგრძობენ მოლაპარაკებებს. ამის თაობაზე გუშინ, გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გვითხრა, რომ: *"შეთანხმებისამებრ, ფინკეს დღეს გავუგზავნით კონტრაქტის სრულ პაკეტს. უკვე ვესაუბრეთ ავრამ გრანტის წარმომადგენელს და მისგან სხვალ გავიგებთ, თუ როდის ჩამოვა გრანტი თბილისში. ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, "ჩელსის" ყოფილი თავკაცის ვიზიტი "დინამო"-"რუნავიკის" მატჩს დამთხვეოდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ვერ მოხერხდება. ამ ორ დღეში ველოდებით პასუხს ექტორ რაულ კუპერისგანაც".*

საინტერესოა, თუ რა მოთხოვნას უყენებს ნაკრების მომავალ თავკაცს ფეხბურთის ფედერაცია. როგორც გავიგეთ, ხელშეკრულების საკვანძო დეტალები ბონუსების სისტემა და საქართველოში ცხოვრების აუცილებლობაა.

"ნაკრების ახალი თავკაცი მომდევნო შესარჩევი ციკლის ბოლოს ბონუსების მიხედვით მიიღებს ფულს. საბონუსო თანხა კი საბოლოო ცხრილში ადგილების მიხედვითაა დაყოფილი. ამას გარდა, ნაკრების მწვრთნელი ვალდებულია, საქართველოში იცხოვროს. ზაფხულში და შობას შეუძლია შვებულება აიღოს, საქართველოში კი მინიმუმ 200 დღე უნდა გაატაროს", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

დინამოს მეტოქე

# რუნავიკი თბილისშია

## მილანითა და პოტიომკინით

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქე, ფარერების ჩემპიონი "რუნავიკი" გუშინ გვეწვია. სტუმრები სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდნენ. კუნძულელები ერთობ მონდომებულები რომ ჩანან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ "რუნავიკმა" გუშინ ვარჯიშიც მოასწრო. ფარერელებმა დილომში, "ოლიმპიკის" სპორტკომპლექსში მსუბუქი წვრთნა გამართეს.

"დინამოს" მეტოქე თბილისში კარგი განწყობით ჩამოფრინდა. ბოლოს გამართულ შეხვედრაში "რუნავიკმა" HB 1:0 დაამარცხა. გოლი კი მატჩის მე-20 წუთზე **იოჰან ტროესტ დავიდსენმა** გაიტანა.

რუნავიკმა" შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

ტორდური, ოილი, დავიდსენი, ეინარი, იონ ტორი (60. პოლ იოჰანუსი), ნენადი, ბოგი, მილანი, იალგრუმი, ოისური (90. ფილიპი), პოტიომკინი.

დღეს მეტოქეები მატჩამდე ბოლო ვარჯიშს გამართავენ. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე "რუნავიკი" ივარჯიშებს, 19 საათზე კი თბილისის "დინამო".

მატჩი კი 16 ივლისს 18 საათზე დაიწყება. შეხვედრას სერბი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი **ნინოსლავ სპასიჩია**, ასისტენტები **ვლადიმირ იოვანოვიჩი** და **სედომირ მილიჩი**. მეოთხე არბიტრი **მილორად მაზიჩი** გახლავთ. უეფას დელეგატად კვიპროსელი **ანდრეას აკელიდესია** წარდგენილი, ხოლო უეფას დამკვირვებლის ფუნქციას ბულგარელი **სტეფან ორმანდიევი** შეასრულებს.

**დავით ცაბაძე**



იოჰან დავიდსენს გოლს ულოცავენ

## უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

CHAMPIONS LEAGUE

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

16 ივლისი 18:00 საათი

**დინამო (თბილისი)** VS **რუნავიკი (ფარერები)**

ბილეთის ფასი: 3, 5 და 7 ლარი

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "დინამო" (თბილისი)-"რუნავიკი" (ფარერები) მატჩზე აკრედიტაციის მსურველმა ჟურნალისტებმა უნდა მოგვმართონ 16 ივლისის 14 საათამდე.**

ს. კ. "დინამო თბილისის" პრესცენტრი

ვიტ ჯორჯიას მეტოქე

# ტრნავამ კარში კრალი ჩააყენა



ივიცა კრალი

*"უეფას თასისა და გორდონლიგის მზადებაში მყოფი ტრნავას "სპარტაკი" უკვე კარგა ხანია ეძებს მეკარეს და საიმედო გოლკიპერიც გადაიბირა,"* - ამ სიტყვებით იწყებოდა გუშინ ერთ-ერთი უნგრული ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. დიახ, ვიტ ჯორჯიის მეტოქე სლოვაკურ "სპარტაკს" მართლაც კარგი გოლკიპერი დაემატა, 35 წლის სერბი **ივიცა კრალი** უკვე ტრნავაშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. სლოვაკური კლუბის თავკაცები აცხადებენ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კრალი უეფას განაცხადში შევიყვანოთ და 17 ივლისს "ვიტ ჯორჯიასთან" თამაში შეეძლოსო. კრალი, რომელიც ბელგრადის "პარტიზანში", "პორტუში", "პსვ ეინდჰოვენსა" და "როსტოვში" ასპარეზობდა, უკვე სლოვაკურ "სპარტაკში" ვარჯიშობს.

სლოვაკეთში ახალი სეზონი 19 ივლისს იწყება და "სპარტაკს" პირველი ტურის მატჩი შინ "დუბნიცასთან" უწევს. მანამდე კი ტრნაველებმა დასკვნით საკონტროლო შეხვედრაში "ჟიჟკოვი" შინ 2:0 დაამარცხეს. ორივე გოლი მცველ **პეტერ დოლეჟაის** ანგარიშზეა. "სპარტაკმა" ამ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჰრდინა, პონჩაკი, დოლეჟაი, ციფერსკი, ჰანცელი, კოპუნეკი პერეცი, ფილიპოვიჩი, კოჟუჩი.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **პროჩაშკა, ტომჩაკი, ბემატი, კოპოჩკა, ჰლავატოვიჩი, გულდანი, მიჩიჩი, ვანაკი.**

"სპარტაკმა" კლასიკური 4-4-2 სქემა აირჩია და განლაგება მეორე ტაიმშიც არ შეუცვლია.

ტრნავას "სპარტაკის" ოფიციალურმა ვებგვერდმა წუხელ უეფაში გაგზავნილი განაცხადი (ფეხბურთელთა მუდმივი ნომრების თანხლებით) გამოაქვეყნა. ტრნაველთა სერბ თავკაც **ვლადიმირ ვერმაზოვიჩის** გუნდის საევროპო განაცხადი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **1. ივიცა კრალი (სერბეთი), 22. ლადისლავ რუზანსკი, 30. მიროსლავ ჰრდინა.**

მცველები: **2. ივან ციფერსკი, 3. პეტერ დოლეჟაი, 4. ტომაშ ჰანცელი, 7. ვლადიმირ პონჩაკი, 12. პეტერ იაკუბიჩკა, 26. ბაბაქარ ნიანგი (სენეგალი).**

ნახევარმცველები: **5. კარლოს პერეს გარსია (ესპანეთი), 6. რომან პროჩაშკა, 8. პეტერ დურიში, 10. ნებოისა იელენკოვიჩი (სერბეთი), 14. კამილ კუპუნეკი, 16. პაველ დევატი (ჩეხეთი), 17. მარტინ ჰრუშკა (ჩეხეთი), 20. პავოლ კოპაჩკა, 23, ლუკაშ ჰლავატოვიჩი.**

თავდამსხმელები: **9. ვლადიმირ კოჟუჩი, 11. მარიან ტომჩაკი, 15. ლუბომირ ბერნატი, 19. ბორივოე ფილიპოვიჩი (სერბეთი), 21. ალექსეი ედუნოვი (რუსეთი), 24. მარტინ გულდანი.**

"ვიტ ჯორჯია" სამშობლოში განაგრძობს მზადებას. **რამაზ მუმლაძის** გუნდი სლოვაკეთში დღეს გაემგზავრება. "სპარტაკსა" და "ვიტ ჯორჯიას" მატჩი 17 ივლისს ტრნავაში, "ანტონ მალატინჩენკოზე" ადგილობრივი დროით 20:15 საათზე (თბილისის დროით 22:15 სთ-ზე) დაიწყება.

**დავით ცაბაძე**



# ისტორია დასრულდა, ისტორია იწყება

## ტორპედოს ტორპედო 2008 ჩაენაცვლა

ქუთაისელებმა ახალ ლოგოზეც უნდა იზრუნონ

გუშინ, კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ, რომელიც ქართული საკლუბო ფეხბურთის, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს. არც მეტი არც ნაკლები - მდიდარი ტრადიციების მქონე ქუთაისის "ტორპედომ" ფუნქციონირება შეწყვიტა. ამასთან დაკავშირებით ენაწყლიანმა ქუთაისელებმა სიტყვა დაასველეს - დიდი კლუბის დიდი ისტორია დასრულდა და ახალი კლუბის ახალი ისტორია იწყებაო... დიახ, ქუთაისის "ტორპედოს" ახლადშექმნილი საფეხბურთო კლუბი "ტორპედო 2008" ჩაენაცვლა პირველ ლიგაში. ეს ცნობა გუშინ, ქუთაისური, უკვე ყოფილი კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმაც დაგვიდასტურა. მოგვიანებით კი პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა, ამავე სახის ინფორმაცია გაავრცელა.

*"ფინანსური პრობლემების გამო, ჩვენმა კლუბმა ფუნქციონირება შეწყვიტა. "ტორპედოს" ნაცვლად პირველ ლიგაში ახალი კლუბი, "ტორპედო 2008" იასპარეზებს, რომელიც ახლახან ჩამოყალიბდა"*, - გვითხრა გუშინ ქუთაისში დაკავშირებისას **პაპუნა მელაძემ**, რომელიც აწ უკვე დაშლილ "ტორპედოში" გუნდის უფროსი გახლდათ.

ბუნებრივია, ახალი გუნდითაც დავინტერესდით და კლუბის გენერალურ დირექტორ **ვახტანგ კეკუას** დავუკავშირდით.

*"ქუთაისის "ტორპედო" მდიდარი ტრადიციების მქონე კლუბი იყო. სამწუხაროდ, ამ კლუბმა არსებობა შეწყვიტა. მოგეხსენებათ, ქუთაისში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ადგილობრივი ვეტერანი ფეხბურთელების, ქომაგებისა და საერთოდ, საზოგადოების თხოვნით, ახალი კლუბი, "ტორპედო 2008" დავაფუძნეთ. კლუბს ქუთაისის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს და პირველ ლიგაში ვიასპარეზებთ. ფეხბურთელებს შერჩევის პრინციპით მივიღებთ. ჯერ გუნდს მთავარი მწვრთნელიც არ ჰყავს, მაგრამ მალე ეყოლება. მერე კი ფეხბურთელებს შევარჩევთ და ახალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებთ. მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში, ამბიციური მიზნები არ გვექნება. გვინდა, ადგილობრივი კადრით, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბოთ."*, - "ლელოსთან საუბარში განაცხადა გენერალურმა დირექტორმა კეკუამ.

**დავით ცაბაძე**

სიონი. სამზადისი

# გონჩაროვი ბოლნისიდან წავიდა

## კორღალიძემ 19 ფეხბურთელი შეარჩია



ბოლნისის "სიონმა" გუშინაც "რატევანის" ბაზაზე ივარჯიშა. **ოთარ კორღალიძის** მიერ ჩატარებულ წვრთნაში ორ ფეხბურთელს არ მიუღია მონაწილეობა. როგორც გაირკვა, მეკარე **ზურაბ მამალაძეს** ფეხის მსუბუქი ტრავმა აქვს. ფორვარდ **ბორის გონჩაროვისა** და "სიონის" გზები კი გაიყარა. ისიც გავიგეთ, გასულ სეზონში "ამერში" მოასპარეზე ფეხბურთელები შესაძლოა, ბოლნისელთა გუნდში ვიხილოთო. საუბარია, მცველ **ლადო კაკაშვილზე**, ნახვარმცველ **გივი დიდავასა** და ფორვარდ **სულიკო დავითაშვილზე**. თუმცა, როგორც გავიგეთ, "სიონს" კი აქვს ამ ფეხბურთელების აყვანის სურვილი, მაგრამ თბილისელები გუნდის საკვანძო მოთამაშეებს ასე იოლად ვერ შეელევიან.

დღეს დილიდან "სიონის" ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. ნაშუადღევს კი გუნდი გეზს დასავლეთისკენ აიღებს. 29 ივლისის ჩათვლით ბოლნისელები გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე მოემზადებიან.

."სიონის" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ გრიგოლეთში გასამგზავრებლად უკვე შეარჩია ფეხბურთელები.

მეკარეები: **მამალაძე, ბობლიაშვილი, გურგენიძე.**

მცველები: **სვანიძე, ქემოკლიძე, ოქროპირიძე, ხუბუა, სილაგაძე, ზ. ჭელიძე.**

ნახევარმცველები: **ქურასბედიანი, სანიკიძე, ბაჯელიძე, ავალიანი, ვაშეკიძე, ბ. ნოზაძე, ნაყოფია.**

თავდამსხმელები: **შ. ჯიქია, ი. შენგელია, ჯიქიძე.**

გრიგოლეთში ბოლნისელები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. "სიონი" 17 ივლისს თბილისის "ლოკომოტივს" გაეჯიბრება, 18-ში ლანჩხუთის "გურიას", 20-ში ზუგდიდის "ბაიას", 24-ში საჩხერის "ჩიხურას" , 27 ივლისს კი რუსთავის "ოლიმპს".

**დავით ცაბაძე**

# ქინქლაძე ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში



აბა, დაფიქრდით, **გიორგი ქინქლაძის** ხსენებაზე უპირველესად, რა ასოციაციები ალგეძრებათ? რა თქმა უნდა, სინანული.

ჩვენი ფეხბურთის შეუმდგარი ვარსკვლავი ინგლისშიც მშვენივრად ახსოვთ, მიუხედავად იმისა, რომ "მანჩესტერ სიტიში" მის მიერ ჩატარებული საოცარი სეზონიდან მთელი 12 წელიწადია გასულა.

ახსოვთ და საქართველოს ნაკრების ყოფილი პლეიმეიკერი ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ლეგიონერებშია. ასეული ჟურნალმა "ფოურ ფოურ თუ"-მ ფეხბურთის სპეციალისტებისა და ფანების გამოკითხვის შედეგად შეადგინა.

პირველ ადგილზე **ერიკ კანტონა** გავიდა, რომელმაც "მანჩესტერ იუნაიტედში" მშვენიერი ფეხბურთ აჩვენა.

ათეული ასე გამოიყურება:

1. ერიკ კანტონა – (**"ლიდსი", "მანჩესტერ იუნაიტედი", საფრანგეთი)**
2. დენის ბერგკამპი – (**"არსენალი", ჰოლანდია)**
3. ტიერი ანრი – (**"არსენალი", საფრანგეთი)**
4. ჰენრიკ ლარსონი– (**"სელტიკი", "მანჩესტერ იუნაიტედი", შვედეთი)**
5. ჯანფრანკო ძოლა – (**"ჩელსი", იტალია)**
6. პეტერ შმეიხელი– (**"მანჩესტერ იუნაიტედი", "ასტონ ვილა", "მანჩესტერ სიტი", დანია)**
7. ოსვალდო არდილესი – (**"ტოტენჰემი", "ბლექბერნი", "ქპრ", "სუინდონი", არგენტინა)**
8. კრიშტიანუ რონალდუ – (**"მანჩესტერ იუნაიტედი", პორტუგალია)**
9. იურგენ კლინსმანი – (**"ტოტენჰემი", გერმანია)**
10. პატრიკ ვიეირა – (**"არსენალი", საფრანგეთი)**

გიორგი ქინქლაძე ოცდამეთვრამეტე ადგილზე გავიდა და უკან ჩამოიტოვა წარსულის თუ თანამედროვეობის მრავალი აღიარებული ვარსკვლავი: **პეტერ ჩეხი, ჯეი ჯეი ოკოჩა, სემი ჰიიპია, სესკ ფაბრეგასი, იური ჯორკაეფი, მარკ ოვერმარსი, ემანუელ პეტი, დიტმარ ჰამანი, ეიდურ გუდიონსენი, დიმიტარ ბერბატოვი მარკ ვიდუკა, ჰარი კიუელი, ფრანკ ლებეფი, ბენიტო კარბონე, კლაუდიო კანიჯა, ტორე ანდრე ფლო, ნვანკვო კანუ** და ა.შ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ქართველი ჩეხები ემზადებიან



დიმიტრი ტატანაშვილი

2 აგვისტოს ჩეხეთში იწყება მორიგი სეზონი, გამბრინუს ლიგის 16 კლუბიდან ორი „ქართულია" – პლზენის „ვიქტორიას" ღირსებას **დიმიტრი ტატანაშვილი** დაიცავს, ხოლო „მლადა ბოლესლავში" კარიერას **გიორგი განუგრავა** გააგრძელებს. კლუბები აქტიურად ემზადებიან სეზონისთვის. „ვიქტორია" ბუქარესტის „სტიაუას" შეხვდა და 1:1 დაუზავდა. პირველი გოლი ჩეხებმა გაიტანეს – საჯარიმოში **რეზეკის** ჩაწოდებულს თავი ტატანაშვილმა დაუხვედრა და **ტრაპმა** უძლიერესად გაისროლა. 63-ე წუთზე დიმიტრი ტატანაშვილი **ვერადიმ** შეცვალა.

**გიორგი განუგრავას** „მლადა ბოლესლავი" ჩეხურ „ბოჰემიანსს" უგოლოდ დაშორდა – 0:0. გიორგი 71-ე წუთზე გამოჩნდა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე **რაინოხი** შეცვალა. პირველ ტურში პლზენის „ვიქტორია" ჟიჟკოვის „ვიქტორიას" უმასპინძლებს, ხოლო „მლადას" გასვლითი მატჩი ელის პრაღაში „სპარტასთან".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მარჯვნივ გიორგი განუგრავა

# ამისულაშვილის ათი ნაკერი

„ტომთან" საგარეო მატჩში (0:1) **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ტრავმა მიიღო, მან საჰაერო დუელში თავი გაიტეხა. ექიმებმა ქართველს ათი ნაკერი დაადეს. ასე რომ, ამისულაშვილის ჯანმრთელობით ნალჩიკის „სპარტაკის" ხელმძღვანელობა გარისკვას არ აპირებს – ის უახლოეს ტურში, „კრილია სოვეტოვთან" არ ითამაშებს.

# ნაგებული რეპეტიცია

სლოვაკეთის ჩემპიონატისთვის აგრძელებს მზადებას ბრინჯაოს პრიზიორი „ნიტრა". ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპიდან „ნეფთჩის" მიერ გაგდებული გუნდი ჩეხურ „ოპავას" გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა. ეს ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიცია იყო, რადგან 19 ივლისს, პირველ ტურში „ნიტრა" „სტრედას" ხვდება. ჩეხებთან ტესტ-მატჩში **ირაკლი ლილუაშვილი** სათადარიგო იყო, მან მეორე ტაიმში ითამაშა. „ნიტრამ" გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაუშვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგლები და ბაია ვერ გაერთიანდნენ

## სიჭინავამ პირველი ლიგა ამჯობინა

ადრეც გაუწყეთ, რომ ორი ზუგდიდური კლუბი, პირველი ლიგის "ბაია" და უმაღლესი ლიგის "მგლები" გაერთიანებას აპირებდნენ.

სიახლეების შესატყობად, ჯერ ფინანსური პრობლემებით დახუნძლული "მგლების" ყოფილ მთავარ მწვრთნელ ბესიკ შეროზიას დავუკავშირდით, შემდეგ კი მის პრეზიდენტ ლაშა დარასელიას. მათი საუბრიდანაც ჩანს, რომ ზუგდიდში საფეხბურთო ცხოვრება ყოველდღიურად ისე იცვლება, რომ გუნდის წევრებმაც ბოლო მომენტამდე არ იცოდნენ, რა ხდებოდა.

"მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია თანამდებობიდან გადადგა და ჩვენც მიმდინარე მოვლენებზე ვესაუბრეთ.

**- ბატონო ბესო, სადაცაა სეზონი დაიწყება, ზუგდიდი კი უმაღლეს ლიგაში რომელი გუნდით ითამაშებს, ჯერაც გაუგებარია.**

- მე არც ვიცი, რა გითხრათ. 25 ივნისს განცხადება დავწერე და "მგლების" მწვრთნელობიდან გადავდექი.

**- კი მაგრამ, ისიც არ იცით, "ბაია" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს თუ არა?**

- წარმოდგენა არ მაქვს. გუნდი იმიტომაც დავტოვე, რომ გაურკვევლობას უმუშევრობა მერჩივნა. მე მხოლოდ გავიგე ის, რომ რეგიონალლიგიდან პირველ ლიგაში გადასულ "ბაიაზე" ყველა იძახის, უმაღლესში ითამაშებსო.

**- მგლებში" ფეხბურთელები დარჩნენ?**



მგლები ისევ ფულს და პატრონს ელიან



ზვიად სიჭინავა



ბესიკ შეროზია

- "ბაიაშია" ჩვენი ბევრი ფეხბურთელი: ექონია, ვართაგავა, კუტალია, ჟვანია, წურწუმია, ივარდავა; "გაგრაშია" გიორგი გაბედავა; "ოლიმპში"ნოდარ მაჭავარიანი, მურთაზ კაკაბაძე კი უცხოეთში წასვლას აპირებდა.

გუშინვე, მოგვიანებით "მგლების" პრეზიდენტ ლაშა დარასელიას ვესაუბრეთ, რომელიც უკრაინიდან სწორედ გუნდთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტდა და რაც მთავარია, ბოლო ამბები გაგვიმხილა.

**- ბატონო ლაშა, "მგლები" უმაღლესში ითამაშებს?**

- დიახ, ეს გადაწყვეტილი საკითხია. გუშინ კიევიდან დავბრუნდი და არ მოვეშვები, სანამ გუნდს პატრონს არ მოვუნახავ. მაქვს უკრაინელი ბიზნესმენების იმედი, თუმცა, მოსკოვში, მგონი, უფრო რეალური პარტნიორი მოვძებნე.

**- "ბაიას" პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ვერ შეუთანხმდით?**

- არა, ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა.

**- რატომ, რაზე ვერ შეთანხმდით?**

- ზვიადმა მითხრა, რომ უმაღლესი ლიგის ბიუჯეტი არ აქვს.

**- კი მაგრამ, "მგლებიდან" ნახევარი გუნდი "ბაიაში" გადავიდა და ფული არ აქვს?**

- "ბაიაში" მხოლოდ სამი კაცი დატოვეს, დანარჩენი გამოუშვეს.

**- "მგლები" მაინც დასუსტებულია...**

- კი, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი თბილისში შევიგულე და უიმედოდ არ ვარ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფუტბალის ნაკრებს დამრიგებელი შეუცვალეს

## ასათიანი ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია

საქართველოს ფუტზალის ნაკრებმა, თითქოს, ეროვნულ გუნდს უსახურ და სამარცხვინო გამოსვლაში მხარი აუბა და ისეთი შედეგებით დაასრულა ბოლო რამდენიმე მატჩი, იმის იქით სირცხვილიც აღარაა.

ეს მხოლოდ ფუტზალელების სადარდებელი არაა, ამას გაცილებით ღრმა ფესვები გააჩნია, რომელიც საფუძვლის არარსებობის გამო შეიქმნა და ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები გარემოებების მსხვერპლნი გახდნენ.

თუკი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ფუტზალი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ხელშეწყობაც არ აკლდა, ბოლო წლებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. კიდევ კარგი, რომ ეს სახეობა საქართველოში, მაინცდამაინც, პოპულარული არაა, თორემ გულის ხეთქვა მერე გენახათ – დიდი ანგარიშით წაგება ფუზალის ნაკრებს ჩვევად ექცა. ეს არაა ცინიზმი, სამწუხარო რეალობაა და უნდა ითქვას.

ეროვნულ ნაკრებს მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს – **პეტრე თაბუკაშვილმა** აღარ ისურვა მუშაობა და მის ადგილას საქართველოს ფუტზალის ლიდერი გუნდის, "ყაზბეგისა" და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი **ავთანდილ ასათიანი** დანიშნეს.

ავთანდილ ასათიანი შემთხვევითი კანდიდატურა არაა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 29 წლისაა, ის გამოცდილი მწვრთნელია: ბოლო ოთხი წელია, გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი და ლიდერია.

**ბექა კვიციანი**, ფუტზალის ფედერაციის გენერალური მდივანი ასათიანის დანიშვნის მიზეზებზე გვესაუბრა.

*"ფუტზალის ასოციაციამ ჩათვალა, რომ ახალგაზრდა კადრებისთვის უნდა მიეცა გასაქანი. ეს ჩვენი ახირება არაა. ბევრი ქვეყანა მსგავს გზას დაადგა და არაფერი წაუგიათ – ესპანეთს, პორტუგალიას, რუსეთს, ხორვატიას, სერბეთს...*

*ავთანდილ ასათიანის დანიშვნა იმან გადავწყვეტინა, რომ დიდი ხანია საქარველოს ნაკრებში თამაშობს, ბოლო ერთი წელი მისი კაპიტანი იყო, გამოცდილებაც გააჩნია და ის ავტორიტეტიც, რომელიც მთავარ მწვრთნელს სჭირდება.*

*პეტრე თაბუკაშვილი ერთდროულად ეროვნულ ნაკრებსაც ავარჯიშებდა და ახალგაზრდულსაც და თავად გადაწყვიტა მხოლოდ ახალგაზრდულში დარჩენა და მომავალ თაობაზე აქცენტის გაკეთება. დარწმუნებული ვარ, ქართული ფუტზალისთვის იქ გაცილებით მეტს გააკეთებს",* - გვითხრა კვიციანმა.

ავთანდილ ასათიანი მშვენივრად აცნობიერებს, რა მძიმე ტვირთს შეეჭიდა, მაგრამ იმედიანადაა განწყობილი და სჯერა, რომ ნაკრების მოფერიანებას მოახერხებს.

**- ავთანდილ, ფუტზალის ნაკრების მწვრთნელობა იმ ქვეყანაში, სადაც ის ძლივს სულდგმულობს, დიდი რისკია. მუშაობას რის იმედად დათანხმდით?**

- მესმის ეს სირთულეები, მაგრამ მე ნდობა გამომიცხადეს. ფუტზალის ასოციაციამ და ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ჩემი კანდიდატურა გაიზიარეს და ამისთვის მათ მადლობა მინდა გადავუხადო.

პეტრე თაბუკაშვიულმა ძალიან რთულ დროს აილო საკუთარ თავზე ეს ტვირთი და ნაკრები არ მიატოვა. მინდა, რომ ნაკრები გარკვეულ დონეზე მივიყვანო. ვერ დავიკვეხნი, რომ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ვარ, მაგრამ კურსებზე და უეფას ორგანიზებულ სემინარებზე სიარულსა და სწავლას ვაპირებ. ისედაც არ ვარ გამოუცდელი, მთელი ოთხი წელია, რაც მოთამაშე-მწვრთნელობას ვითავსებდი.

და მეორეც – არ მინდა შევრცხვე და საამისოდ, მთელ ძალასა და ენერგიას დავხარჯავ.

ნაკრების შემადგენლობა როდესაც გამოიკვეთება, მერე საქმის გამოსწორებაზეც ვიფიქრებთ. ყოველ შემთხვევაში, იმედიანად ვარ და მჯერა, 1:8 და 1:14 აღარ წავაგეთ და საქმე გამოსწორდება.

**- გამოსასწორებელი ისაა, რაც არსებობს, საქართველოში კი, ასე მგონია, ფუტზალი არ არსებობს.**

- მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში ვართ, ამაში გეთანხმებით და მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაკრებში კონკურენციაა გასაზრდელი. ამის გარეშე შედეგზე ფიქრი არ შეიძლება.

**- დიდი ფეხბურთიდან ხალხის დამატებაზე არ გიფიქრიათ?**

- როგორ არ მიფიქრია. კონკრეტული ჩანაფიქრიც გამაჩნია, მაგალითად, კახა ახალაძე და მიხეილ მაზიაშვილი მინდა დავიმატო. ასეთი გამოცდილი და ტექნიკური ფეხბურთელები, დარწმუნებული ვარ, ნაკრებს დიდ სარგებლობას მოუტანენ. მინიფეხბურთს ორივე ძალიან მაგრად თამაშობს და ის თვისებები გააჩნიათ, რაც ნაკრებში პრობლემატურია.

**- მართალია, თითქოს, ნაკრებში ნატურალიზირებული ბრაზილიელის თამაშს აპირებთ?**

- დიახ, ასეა. ჩვენთან "ყაზბეგში" ბრაზილიის 6-გზის და საქართველოს ორგზის ჩემპიონი თამაშობს, ელიას ანდრე ფილო და მისი დამატება გვსურს, თავადაც, რა თქმა უნდა, თანახმაა. პასპორტი უნდა გავუკეთოთ და ვათამაშებთ. ელიასი საკმაოდ ხისტი და საიმედო მცველია. ჩვენს ნაკრებს ის ძალიან გამოადგება.

**- სხვა უცხოელების ნატურალიზაციასაც ხომ არ აპირებთ?**

- ამ ეტაპზე არა და შემდეგ ვნახოთ.

**- ეროვნულ ჩემპიონატში რამდენი გუნდი მონაწილეობს?**

- ოთხი.

**- მერე, ამ ოთხი გუნდიდან ნაკრებში ვინ უნდა აიყვანოთ? საერთოდ, კონკურენცია არსებობს?!**

- ალბათ, წლეულს მონაწილეთა რაოდენობა რვამდე გაიზრდება და კანდიდატების შერჩევა გამიადვილდება. სხვა გამოსავალი არაა.

სამწუხაროდ, ქართული ბიზნესი ფუტზალით კი არა, კლასიკური ფეხბურთითაც იშვიათად ინტერესდება და ეს ყველას სერიოზულ პრობლემას გვიქმნის.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# რონალდინიოს ულტიმატუმი წაუყენეს

## 72 საათი გადაწყვეტილების მისაღებად

მაშინ, როცა მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერისკენ არის მიპყრობილი, "ბარსელონაში" ახალი საპნის ოპერა დაიწყო. საუბარი, რა თქმა უნდა, **რონალდინიოზეა**. ყველამ კარგად იცის, რომ გაუჩოს კატალონიური ხანა დასასრულს მიუახლოვდა და ის სხვა კლუბში წასასვლელად ემზადება. ორი წლის წინ მას არავინ გაყიდდა, მაგრამ ბრაზილიელი ტრანსფერზე მაშინ რომ დაეყენებინათ, "ბარსას" კარს მსოფლიოს უმდიდრესი კლუბები მიაწყდებოდნენ და **ჟოან ლაპორტას** ათობით მილიონ ევროს შეთავაზებდნენ... მაგრამ 2006 წლის შემდეგ რონალდინიოს დიდი ფეხბურთი, ფაქტობრივად, აღარ უთამაშია. ბრაზილიელი ვარსკვლავი ფორმიდან ამოვარდა და თანდათანობით "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მარტივად რომ ვთქვათ, ერთ დროს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი მეტისმეტად გაუფასურდა. ბევრისთვის პარადოქსი იქნება, თუმცა ფაქტია, რონალდინიოსთან თანამშრომლობის სურვილი ახლა მხოლოდ ცალკეულ კლუბებს უჩნდებათ.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, დღეისათვის სამხრეთ-ამერიკელი ვარსკვლავის შეძენას ორი გუნდი ცდილობს: "მილანი" და "მანჩესტერ სიტი". საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ინგლისური გუნდი "ბარსას" 32 მილიონ ევროს სთავაზობს. ბევრს ამ ინფორმაციის სიზუსტე არ ეჯერა, მაგრამ გუშინ "ბარსელონის" პრეზიდენტმა მანჩესტერელთა დაინტერესებისა და 32 მილიონი ევროს შეთავაზების ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. ჟოან ლაპორტამ ამ საკითხზე კატალონიის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა: "ამჯერად ფეხბურთელისა და კლუბის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. რონალდინიოს წასვლა უნდა. ჩვენ კი მის გაყიდვას არ ვეწინააღმდეგებით, თუმცა ზოგიერთ ჟურნალისტს ძალიან უნდა, საზოგადოება დააჯეროს, რომ გაუჩო "ბარსას" ხელმძღვანელობამ მოიძულა. ეს მტკნარი სიცრუეა და სხვა არაფერი. რონალდინიო ქებისა და მადლობის მეტს არაფერს იმსახურებს. ჩვენს გუნდს მან უამრავი წარმატება მოუტანა. მის გარეშე ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდებოდა. ამიტომ რონალდინიო ღირსეულად უნდა გავაცილოთ. როცა გაცილებაზე ვსაუბრობ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ, რომ საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება მივიღეთ. "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა მზად არის, რომ 32 მილიონი ევრო გადაგვიხადოს. ჩვენთვის ეს სრულიად მისაღები თანხაა. ბრიტანელ კოლეგებს მაშინ შევხვდებით, როცა თავად მოისურვებენ. ეს საკითხი ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა."

ლაპორტას აღფრთოვანება გასაკვირი სულაც არ არის. პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უთამაშებელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 32 მილიონ ევროს შეთავაზებდნენ. ცხადია, მას ურჩევნია ბრაზილიელი ნისლიან ალბიონზე გააგზავნოს. როგორც მოგახსენეთ, გაუჩოს "მილანი" სთავაზობს კონტრაქტს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ იტალიელები "მანჩესტერ სიტისგან" განსხვავებით მხოლოდ 15 მილიონ ევროს იმეტებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ლაპორტას არჩევანი გაკეთებული აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად რონალდინიოს "მანჩესტერ სიტის" ვარიანტი დიდად არ ხიბლავს. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთამერიკელი ველარ ბრწყინავს, მის ამბიციას მისხალიც არ მოკლებია. ფეხბურთელს ისევ მსოფლიო დონის გრანდში თამაში სურს. დასამალი არ არის, რომ შესაძლებლობების თვალსაზრისით "მილანი" "სიტიზე" ორი თავით მაღლა დგას. იტალიური და ესპანური პრესის მტკიცებით, რონალდინიოს სწორედ "სან სიროზე" თამაში სურს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ფორვარდს მანჩესტერელებისთვის პასუხი ჯერ არ გაუცია.



### მანჩესტერ სიტი, მილანი, თუ ისევ ბარსელონა?

კატალონიის რადიოს ეთერში ლაპორტა ძალიან სასიამოვნო ტონით საუბრობდა. ვინც მას მოუსმენდა, იფიქრებდა, რომ პრეზიდენტი რონალდინიოს კეთილდღეობაზე ფიქრში ღამეებს ათენებს, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ გახლავთ. როგორც კი ბრაზილიელმა ჭოჭმანი დაიწყო და "მილანისკენ" გადაიხარა, ესპანური გრანდის ხელმძღვანელობის რეაქციამ არ დაახანა. გუშინ დილით **რობერტო დე ასისი** "ბარსას" გენერალურ დირექტორს, **ჩიკი ბეგირისტაინს** შეხვდა და პირდაპირ უთხრა, რომ მის ძმას "მილანში" თამაში ურჩევნია. საუბრის სხვა დეტალები უცნობია, თუმცა სავარაუდოდ, ესპანელსა და ბრაზილიელს სხვა საკითხზე არც ულაპარაკიათ. შეხვედრიდან გამოსულმა ბეგირისტაინმა ჟურნალისტებს ჩქარი ნაბიჯით აუარა გვერდი. ინტერვიუზე დე ასისმაც უარი განაცხადა. პრესის წარმომადგენლებს მაშინვე ეჭვი გაუჩნდათ და თავიანთი გაზეთების ვებ-გვერდებზე დაწერეს, "ბარსელონაში" რაღაც ხდებაო. გაურკვევლობამ რამდენიმე საათს გასტანა. წუხელ, გვიან ღამით ცნობილი გახდა, რომ "ბარსელონამ" რონალდინიოს ულტიმატუმი წაუყენა. ფეხბურთელს მოსაფიქრებლად 72 საათი მისცეს. 3 დღის შემდეგ მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ერთი შეხედვით, ბრაზილიელს 3 არჩევანი აქვს: "მანჩესტერ სიტი", "მილანი" ან "ბარსელონა". როგორც ვთქვით, სიტის შესაძლებლობები ფორვარდს არ აკმაყოფილებს, "ბარსას" კი "მილანის" შემოთავაზებული თანხა არ მოსწონს. იოლი შესაძლებელია, გაუჩო კომპრომისზე არ წავიდეს და ინგლისში წასვლაზე უარი განაცხადოს. ალბათ, გაინტერესებთ, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში რა მოხდება. თუ "დიარიო მარკას" დავუჯერებთ, რონალდინიო "ბარსელონაში" დარჩება. როგორც ხედავთ, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს, რეალურად მხოლოდ ორი არჩევანი აქვს: ან "სიტი" ან "კამპ ნოუ". ლაპორტა და ბეგირისტაინი ყოველდღე ჯიუტად ამბობენ, რომ 15 მილიონიან ტრანსფერს არაფრის დიდებით არ დათანხმდებიან. ნუთუ მართლა არსებობს იმის შანსი, რომ გაუჩომ ისევ "კამპ ნოუზე" გააგრძელოს კარიერა?

### გვარდიოლას რონალდინიო არ სჭირდება

საპნის ოპერის სიუჟეტი პეპ გვარდიოლამ კიდევ უფრო ჩახლართა. გუშინ "ბარსელონამ" პრეტემპორადა ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა. პირველი ვარჯიშის შემდეგ კატალონიური გრანდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა. წესით, მას სხვადასხვა საკითხზე უნდა ესაუბრა, მაგრამ ფაქტობრივად მთელი დრო რონალდინიოზე ლაპარაკს მოანდომა. აქამდე გვარდიოლას რონალდინიო გაკვრით თუ ყავდა ნახსენები. მისი მიკიბულ-მოკიბული საუბრიდან საზოგადოებას შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ "ბარსას" თავკაცს ბრაზილიელი არ სჭირდებოდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სენიორ ხოსეპი გარკვევით მართლაც არ ლაპარაკობდა, ექსპერტებს დასკვნის გამოტანა უჭირდათ.

გუშინ ყველაფერს ნათელი მოეფინა. ზემოთნახსენებ პრესკონფერენციაზე გვარდიოლამ პირდაპირ და დაუფარავად თქვა, რომ რონალდინიო არ სჭირდება: "რონალდინიო უდიდესი ფეხბურთელია. ის სამუდამოდ შევა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. როგორც ჩანს, მისი კატალონიური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. მოდით, გულწრფელად ვისაუბროთ. მე ჩემი პროექტი მაქვს შემუშავებული და მასში რონალდინიოს ადგილს ვერ ვხედავ. ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზი აქვს. როცა მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, კლუბის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ რონალდინიო სავარაუდოდ დაგვტოვებდა. ბუნებრივია, არანაირი მიზეზი არ მქონდა, მათი არ დამეჯერა. ამიტომ ტაქტიკასა და სტრატეგიაზე ფიქრისას რონალდინიოს არ ვითვალისწინებდი. ფეხბურთი საკმაოდ კარგად მესმის და სულელი არ ვარ, რომ ასეთი კლასის მოთამაშე დავიწუნო. უბრალოდ, ჩვენ სულ სხვა ერას ვიწყებთ და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გარკვეული ცვლილებების განხორციელება მოგვიწევს. ასევე მეეჭვება, რომ ჩემს გუნდში სამუელ ეტოოსთვის მოინახოს ადგილი. მისი ისტორია რონალდინიოს შემთხვევას ძალიან გავს. კამერუნელზეც მითხრეს, წასვლა უნდაო. სანამ მთავარ მწვრთნელად დავინიშნებოდი, "ბარსელონაში" მიმდინარე მოვლენებს საგულდაგულოდ ვაკვირდებოდი. მე სათადარიგო გუნდის დამრიგებელი ვიყავი და ინფორმაცია არ მაკლდა. კამერუნელმა მართლაც თავად გამოთქვა წასვლის სურვილი. ცხადია, მას არ დავაკავებთ."

გვარდიოლას ამ რადიკალური მონოლოგის მოსმენის შემდეგ ჟურნალისტებს სრულიად ბუნებრივი კითხვა გაუჩნდათ. შეძლებს "ბარსელონა" ასეთი მაღალი დონის ფორვარდების ღირსეულად შეცვლას. როგორც გაირკვა, სენიორ პეპი იმედიანადაა განწყობილი და ნათელი მომავლის გულწრფელად ჯერა: "შეუცვლელი არავინაა. მით უმეტეს, ჩვენ ისეთი გენიალური ბიჭები გვყავს, როგორებიც ტიერი ანრი და ლეო მესი არიან. ანრიმ გასულ სეზონში შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სექტემბრიდან სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს. გარდა ამისა, ჩვენ ახალი ცენტრფორვარდის გადმობირებაზეც ინტენსიურად ვმუშაობთ. როგორც იცით, ადებაიორის ყიდვა გვინდა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები ძალიან გაჯანჯლდა, მაგრამ მჯერა, ამ ფრონტზე წარმატებას მივაღწევთ. ახლა მთავარია, "ბარსამ" ერთსულოვნება შეინარჩუნოს. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ ჩემი გუნდი კლასიკურ ბარსელონურ ფეხბურთს ითამაშებს. ამისათვის ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო. ნურავინ მიწყენს, მაგრამ ისეთ ფეხბურთელებთან ვერ ვითანამშრომლებ, რომლებიც ოკეანის გაღმიდან დარეკავენ და მეტყვიან, შეკრებაზე ვერ ჩამოვალო. პრეტემპორადა სრულფასოვნად უნდა გავიაროთ. თავს დიდხანს არ შევაწყენთ და პრესკონფერენციის დასასრულს რონალდინიოს დავუბრუნდები. დარწმუნებული ვარ, მას ღირსეულად გავაცილებთ. გაუჩომ წინა წლებში უამრავი დაუვიწყარი მატჩი გვაჩუქა".

გვარდიოლამ პრესკონფერენცია დასრულებულად გამოაცხადა, მაგრამ ახალბედა მწვრთნელი ჟურნალისტებმა ცოტა ხნით დააყოვნეს. ისინი ერთ ფრაზას გამოეკიდნენ. როგორც ნახეთ, ბატონმა პეპმა აღნიშნა, ისეთ ფეხბურთელებთან ვერ ვიმუშავებ, რომლებიც ოკეანის გაღმიდან დარეკავენ და იტყვიან, შეკრებაზე ვერ ჩამოვდივარო. ის, რა თქმა უნდა, რონალდინიოს გულისხმობდა და ალბათ დაავიწყდა, რომ **ლეო მესიმაც** იგივე შეტყობინება გააგზავნა. არგენტინელმა ვარსკვლავმა ხელმძღვანელობისგან ოლიმპიადაზე წასვლის უფლება ვერ მიიღო, თუმცა ის პრეზიდენტის ნებას დიდხანს არ ემორჩილებოდა. გვარდიოლას პირდაპირ კითხეს, თქვენი მსოფლხედველობით თუ ვიმსჯელებთ, წესით, მესისთანაც არ უნდა ითანამშრომლოთო. მთავარ მწვრთნელს პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს გაახსენდა, რომ ლეო დღეს სალამოს უნდა დაბრუნდეს ბარსელონაში და გახარებული ხმით აღნიშნა, მესის არანაირი საფრთხე არ ემუქრება, ის ჩვენი გუნდის მომავალიაო.

მესის თავი დავანებოთ, დავუშვათ, რონალდინიომ "მანჩესტერ სიტის" კატეგორიული უარი განუცხადა... ამ შემთხვევაში ის "ბარსაში" უნდა დარჩეს, მაგრამ გვარდიოლამ ხომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, ბრაზილიელი არ მჭირდებაო. მართლა ძნელია გაიგო, "ბარსელონაში" რა ხდება. ამიტომაც ვთქვით, რომ გვარდიოლამ საპნის ოპერის სიუჟეტი კიდევ უფრო ჩახლართა.

### გაუჩო ბასელონაში ჩაფრინდა, მაგრამ ბაზაზე მაინც არ მივიდა

წუხელ რონალდინიო ბარსელონაში მის ძმასთან ერთად ჩაფრინდა. წესით, სანამ სატრანსფერო საკითხები გაირკვევა, ფეხბურთელმა გუნდთან ერთად უნდა ივარჯიშოს, მაგრამ გაუჩომ გვარდიოლა ფეხებზე დაიკიდა და ბაზაზე არ მივიდა. პირველ ვარჯიშზე ძირითადი გუნდის 15 მოთამაშე გამოცხადდა. გვარდიოლამ მათ საყმაწვილო გუნდის 7 ფეხბურთელიც დაამატა და ინტენსიური ვარჯიში ჩაატარა. ძირითადი გუნდიდან შემდეგმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი: **ვალდესი, ჟორკერა, პინტო, მარკესი, ოლეგერი, სილვინიო, კრკიჩი, მილიტო, აბიდალი, გუდიონსენი, ტურე, პიკე, მარტინ კასერესი, კროსასი, ტიერი ანრი.** სათადარიგოებიდან კი გვარდიოლამ ეს ბიჭები დააფასა: **კორკოლესი, ვალიენტე, ჯეფრენი, სერჟი ბუსკეტსი, ვასკესი, სანჩესი, პედრიტო.**

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# პოულსენი იუვენტინოა


პოულსენი ტურინის ოლიმპიკოზე

## სტანკოვიჩი არენდით?

"იუვენტუსმა" **კრისტიან პოულსენის** ტრანსფერს წერტილი დაუსვა. ტურინულმა გრანდმა "სევილიასთან" გარიგება უკვე ოფიციალურადაც დაადასტურა. 28 წლის დანიელთან 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ტრანსფერი "იუვეს" ჯიბეს 7.8 მილიონი გირვანქით (9.75 მილიონი ევრო) შეათხელებს. აქედან, 3.8 მილიონს "სევილია" ახლავე მიიღებს, 2-2 მილიონს კი 2009 წლის ივლისიდან ერთი წელიწადის განმავლობაში.

მოკლედ, **კლაუდიო რანიერიმ** ნახევარდაცვის ხაზში კვალიფიციური მოთამაშე მიიღო. რაკი "იუვენტუსი" ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს, მწვრთნელს როტაციისთვის მდიდარი არჩევანი სჭირდება. პოულსენის ტრანსფერი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტურინელები **ჩაბი ალონსოზე** საბოლოოდ უარს იტყვიან. თითქოს, **დეიან სტანკოვიჩის** ამბავიც გარკვეული უნდა იყოს. თავიდანვე ჩანდა, რომ "იუვენტუსს" პოულსენი სათადარიგო ვარიანტად ჰქონდა შემონახული: დანიელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენდა, თუკი ალონსოსა და სტანკოვიჩის საქმეში არაფერი გამოუვიდოდა. ესპანელმა უკვე აღიარა კიდეც, რომ "ენფილდზე" დარჩენა ერჩივნა - აქ ისეთი გულშემატკივრობაა, სხვაგან წასვლაზე არც უნდა იფიქროო. ისე, მართალი კია, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ლივერპულის" არენა ყველა თამაშზე 45 ათასამდე ქომაგს უყრის თავს, ხოლო ტურინის 27-ათასიანი "ოლიმპიკო" 20 ათასამდე ძლივს ივსება.

რაც შეეხება სტანკოვიჩს, გუშინ "გაძეტა დელო სპორტში" გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ქალბატონმა" სერბი, შეიძლება, არენდით წაიყვანოს. ჯერჯერობით, არც "იუვეს" და არც "ინტერს" ეს ამბავი არ დაუდასტურებიათ. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: "ნერაძურის" ახალი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** გუნდში დეიანის ადგილს ვერ ხედავს.

პოულსენის ტრანსფერი დამატებით ინტრიგას შესძენს "იუვე"-"რომას" მატჩებსაც. ეს ის პოულსენია, რომელსაც "ჯალოროსის" კაპიტანმა, ევრო 2004-ზე, იტალია-დანიის მატჩის (0:0) მსვლელობისას, სახეში შეაფურთხა. ეს აქცია ტოტის სამმატჩიან დისკვალიფიკაციად, იტალიას კი ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდა.

რაკი პოულსენი უკვე იუვენტინოა, ხოლო სტანკოვიჩი პოტენციური მომსვლელი, **ტიაგო მენდეში** და **სერხიო ალმირონი** უთუოდ ჩემოდნებზე უნდა ისხდნენ. ტიაგოს დორტმუნდის "ბორუსია" და რამდენიმე ინგლისური კლუბი აკვირდება, ალმირონი კი, რომელიც იანვარში "მონაკოს" არენდით მიასალეს, "სამპდორიას" თვალთახედვის არეშია. გენუელებმა გამოცდილი ნახევარმცველი **სერჯო ვოლპი** "ბოლონიაში" გაუშვეს და ალტერნატივას ეძებენ.

**გიორგი გელაშვილი**


პაბლო ლედესმა

სკანდალი

# პასპორტოპოლი: საპეცოპერაცია კიდევ ორ არგენტინულ ქალაქში

### პოლიციამ 150 ფეხბურთელს, ასევე რამდენიმე კლუბისა და აგენტის ოფისს მიაკითხა

იყო "კალჩოპოლი", ახლა "პასპორტოპოლია". ასე უწოდეს იტალიაში ბოლოდროინდელ მოვლენებს. საპასპორტო სკანდალი ძალებს იკრებს. ბუენოს-აირესი გრანდიოზული პოლიციური ოპერაციის ცენტრად იქცა. გამომძიებელმა **ნორბერტო ოიარბიდემ** პრესას აუწყა, რომ დაახლოებით 700 საქმეზე გამოძიება უკვე დაწყებულია. პოლიციელთა მორიგი რეიდის ტალღამ 150 ფეხბურთელს, არაერთი კლუბისა და აგენტის ოფისს გადაუარა.

მაგრამ ბუენოს-აირესი არ არის ერთადერთი ქალაქი, სადამდეც გამომძიებელ ოიარბიდეს საცეცები მისწვდა. პოლიციური ოპერაცია სანტა ფესა და მარ-დელ-პლატაშიც ჩატარდა. გაზეთებმა უკვე გამოაქვეყნეს ის ფეხბურთელები, რომელთა საქმეც გამოძიებას დაექვემდებარება: **გონსალო ბერხესიო, არიელ ბროგი, გაბრიელ პალეტა, ხესუს დატოლო, პაბლო ლედესმა, ხუან პაბლო კარისო, ხერმან დენისი, ხუან ფორლინი, მასიმილიანო სკაპარონი, მაურო ბოზელი** და **სებასტიან ბატალია**.

არგენტინელი დენისი, რომელიც ორი კვირის წინათ "ნაპოლიში" ჩაირიცხა და ამხანაგურ მატჩში უკვე თავიც გამოიჩინა, წესით, მშვიდად უნდა იყოს, რადგან ის არგენტინელადაა რეგისტრირებული. მშვიდადაა "ნაპოლიც", რომელიც ხსენებულ გარიგებაში არალეგიტიმურობას კატეგორიულად გამორიცხავს. ლედესმას თაობაზე კი "კატანიამ" ამოიღო ხმა. სიცილიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა **პიეტრო ლო მონაკომ** აღნიშნა, რომ არგენტინელი მოთამაშის ტრანსფერი აბსოლუტურად კანონიერია.

*"ნამდვილად არ ვიცი, რატომ გაჩნდა პრესაში მისი გვარი. ჩვენთან ყველაფერი ლეგიტიმურია. ლედესმას არგენტინული პასპორტი აქვს"*, - გვარწმუნებს ლო მონაკო, მაგრამ მთავარია, ამაში გამოძიებაც დაარწმუნოს...

**გიორგი გელაშვილი**


ხერმან დენისი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პავლიუჩენკო: ახლა ჩელსი?

მოსკოვის "სპარტაკისა" და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა **რომან პავლიუჩენკომ** "ჩელსის" ყურადღება მიიპყრო. ამ ინფორმაციას "დეილი ექსპრესი" ავრცელებს. აქამდე ბრიტანული ტაბლოიდები იუწყებოდნენ, რომ "ჩელსის" ზენიტელი **ანდრეი არშავინის** შეძენა სურდა. ბოლო დროს "არისტოკრატებმა" ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანეს. არშავინით კი ტოტენჰემი დაინტერესდა.

რაც შეეხება პავლიუჩენკოს, "დეილი ექსპრესის" მტკიცებით, "არისტოკრატები" მას **დიდიე დროგბას** შემცვლელად განიხილავენ. კოტდივუარელი თავდამსხმელი ლონდონიდან აბარგებას აპირებს. მისი სავარაუდო ნავსაყუდელი "მილანია". პავლიუჩენკოთი დაინტერესებული კლუბების სიაში მოიხსენიებენ "მანჩესტერ იუნაიტედს", "ტოტენჰემს", "სელტიკს", "რომასა" და "ბოლონიას".

"სპარტაკის" ხელმძღვანელობას თავისი საუკეთესო თავდამსხმელის შენარჩუნება სურს. ამიტომ მას ახალ ოთხწლიანი კონტრაქტს შესთავაზებენ, რომლის თანახმად წელიწადში 2.5 მილიონ ევროს გადაუხდიან. შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა 40 მილიონი ევროთი განისაზღვრება. ამჟამად "სპარტაკი" პავლიუჩენკოს წელიწადში 1 მილიონ ევროს უხდის.

**შალვა ბიბილაშვილი**


რომან პავლიუჩენკო

ახალი იდეები

# პლატინი კრძალავს, პლატინი გვთავაზობს...



უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ახალი ინიციატივით გამოდის. მისი წინადადებით, უნდა აიკრძალოს იმ მოთამაშეთა ტრანსფერები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ. ამას გარდა, უეფას პრეზიდენტი გვთავაზობს, შემცირდეს კლუბებში ლეგიონერთა რიცხვი და მაქსიმალურად შეიზღუდოს პირდაპირი ტელერეპორტაჟები, რათა სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობამ იმატოს. ეს არის 10-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს აგრეთვე დამატებით პუნქტებს - რაგბის, ხელბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და შაიბიანი ჰოკეის ევროპული ფედერაციების ანალოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პლატინის ინიციატივას პირველი გამოეხმაურა "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი და ევროპული კლუბების ასოციაციის თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, რომელმაც AFP-სთან საუბარში ასეთი რამ თქვა:

*"საჭიროა, როგორღაც დავიცვათ ფეხბურთელები. ჩემი აზრით, პლატინის წინადადება გონივრულია. ეს დაგვეხმარება, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი მოვლენა, როგორიც იყო ფაბრეგასის უფასო გადასვლა "არსენალში". ჭაბუკი ფეხბურთელები "ბაიერნშიც" არიან და მათ აუცილებლად სჭირდებათ დაცვა. მაგალითად, 17 წლის ტონი კროოსს უკვე 20-მდე ინგლისელი სკაუტი უთვალთვალებს".*

შეგახსენებთ, ფაბრეგასი "არსენალში" აღმოჩნდა 2003 წელს, როცა სულ რაღაც 16 წლის იყო, ხოლო მის ყოფილ კლუბ "ბარსელონას" მხოლოდ სიმბოლური თანხა გადაუხადეს. ანალოგიური ტიპის გარიგებები განხორციელდა ბოლო დროსაც. აქაც "არსენალი" ფიგურირებს. "მეთოფეებმა", ფაბრეგასის მსგავსად, 17 წლის **აარონ რემსი** აიყვანეს, "ტოტენჰემმა" კი 16 წლის **ჯონ ბოსტოკი** დაიბევა.

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ბაზარი

# გოლეადორი მარგალიტები

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ბაზარი მთელი ძალით გახურდა. როგორც ჩანს, ხმაურიანი გარიგებები წინ გველის, ასე რომ, ჯერ მხოლოდ ჟურნალს ვუყურებთ, კინო ანი დაიწყება. მოდით, გადავავლოთ თვალი ფასეულ სატრანსფერო სუბიექტებს, გამორჩეულ ფორვარდებს, მათ ღირსებებსა და ნაკლს... მოკლედ, გავაანალიზოთ დღევანდელი სიტუაცია...


დავიდ ვილია

**ემანუელ ადებაიორი** (არსენალი/ტოგო) - 24 წლის. მის მთხოვნელთა შორის არიან "ბარსელონა" და "მილანი". რეალური ფასი 30-35 მილიონი ევრო. თუმც "არსენალი" 40 მილიონს ითხოვს, რაც აშკარად გაბერილია. ადებაიორის მთავარი ღირსება ფიზიკური სიძლიერე და მაღალი ტექნიკაა. სეზონში 30-მდე გოლის გატანა შეუძლია. ეს მან უკვე დაამტკიცა "არსენალის" მაგალითზე. მინუსად შეიძლება ჩავუთვალოთ ის, რომ ნერვებს იოლად ჰყვება. ასე რომ, მის პროვოკაციაზე წამოგებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება.

**ანდრეი არშავინი** (ზენიტი/რუსეთი) - 27 წლის. წარმოადგენს "ტოტენჰემის", "არსენალის", "ჩელსისა" და "ბარსელონას" ინტერესთა სფეროს. ფასობს დაახლოებით 20-25 მილიონ ევროდ. დახვეწილი ტექნიკისა და დიდი სისწრაფის პატრონია. უფრო კარგი ასისტენტია, ვიდრე ბომბარდირი. თავისი ღირსებები ევროპის ჩემპიონატზე დაამტკიცა. რაც შეეხება ნაკლს, მისი ბრალი არ არის, რომ სოლიდურ ჩემპიონატებში თამაშის გამოცდილება არ აქვს. აკლია სტაბილურობაც. შეიძლება, თამაშიდან ისე გამოთიშო, საერთოდ ვერც გაიგო, არის თუ არა მოედანზე. ანუ, როგორც ესპანეთთან ნახევარფინალში მოხდა.

**დიმიტარ ბერბატოვი** (ტოტენჰემი/ბულგარეთი) - 27 წლის. ეპატიჟებიან "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ბარსელონა". უფრო დიდი შანსი აქვს, ბინა "ოლდ ტრეფორდზე" დაიდოს. ფასი 25-30 მილიონი ევრო. ბრწყინვალე ტექნიკა აქვს, გამოირჩევა კარგი ფიზიკური მომზადებითა და თამაშის ხედვით. არის ალტრუისტიც: თუ პარტნიორი უკეთეს საგოლე პოზიციაშია, პასს არ დააყოვნებს. ნაკლი ისაა, რომ ხანდახან მცირედითაც კმაყოფილდება, არადა, მეტი შეუძლია.

**დიდიე დროგბა** (ჩელსი/კოტ დ'ივუარი) - 30 წლის. მისთვის რიგში დგანან "რეალი", "ბარსელონა", "მარსელი", "ინტერი" და "მილანი". მყიდველ კლუბს სადღაც 20-25 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. ღირსება უამრავი აქვს: შეუძლია გოლების გატანა როგორც ახლო, ისე შორი დისტანციებიდან. აქვს კარგად დაყენებული დარტყმა, ძლიერია ჰაერშიც და არის გადამწყვეტი გოლების დიდოსტატი. ადებაიორის არ იყოს, ნერვებს ყოველთვის ვერ აკონტროლებს.

**კლაას იან ჰუნტელაარი** (აიაქსი/ჰოლანდია) - 24 წლის. არის "რეალის", "ბარსელონას", "არსენალის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "რომას" სამიზნეში. ფასი 20-25 მილიონი ევრო. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ ახალგაზრდა და პერსპექტიულია. დამთავრებული აქვს "აიაქსის" ლეგენდარული სკოლა, რაც ასევე დიდი პლუსია. ყოველთვის დაგეშილია კარზე და ათიდან 9 შემთხვევაში არის იმ ადგილას, სადაც საგოლე გადაცემა კეთდება. ნაკლი ის აქვს, რომ არასოდეს უთამაშია კონკურენტუნარიან ჩემპიონატში. ჰოლანდიის პირველობა კი მაღალი დონის არ არის.

**რომან პავლიუჩენკო** (სპარტაკი/რუსეთი) - 26 წლის. მისი სამსახურით დაინტერესებულნი არიან "მილანი", "რომა" და "ბარსელონა". ფასი 18-22 მილიონ ევროს შორის მერყეობს. ძლიერი პიროვნებაა, აქვს კარგი დარტყმა, ეფექტურია მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში, არ უჭირს პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვა. ისევე, როგორც არშავინსა და ჰუნტელაარს, არ აქვს მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება. ნაკლია ისიც, რომ საგოლე მომენტების რეალიზაციის არცთუ მაღალი პროცენტი აქვს.

**რობინიო** (რეალი/ბრაზილია) - 24 წლის. უმიზნებს "ჩელსი". ლონდონელებს 30-35 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. აქვს შესანიშნავი დრიბლინგი, დარტყმა და სისწრაფე, აღარაფერს ვამბობთ გოლის ინსტინქტზე. მიუხედავად ამისა, "რეალის" ძირითადში მუდმივი ადგილის მოპოვება გაუჭირდა. ხშირად კონცენტრაციაც ღალატობს.

**კრისტიანო რონალდო** (მანჩესტერ იუნ/პორტუგალია) - 23 წლის. ერთადერთი კლუბი, ვინც მისთვის თავს იკლავს და სარეკორდო თანხის (80-90 მილიონი ევრო) გადახდაც შეუძლია, "რეალია". ფორვარდი, რომლის მოქმედების არეალი ნახევარდაცვის ზონიდან მეტოქის კარამდე ვრცელდება. აქვს საოცარი სისწრაფე, რომლის დროსაც ბურთზე კონტროლს არ კარგავს. არის ფენომენალური ტექნიკის პატრონი... თუმც რონალდოზე ლაპარაკს, მოედანზე მისი ნახვა სჯობს. მისი ნაკლია თავხედობა, რითიც მეტოქის გაღიზიანებას იწვევს. ხანდახან ბურთის დათმობაც უჭირს.

**რონალდინიო** (ბარსელონა/ბრაზილია) - 28 წლის. დაინტერესებულნი არიან "მილანი" და "მანჩესტერ სიტი". "როსონერისა" და "ბარსას" შორის მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაშია შესული და დიდი შანსია, ამ მასალას რომ წაიკითხავთ, საქმე უკვე მოგვარებულიც იყოს. ეს სიამოვნება "მილანს" 25-30 მილიონი ევრო დაუჯდება. რაც შეეხება ღირსებებს... სჭირდება კი რონალდინიოს ზედმეტი სიტყვები? მოკლედ ვთქვათ: ის მსოფლიოს ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა, შესაძლოა, კრისტიანო რონალდოზე მეტადაც. მის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბოლო ხანებში სისწრაფეს მოუკლო. იქნებ იმიტომაც, რომ პატარა ბიჭი აღარ არის?

**დავიდ ვილია** (ვალენსია/ესპანეთი) - 26 წლის. რიგში დგანან "რეალი", "ბარსელონა", "ლივერპული" და "ჩელსი". სავარაუდო ფასი 35-40 მილიონი ევროა. ფანტასტიკური იყო ევროპის ჩემპიონატზე. ორიენტაცია უმცირეს პერიმეტრზეც არ უჭირს. ყველა პოზიციიდან გრძნობს კარს. არ აკლია სისწრაფეცა და ტექნიკაც. ნებისმიერი სიტუაციაში მცველებისთვის მისი მოთვინიერება ურთულესი საქმეა და ხშირად ფატალურადაც მთავრდება. ფიზიკურ მომზადებაში ცოტა უჭირს. ხშირად თან სდევს უიღბლობაც.

# ათი მთავარი ტრანსფერი

**დავახარისხოთ ამ დროისთვის განხორციელებული 10 ყველაზე საყურადღებო ტრანსფერი. აქ გათვალისწინებულია მოთამაშის კონდიციები ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მისი პოტენციალი და სატრანსფერო ფასი...**


დეკუ სოუზა

**ჰათემ ბერ არფა** (ლიონიდან მარსელში) - მართალია, "მარსელმა" სამი ნასრი დაკარგა, მაგრამ ეს დანაკლისი ბენ არფათი აინაზღაურა. ექსპერტთა ვარაუდით, პროვანსელები იმედისმომცემ ფეხბურთელს ერთი ან მაქსიმუმ ორი წლით შეინარჩუნებენ. მოსალოდნელია, რომ უფრო დიდ კლუბში გადასვლის შემთხვევაში, რომ ბენ არფა "მარსელს" 8-10 მილიონი ევროს მოგებას მოუტანს.

**ალბერტო ჯილარდინო** (მილანი-ფიორენტინა) - რჩება შთაბეჭდილება, თითქოს "ფიორენტინა" წაგებაში უნდა იყოს, რადგან "მილანიდან" მათ ფორმიდან ამოვარდნილი თავდამსხმელი იყიდეს. მაგრამ ეს იმას ჰგავს, თავის დროზე "იუვენტუსმა" ადრიან მუტუ რომ იყიდა. მაშინაც ასე ამბობდნენ. ფანები ჯილარდინოს "მილანში" გატარებულ ნეგატიურ წლებს დაავიწყებენ, დაეხმარებიან მას, რომ საკუთარი თავი ხელახლა აღმოაჩინოს და იმ ჯილარდინოდ იქცეს, "პარმიდან" რომ გვახსოვს. ამის ერთ-ერთი გარანტია შეიძლება იყოს მუტუსთან პარტნიორობაც. ნათელია, რომ ჩეზარე პრანდელი თავდასხმაში სწორედ მუტუ-ჯილარდინოს წყვილზე გააკეთებს აქცენტს.

**სეიდუ კეიტა** (სევილია-ბარსელონა) - "ბარსასთვის" ნამდვილად კარგი შენაძენია. შუა ხაზში პარტნიორობა მოუწევს იაია ტურესთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანდრეს ინიესტა და ლიონელ მესი გაცილებით მეტად იქნებიან კონცენტრირებულნი შეტევის ორგანიზებაზე. კეიტას ფასი 15 მილიონი ევროა.

**ესეკიელ გარაი** (რასინგი-რეალი) - ესეც მიზანშია მორტყმული. "ბარსელონაც" ცდილობდა მის შეძენას, მაგრამ "რეალმა" კატალონიელთა მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდთან დაკავშირებული გაურკვევლობით ისარგებლა და გარაის "სანტიაგო ბერნაბეუზე" უკრა თავი.

**დეკუ სოუზა** (ბარსელონა-ჩელსი) - 30 წლის ასაკშიც, დეკუს გაცილებით მეტის მიცემა შეუძლია ფეხბურთისთვის, ვიდრე თავის საუკეთესო წლებში. მასში ჯერ კიდევ არის ცეცხლი. მართალია, ის არ არის ფრენკ ლემპარდი, რადგან მისებრ ბევრი გოლი ვერ გააქვს. მაგრამ მას აქვს ის, რაც ლემპარდს აკლია. სუპერშემოქმედებითი მხარე, მოედნის ფანტასტიკური ხედვა და საოცარი ნიჭი, რამაც მას საშუალება მისცა, ჩემპიონთა ლიგა ორ სხვადასხვა კლუბში მოეგო. ბოლოს და ბოლოს, "ჩელსის" ჰყავს ფეხბურთელი, რომელსაც სანახაობრივი თამაშის ორგანიზება შეუძლია, ისეთის, როგორსაც რომან აბრამოვიჩი ითხოვს. დეკუს გარშემო ბალაკისა და ესიენის ყოფნა იმას ნიშნავს, რომ "ჩელსის" ნახევარდაცვა უძლიერესი იქნება.

**კარვალიო ამაური** (პალერმო-იუვენტუსი) - სამი სეზონი დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა, რომ დიდი გუნდის ღირსია. "პალერმოში" აჩვენა, რაც შეუძლია, ხოლო "იუვენტუსის" ნახევარდაცვისგან თუ უფრო კვალიფიციური დახმარება ექნა, გაცილებით მეტს მიაღწევს. პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში და მისთვის ესეც დამატებითი კრედიტია. "იუვეს" პირველივე ტესტ-მატჩში 5 გოლი გაიტანა.

**დანიელ ალვეში** (სევილია-ბარსელონა) - "ჩელსი", "რეალი", "ლივერპული", "მანჩესტერ იუნაიტედი"... ეს არასრული ჩამონათვალია იმ კლუბებისა, რომლებიც მთელი 18 თვის განმავლობაში ცდილობდნენ მის გადაბირებას. "სევილიასთან" რთული მოლაპარაკებების შემდეგ, "ბარსელონამ" სანადელს მიაღწია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რობერტო კარლოსის მერე ალვეში მსოფლიოს საუკეთესო შემტევი განაპირა მცველია. შესაძლოა, მისი ფასი (30 მილიონი ევრო) ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ "ბარსა" ის კლუბია, სადაც მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს ფული ტყუილად არ დახარჯულა.

**სამირ ნასრი** (მარსელია-არსენალი) - მსოფლიო ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, იმედისმომცემი ფრანგი პლეიმეიქერი, რომელიც არსენ ვენგერის ახალგაზრდულ კლანს უთუოდ დაამშვენებს. ბევრი ფიქრობს, რომ ნასრი ალექსანდრ გლების კარგი ალტერნატივაა, მაგრამ უფრო ბევრი გაცილებით შორს იხედება და მასში ახალ ზინედინ ზიდანს ხედავს.

**ლუკა მოდრიჩი** (დინამო ზაგრები-ტოტენჰემი) - "ტოტენჰემს" გაუმართლა, რომ შესანიშნავი ხორვატი ახალგაზრდა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე იყიდა, თორემ მერე მოდრიჩი გრანდების "საჯიჯგნი" გახდებოდა. "ბარსელონა" და "ჩელსი" ყველაზე რეალური ვარიანტები იყო, მაგრამ მათ ევროს დასრულებამდე ამჯობინეს მოცდა... და წააგეს კიდეც. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ხუანდე რამოსს ნახევარდაცვაში ნამდვილი ბრილიანტი ეყოლება.

**მატიო ფლამინი** (არსენალი-მილანი) - გასულ სეზონში "არსენალის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. "მილანის" მიერ გაკეთებული სვლა უდავოდ წარმატებულია, მით უმეტეს, რომ "როსონერის" ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი უფასოდ ჩაუვარდა ხელში.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# ბერბატოვი, იუნაიტედის უძვირესი ფეხბურთელი

## მანჩესტერი 56 მილიონის გადახდას დათანხმდა, ტოტენჰემმა ამ ფულით ბენტლი დაიბევა



მანჩესტერს დიმიტარ ბერბატოვი სარეკორდო თანხადაც ულირს

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ტოტენჰემს" **დიმიტარ ბერბატოვის** ტრანსფერზე მოურიგდა. "დეილი მეილის" ცნობით, "ეშმაკები" ფეხბურთელის სანაცვლოდ კლუბისთვის სარეკორდო თანხას, 28 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. გასულ უქმეებზე "ეშმაკებმა" "მამლებს" 20 მილიონი შესთავაზეს. "ტოტენჰემმა" ისინი უარით გაისტუმრა. დედაქალაქელები იმთავითვე 30 მილიონს ითხოვდნენ და ათი მილიონით ნაკლები თანხა, რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად უარყვეს. ორშაბათს მანჩესტერიდან ლონდონში მორიგი სატელეფონო ზარი გაისმა. "იუნაიტედმა" თანხა 25 მილიონამდე გაზარდა. "ტოტენჰემის" თავმჯდომარემ **დანიელ ლევიმ** კოლეგებს შესთავაზა, 30 მილიონთან მიახლოებული ფასი ეთქვათ. საბოლოოდ, მხარეები 28 მილიონ გირვანქაზე (56 მილიონი დოლარი) შეთანხმდნენ. კლუბებს გარიგების თაობაზე ოფიციალური კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ. ინფორმაციას არც ბერბატოვის ბანაკი გამოხმაურებია.

ბულგარელმა თავდამსხმელმა ტრანსფერზე დაყენება გასული სეზონის დასრულებისთანავე მოითხოვა. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენა მადრიდის "რეალსა" და "ბარსელონას" სურდათ. მაგრამ ესპანური გრანდების დაინტერესება ამაზე შორს არ წასულა. "იუნაიტედმა" მოლაპარაკებები მიზანმიმართულად წარმართა და სარეკორდო თანხის გადახდასაც კი არ შეუშინდა. "ტოტენჰემი" ბერბატოვის შემცვლელს ეძებს. "დეილი მეილის" თანახმად, "ტოტენჰემი" კიდევ ერთხელ დაუკავშირდება "ზენიტს" და **ანდრეი არშავინის** გაყიდვას შესთავაზებს. "მამლებს" ამბიციური სატრანსფერო გეგმები აქვთ. ისინი ათეულობით მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებენ. არშავინი მათი ერთადერთი სამიზნე არ არის. განიხილება ბლექბერნელი **როკე სანტა კრუსის** ვარიანტიც. დასკვნით ფაზაშია მოლაპარაკებები "ბლექბერნთან" **დევიდ ბენტლის** თაობაზე. "ვარდები" ბენტლის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქას ითხოვენ. "ტოტენჰემი" მზადაა, ეს თანხა გადაიხადოს.

"მირორმა" ბენტლის ტრანსფერი დასრულებულად გამოაცხადა. "ტოტენჰემიდან" "ბლექბერნი" გადავა ინგლისის ნაკრების მეკარე, **პოლ რობინსონი**. რობინსონის შეძენა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ამერიკელმა **ბრედ ფრიდელმა** "ასტონ ვილას" მიაშურა. ბირმინგემელებმა მის სანაცვლოდ 2.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. "ტოტენჰემი" რობინსონს 5 მილიონად აფასებს, მაგრამ ბენტლის ხათრით, "ბლექბერნს" 1 მილიონს დაუკლებს. აქვე გეტყვით, რომ ბენტლის სანაცვლოდ მიღებული თანხის ნაწილი "არსენალს" შეხვდება. "არსენალი" დევიდის ყოფილი კლუბია. თავის დროზე, "ბლექბერნსა" და "არსენალს" შორის შეთანხმება ამ პირობით გაფორმდა.

ვარსკვლავი

# კრისტიანო მეგობარს დაშორდა?

**კრისტიანო რონალდოს** არა მხოლოდ ახალი სამსახური, არამედ ახალი მეგობარი გოგონაც მოსაძებნი ჰყავს. სპეკულაციების თანახმად, რონალდოსა და **ნერეიდა გალიარდოს** ურთიერთობა რომანტიკულ არდადეგებთან ერთად დასრულდა. სარდინიიდან დაბრუნების შემდეგ, რონალდო და ნერეიდა ერთად აღარავის უნახავს. 23 წლის ფეხბურთელმა კოჭის ოპერაცია გაიკეთა. ის დაახლოებით სამი თვე დაისვენებს. წესითა და რიგით, ნერეიდა მეგობრის გვერდით უნდა ყოფილიყო, მაგრამ კრისტიანო ყველაგან მარტო დაიარება. მეგობარ გოგონასთან დაკავშირებულ კითხვებს კი, თავს არიდებს.

პორტუგალიური სააგენტოების ცნობით, ახალგაზრდები რამდენიმე მიზეზის გამო დაშორდნენ. პირველი მიზეზი გახლდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გალიარდო მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ცენტრალური მცველის, **სერხიო რამოსის** ყოფილი მეგობარია. თუ კრისტიანო მადრიდში გადავა, მას არ სურს, ახალ თანაგუნდელთან საერთო მეგობარი აკავშირებდესო. მეორე და უფრო სარწმუნო ინფორმაცია ის გახლავთ, რომ ნერეიდა თვალში არ მოუვიდა კრისტიანოს დედას, **დოლორესს**. მან მიიჩნია, რომ მომხიბვლელ ესპანელ ქალბატონს მარტო მისი შვილის ფული აინტერესებს. კრისტიანო, როგორც დედის დამჯერ პატარა ბიჭს შეეფერება, დაჰყვა ქალბატონი დოლორესის სურვილს და ნერეიდას წითელი ბარათი უჩვენა.

კრისტიანოსთან დაშორებას ნერეიდა, როგორც ჩანს, დიდად არ დაუმწუხრებია. პორტუგალიურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, გასულ უქმეებზე ის მალიორკაზე თავისი დედისა და მამინაცვლის სახლში იმყოფებოდა. შაბათს კი მთელი ღამე დისკოთეკაში გაატარა. ამ დროს რონალდო ლისაბონთან ახლოს, სინტრაში საკუთარ სახლში ისვენებდა და მოთმინებით ელოდა მისი ტრანსფერის საკითხის გადაწყვეტას. ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, კრისტიანო ლამისაა "მანჩესტერ იუნაიტედის" უპირველეს მტრად გამოაცხადონ. ინგლისში დაბრუნების შემთხვევაში, მას დიდი ზეწოლის ქვეშ თამაში ელოდება.



კრისტიანო და ნერეიდა

ევერტონი

# მოიესის ახალი კონტრაქტი

**დევიდ მოიესი** "ევერტონთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. მის დღევანდელ ხელშეკრულებაში ერთი წელია დარჩენილი. ლივერპულელთა თავმჯდომარემ **ბილ კენრაიტმა** მას მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. კენრაიტი მოიესის მუშაობით კმაყოფილია. მწვრთნელი "გუდისონ პარკზე" ექვსი სეზონია, მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში, შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია - გუნდი ინგლისის ექვს საუკეთესოს შორისაა და განვლილი ექვსი წლის განმავლობაში სამჯერ მოიპოვა ევროპული საგზური.

როგორც ირკვევა, მოიესს საკუთარი ხელფასის ოდენობაზე მეტად ის აინტერესებდა, თუ რა თანხას გამოუყოფდნენ საზაფხულო ტრანსფერებისთვის. "ევერტონი" ეს-ესაა შვეიცარიიდან დაბრუნდა. გუნდმა ალპებში ერთი კვირა გაატარა და ერთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა - "სიონთან" (0:1). ინგლისში დაბრუნებისთანავე თავმჯდომარემ მწვრთნელს თავის კაბინეტში უხმო და სამომავლო გეგმები გაუმხილა.

გადაწყდა, რომ "ევერტონი" შეიძენს ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელსაც მწვრთნელი ხელს დაადებს. ამას გარდა, მთლიანად ტრანსფერებში დაიხარჯება მოთამაშეთა გაყიდვით მოხვეჭილი თანხა. ასე მაგალითად, თავდამსხმელ **ენდი ჯონსონს** "ფულჰემი", "ვიგანი", "სანდერლენდი" და "ვესტ ჰემი" ეპატიჟებიან. თითოეული მათგანი მზადაა, 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

მოიესმა თავმჯდომარეს გაუმხილა, რომ არსენალელი საყრდენი ნახევარმცველის, **ჟილბერტო სილვას** შეძენაც სურს. ამ უკანასკნელს "პანათინაიკოსი" ეპატიჟება. თუ "ევერტონი" არ იჩქარებს, ფეხბურთელი საბერძნეთში წავა. მოიესის სიაში არიან არგენტინელი თავდამსხმელი **დიეგო მილიტო** და შვეიცარიელი მცველი **სტეფან ლიხტშტაინერი**. ეს უკანასკნელი ფრანგულ "ლილში" თამაშობს. ევროპის ჩემპიონატისას, ლიხტშტაინერის გამო, "ლივერპულის" ახალწვეული **ფილიპ დეგენი** თადარიგში იჯდა.

საუბრის დასასრულს, კენრაიტმა მწვრთნელს ახალი კონტრაქტის პირობებიც გააცნო: მოიესს ოთხწლიან გარიგებასა და წელიწადში 3 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. ეს თანხა დღევანდელ ხელფასს ორჯერ აღემატება.



დევიდ მოიესი

## აიმარი ნიუკასლს უახლოვდება

"ნიუკასლი" **პაბლო აიმართან** კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს. "სარაგოსამ" არგენტინელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა მოითხოვა. აიმარის შეძენა "პორტსმუთსაც" სურდა, მაგრამ როგორც ჩანს, სატრანსფერო ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი **პიტერ კრაუჩის** შესაძენად დახარჯა. "პორტსმუთს" აიმარის საყიდლად ფული არ ეყო. "ნიუკასლი", ფაქტობრივად, უკონკურენტოდ დარჩა. "სარაგოსას" ფინანსური პრობლემები აქვს. მოგეხსენებათ, კლუბი სეგუნდა დივიზიონში გავარდა. მისი შემოსავალი მკვეთრად შემცირდება. არაგონული კოლექტივი წამყვანი ფეხბურთელების შენახვას ველარ შესძლებს. ამიტომ ყველას სარფიანად გაყიდვას ცდილობს. "ნიუკასლთან" მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი მომდევნო 24 საათის განმავლობაში გაიმართება.

## გლები ბარსელონაში?

**ალექსანდრ გლები** ბარსელონელია. ამ ინფორმაციას გაზეთი "სანი" ავრცელებს. კატალონიელები ბელარუს ლეგიონერს დღე-დღეზე წარადგენენ. "არსენალმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა მოიხვეჭა. 27 წლის ნახევარმცველი ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს და კვირაში 65 ათას გირვანქას გადაუხდიან. ეს თანხა თითქმის ორჯერ აღემატება გლების ლონდონურ ხელფასს. გადაწყდა ისიც, რომ "ბარსელონის" ძირითადში ჩატარებული მატჩებისა და მოპოვებული ტიტულების შესაბამისად, "არსენალს", შეიძლება, კიდევ 2.5 მილიონი გირვანქა შეხვდეს. ალექსანდრი ლონდონში სამი წლის წინათ, "შტუტგარტიდან" გადავიდა. "მეთოფეებმა" მასში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

## ენდი კოული ნოტინგემში დაბრუნდა

**ენდი კოული** მშობლიურ "ნოტინგემ ფორესტში" დაბრუნდა. 36 წლის თავდამსხმელმა "სანდერლენდთან" კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა და ნოტინგემელებთან 12-თვიანი ხელშეკრულება გააფორმა. კოულმა საფეხბურთო კარიერა "არსენალში" დაიწყო, მაგრამ საუკეთესო წლები "მანჩესტერ იუნაიტედში" გაატარა. "მანჩესტერსვე" უკავშირდება მისი კარიერის ყველაზე დიდი გამარჯვება - 1999 წლის ჩემპიონთა თასი.

გასულ სეზონში "ფორესტმა" ჩემფიონშიფის საგზური მოიპოვა და რანგით მაღალ ლიგაში ალზევდა. კოული ბავშვობაში ნოტინგემული კლუბის თავგადაკლული ფანი იყო. მას "ფორესტის" სიყვარული ოჯახის წევრებისაგან გამოყვა. ენდის ბაბუა და მამაც ამ კლუბის სტაჟიანი ფანები იყვნენ. კოულმა გასულ სეზონში "სანდერლენდის" შემადგენლობაში მხოლოდ რვაჯერ ითამაშა, ჩემპიონატის მეორე ნახევარი კი ჩემფიონშიფის "ბარნლიში" გაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ვინ გამოაკლდა იუნაიტედს?

## გულშემატკივრები კრისტიანო რონალდოს შესაძლო აბარგების გამო ჩივიან, თუმცა მასზე დიდი დანაკლისი, შეიძლება, კარლუშ კეირუში აღმოჩნდეს...

**ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთბაშად ორი პორტუგალიელი თანამშრომლის შესანარჩუნებლად მოუხდა ბრძოლა. კრისტიანო რონალდოს ბედი ჯერაც გაურკვეველია. კარლუშ კეირუში უკვე გამოეთხოვა ინგლისურ კლუბს და პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, 55 წლის მწვრთნელის აბარგება „იუნაიტედისთვის“ უზარმაზარი დანაკლისია.**

**რაიან გიგზის** ავტობიოგრაფიაში ერთ ასეთ აბზაცს ამოიკითხავთ: *„ის უძღვება ვარჯიშს, გვამზადებს თამაშებისთვის, აგვარებს უთვალავ საორგანიზაციო საკითხს და თითოეულ ჩვენგანს აძლევს საგულისხმო რჩევას, თუ რა კომპონენტზე ჯობია ყურადღების გამახვილება.“* როგორ ფიქრობთ, ვისზე საუბრობს უელსელი ვარსკვლავი? **სერ ალექს ფერგიუსონზე?** არა, ეს აბზაცი „მანჩესტერის“ ყოფილ მეორე მწვრთნელს ეძღვნება.

მთავარი მწვრთნელების ასისტენტები, როგორც წესი, შეუმჩნეველი ფიგურები არიან. არა გვგონია, ბევრმა იცოდეს, რომ **ჟოზე მოურინიოს** თანაშემწეს **ბალტემარ ბრიტო** ერქვა, ანდა, „არსენალის“ წარმატებების სულისჩამდგმელი, **არსენ ვენგერთან** ერთად, მისი მარჯვენა ხელი, **პეტ რაისია.** კეირუში გამონაკლისი იყო ინგლისშიც და მთელ ევროპაშიც. პორტუგალიელი ასისტენტი ტელეკამერების ობიექტივში ლამის ისევე ხშირად ხვდებოდა, როგორც მისი ლეგენდარული ბოსი.

„იუნაიტედში“ კეირუშის მზარდ გავლენაზე ჯერ კიდევ **როი კინი** საუბრობდა. 2005 წელს ირლანდიელმა საკლუბო არხს სკანდალური ინტერვიუ მისცა. ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელები გააკრიტიკა. განსაკუთრებით, მეორე მწვრთნელს შეუტია. კინის გამოსვლა იმით დამთავრდა, რომ მას კონტრაქტი ნაადრევად გაუწყვიტეს და კარისკენ მიუთითეს. ძნელია იმის დამტკიცება, რომ კინის აბარგებაში კეირუშმა რაიმე როლი ითამაშა, მაგრამ მოვლენები უჩვეულოდ დაემთხვა ერთმანეთს.

მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა დანიშვნის დღიდან დიდი უფლებები მიიღო. კეირუშს ტაქტიკის შერჩევისას შეუზღუდავი როლი ჰქონდა დაკისრებული. კლუბთან დაახლოებული წყაროები, მიმომხილველები, აგრეთვე გიგზის ავტობიოგრაფია მოწმობენ, რომ სწორედ კეირუში ხელმძღვანელობდა ოპერაციას, რომლის შედეგად, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოძველებული 4-4-2 სქემიდან უფრო თანამედროვე 4-2-3-1 სქემაზე გადაეწყო. კურსის ცვლილება მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. 2004-05 და 2005-06 წლებში გუნდს ორი წარუმატებელი სეზონი ჰქონდა. გულშემატკივრები „იუნაიტედს“ ზედმეტად ფრთხილი თამაშის გამო აკრიტიკებდნენ. საბოლოოდ, მწვრთნელების ჩანაფიქრმა გაამართლა. გასულ სეზონში „ეშმაკებმა“ პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგეს. „მანჩესტერმა“ იტალიურ გრანდებზე არანაკლებ დაისწავლა დაცვიდან თამაში. გავიხსენოთ მანჩესტერელთა მოსაწყენი, მაგრამ წარმატებული მატჩები „რომასა“ და „ბარსელონასთან“.

კეირუში მანჩესტერელთა სატრანსფერო პოლიტიკაშიც დიდ როლს თამაშობდა. გასულ ზაფხულს მისი უშუალო ლობირებით განხორციელდა **ნანისა** და **ანდერსონის** ტრანსფერები. რა თქმა უნდა, კეირუშმაც დაუშვა შეცდომები, ზოგიერთი ფეხბურთელი, რომელსაც რეკომენდაცია გაუწია, სულაც არ აღმოჩნდა ისეთი მაღალი დონის, როგორიც ეგონა, მაგრამ „იუნაიტედის“ სხვა სატრანსფერო გურუებთან შედარებით, ნამდვილი გენიოსი იყო. **ერიკ ჯემბა-ჯემბა, დიეგო ფორლანი** და **მასიმო ტაიბი** მანჩესტერელთა მთავარმა სკაუტმა **მარტინ ფერგიუსონმა** გადაიყვანა. ეს სამი ფეხბურთელია სერ ალექსის მანჩესტერულ კარიერაში სამი უსუსტეს შენაძენად მიიჩნევა. კეირუშის სახელს კი **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერი უკავშირდება.

უნდა ითქვას, რომ კეირუშის აბარგებამ საგრძნობლად შეამცირა რონალდოს მანჩესტერში დარჩენის ალბათობა. კეირუშს ამ ბიჭზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამ მწვრთნელმა კრისტიანოს აღზრდაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ერთ-ერთ ინტერვიუში ფეხბურთელმა სეუ კარლუში მამასაც კი შეადარა. ამგვარად, სერ ალექს ფერგიუსონს „რეალთან“ სატრანსფერო ომში ძლიერი მოკავშირე გამოაკლდა.

რატომ ვერ მოახერხა „იუნაიტედმა“ ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურის შენარჩუნება? მიმომხილველთა აზრით, კეირუში დარჩებოდა, მისთვის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის გარანტია რომ მიეცათ - რა თქმა უნდა, სერ ალექსის პენსიაში გასვლის შემდეგ. ფერგი ამბობს, რომ „იუნაიტედს“ 70 წლისა დატოვებს. იქამდე კიდევ სამი სეზონია. „მანჩეტერის“ ხელმძღვანელობამ კეირუშს უთხრა, რომ ის აუცილებლად იქნებოდა მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი. კეირუში ამ წინადადებამ არ დააკმაყოფილა. მას მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებულად მხოლოდ პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებებში უმუშავია (1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში). როგორც ჩანს, დირექტორებმა ეს გარემოებაც გაითვალისწინეს. ამიტომ გარანტიების მიცემა სარისკოდ მოეჩვენათ.

ვინ შეცვლის კეირუშს? ამ საკითხზე სპეკულაციები ერთი წუთითაც არ წყდება. კეირუშის აბარგების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, არა ერთი კანდიდატის გვარი დაასახელეს - **მაკლეირი, ფელანი** („მანჩესტერის“ მწვრთნელები), **აიესტერანი** („ლივერპულის“ ყოფილი მეორე მწვრთნელი), **ბლანი** („ბორდოს“ მთავარი მწვრთნელი), **სოლსკიაერი** („მანჩესტერის“ მწვრთნელი), **მანჩინი** („ინტერის“ ყოფილი დამრიგებელი). რამდენიმე ტაბლოიდმა **ერიკ კანტონაც** გაიხსენა, მაგრამ ჩამოთვლილი გვარებიდან ყველაზე ნაკლებად სავარაუდო სწორედ კანტონაა. ის ქარიზმატული პიროვნებაა, მაგრამ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია. „მანჩესტერს“ კი, რაც შეიძლება, გამოცდილი სპეციალისტი სჭირდება, რათა კეირუშის წასვლით დარჩენილი სიცარიელე შეივსოს.

ორიოდ სიტყვით კეირუშის მომავალიც ვახსენოთ. ნაკრებში წარმატების მისაღწევად მას აქვს ყველაფერი - ნიჭიერი და დაბალანსებული შემადგენლობა, საუცხოო ლიდერი კრისტიანო რონალდოს სახით, ფეხბურთელებისა და ფედერაციის მაღალჩინოსანთა პატივისცემა და მხარდაჭერა. მაგრამ ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობაც კი არ არის იმის გარანტია, რომ კეირუშის გუნდი აუცილებლად დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს. ის შესანიშნავი მეორე მწვრთნელი იყო. ახლა კიდევ ერთი შანსი მიეცა, რათა დაამტკიცოს, რომ მთავარი მწვრთნელობაც არანაკლებ ეხერხება. სხვათა შორის, სერ ალექსის ძველმა თანაშემწე **სტივ მაკლარენმაც** ნაკრებში გააგრძელა მოღვაწეობა, თუმცა როგორც დაამთავრა, ყველას კარგად გვახსოვს.

საინტერესოა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ხომ არ ურჩია პორტუგალიურ ფედერაციას კეირუშის დანიშვნა? თუ ასეა, ბრაზილიელის დივერსიული მუშაობა ფრიადზე უნდა შევაფასოთ. და თუ კრისტიანო რონალდოსაც მან ჩააგონა, რომ მადრიდში უნდა წავიდეს, გამოდის, რომ უმთავრესი კონკურენტისთვის აუნაზღაურებელი ზიანი მიუყენებია.

„იუნაიტედის“ გულშემატკივრები ნერვიულობენ იმის გამო, რომ კრისტიანო რონალდოს დაკარგვა ემუქრებათ. თუმცა შესაძლოა, „მანჩესტერისთვის“ სხვა პორტუგალიელის აბარგება უფრო დიდი დანაკლისი აღმოჩნდეს.



კარლუშ კეირუში და სერ ალექს ფერგიუსონი

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

პრიმერა დივიზიონი

# ესპანური ფეხბურთი ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა

## პრიმერას კლუბების ერთმა ნაწილმა პროფესიულ ლიგაში გარანტია ვერ წარადგინა

ესპანურ ფეხბურთს სერიოზული ფინანსური კრიზისის ხანა დაუდგა. მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებამ შარშან "ლევანტეს" გასაჭირის შესახებ შეიტყო. ცნობილი გახდა, რომ ვალენსიური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს ხელფასებს ვერ უხდიდა და მათ მუქთად ამუშავებდა. გამორიცხული არ არის, წელს "ლევანტეს" ბედი პრიმერა და სეგუნდა დივიზიონების კიდევ არა ერთმა კლუბმა გაიზიაროს. რა თქმა უნდა, გაკოტრების საფრთხე ძლიერ კოლექტივებს არ ემუქრებათ. საუბარი, მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბებზეა.

ახალი სეზონის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დრო რჩება. ჯერ კალენდარიც არ გამოქვეყნებულა, მაგრამ პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ პირველ და მეორე დივიზიონებში მონაწილე კლუბებისგან გარანტია ამთავითვე მოითხოვა. გუშინ გაირკვა, რომ ეს გარანტია პრიმერა დივიზიონის რამდენიმე გუნდმა ვერ შეიტანა. მათ შორისაა "ვალიადოლიდი" და "რასინგი". პროფესიული ლიგა დანარჩენების ვინაობას ჯერჯერობით, რატომღაც, არ ახმაურებს. ესპანეთში მოქმედი კანონის მიხედვით, პრიმერაში მოასპარეზე ფეხბურთელების მინიმალური წლიური ხელფასი 66 ათას ევროზე ნაკლები არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ იქაური პროფესიული ლიგა დოკუმენტების განხილვისას ცალკეულ ფეხბურთელებთან გაფორმებული კონტრაქტების ასლებს არ ითხოვს. ისინი მარტივ არითმეტიკას იყენებენ. ანუ, სახელფასო ფონდი მინიმუმ 23-ჯერ 66 ათასი უნდა იყოს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, უეფას თასზე გასულმა "რასინგმა" გარანტია ვერ წარადგინა. არადა, **გარაის** გაყიდვით სანტანტერულმა კლუბმა საკმაოდ სოლიდური ფული იშოვა. როგორც ჩანს, "ვალიადოლიდს" კიდევ უფლო სერიოზული პრობლემები აქვს. "რასინგმა" იმის პირობა მაინც დადო, რომ 2 კვირაში პროფესიულ ლიგაში ყველა საჭირო დოკუმენტს შეიტანს. კასტილიელები კი კონკრეტულ თარიღსაც ვერ ასახელებენ.

ესპანელ ჟურნალისტებს თუ დავუჯერებთ, სეგუნდა დივიზიონში კიდევ უფრო რთული სიტუაციაა. იქ ერთბაშად 9 კლუბს აქვს პრობლემები. დასასრულს ერთ საინტერესო დეტალს გაგიმხელთ. 2005 წელთან შედარებით, პრიმერა დივიზიონის მოთამაშეთა ხელფასების საშუალო ოდენობა 50 პროცენტით შემცირდა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ ესპანურ ფეხბურთში მართლაც მწვავე ფინანსური კრიზისი სუფევს. მხოლოდ "ბარსელონა" და "რეალი" ხომ არ არის პრიმერა დივიზიონი. მაგალითად, "ვალენსია" ავიღოთ. ამ კლუბს სახელფასო გარანტიის წარდგენა არ უჭირს, მაგრამ "ვალენსიას", მაინცდამაინც, "ვალიადოლიდს" ნუ შევადარებთ. "ღამურები", კასტილიელებისგან განსხვავებით, ამბიციურ მიზნებს ისახავენ, მაგრამ მათი რეალიზებისთვის ფული არ ყოფნით. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ **უნაი ემერის** გუნდს გაძლიერება სჭირდება, მაგრამ კარგ ფეხბურთელს არათუ უფულოდ, იაფადაც არავინ დაგითმობს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### გარი ნევილი მწვრთნელობისთვის ემზადება

ზაფხულის არდადეგებისას **გარი ნევილს** დრო უქმად არ დაუკარგავს. მან, **რაიან გიგზმა** და **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** სამწვრთნელო ლიცენზიები აიღეს. ცოტა ხანში, 33 წლის ვეტერანი პენსიაში გავა. მან უკვე იცის, რაც გააკეთებს აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ. გასულ სეზონში გარიმ მძიმე ტრავმის გამო მხოლოდ ერთი თამაში ჩაატარა — „რომასთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. მას პრემიერლიგაში საერთოდ არ უთამაშია. 2007 წლის მარტში ნევილი მძიმედ დაშავდა და 13 თვის განმავლობაში მინდორზე გასვლა ვერ შეძლო. სარეაბილიტაციო კურსი დასასრულს უახლოვდება. გასულ უქმეებზე გარიმ „აბერდინთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ერთი ტაიმი ითამაშა. ტრავმას თავი აღარ შეუხსენებია. მაგრამ შესვენებისას, ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეცვალეს. **სერ ალექს ფერგიუსონს** გარისკვა არ სურს. სადაცაა, ახალი სეზონი დაიწყება. მას სალსალამათი კაპიტანი სჭირდება.

### ლივერპულს აგერი გამოუჯანმრთელდა

გასულ უქმეებზე "ლივერპულმა" "ტრანმერთან" ამხანაგური მატჩი ჩაატარა. მერსისაიდელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ლივერპულელთა შემადგენლობაში დანიელმა მცველმა, **დანიელ აგერმა** ითამაშა. 23 წლის ფეხბურთელს ტერფის მოტეხილობის გამო, 10 თვე გაუცდა. მის არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში ვეტერანი **სემი ჰიიპია** დაბრუნდა. 35 წლის ფეხბურთელმა 44 შეხვედრა ჩაატარა. მან მაღალ დონეზე იასპარეზა. ამიტომ სეზონის დასრულებისთანავე ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. აგერის გამოჯანმრთელება იმას ნიშნავს, რომ სემის ისევ თადარიგში მოუწევს ჯდომა. ფეხბურთელმა თანაგუნდელს გამოჯანმრთელება მიულოცა, თუმცა განაცხადა, რომ ძირითადში ადგილის შესანარჩუნებლად ძალასა და ღონეს არ დაიშურებს. ჰიიპია "ლივერპულში" 1999 წლის ზაფხულში ჩაირიცხა. ის გუნდის ძველ გვარდიას მიეკუთვნება.

### უინტერბერნი ბლექბერნში დაინიშნა

"ბლექბერნის" მეორე მწვრთნელად "არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი ნაიჯელ **უინტერბერნი** დაინიშნა. ვარდების თავკაცმა **პოლ ინსმა** მას მცველების განვრთნა დაავალა. უინტერბერნს "არსენალის" გარდა, "ვესტ ჰემსა" და "უიმბლდონშიც" უთამაშია. მან მეთოფეების შემადგენლობაში 13 წელიწადი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში 440-ჯერ მოირგო ლონდონელების მაისური. მის დროს "არსენალში" ჯერ კიდევ ბევრი ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობდა. უკანა ხაზი მთლიანად ინგლისური იყო - მეკარე **დევიდ სიმენი**, მცველები: **ლი დიქსონი, ტონი ადამსი, სტივ ბულდი** და **უინტერბერნი**. ყოფილმა მარცხენა მცველმა ინგლისის ნაკრებში ორი მატჩი ჩაატარა (**გრემ ტეილორის** მწვრთნელობისას). მთელი კარიერის განმავლობაში მან 678 მატჩსა და 17 გოლს მოუყარა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ლუბა გოლოვინა, ბატუტზე ხტომა

# ტელევიზორს თავდაყირა უყურებდა...

დარბაზი გაისუსა, გოგონაც უძრავად ემხო ბატუტზე და ხმას არ იღებდა. მერე სლუკუნით ასწია თავი და ცრემლიანი თვალები მოავლო ტრიბუნებს. ნელა წამოდგა, იატაკზე ჩამოხტა და ნაბიჯი რომ არ წაუდგამს, ისე ერთ წერტილს მიაშტერდა. ამ დროს მამაკაცი მოუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, დაამშვიდა, მერე - ხომ შეიძლება, გაკოცოო, ჰკითხა. ის იყო, უცნობი დაიხარა, რომ გოგონამ უცებ თავი განზე გასწია.

- არ შეიძლება. მამამ გამაფრთხილა, უცხო კაცებს არ აკოცნინოო, - ისე ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი, რომ ახლომახლო ყველამ გაიგონა. უცნობი ჯერ გაშრა, მერე გულიანად გადაიხარხარა, სხვებიც აჰყვნენ. გოგონამ მაჯით ცრემლი მოიწმინდა და მასაც გაებადრა სახე.

ის უცნობი მამაკაცი ისრაელის ბატუტზე მხტომელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საერთაშორისო ფედერაციის წევრი **ბორის ეპილბაუმი** გახლდათ, თვალცრემლიანი გოგონა კი - საქართველოს ახალგაზრდა ბატუტისტთა ნაკრების წევრი **ლუბა გოლოვინა.** მაშინ იგი ათი წლისა იყო, ახლა უკვე 18 წლისაა (1990 წლის 20 აპრილს დაიბადა). დიდი სპორტიდან სახელოვანი მხტომელის **რუსუდან ხოფერიას** წასვლის შემდეგ ჩვენს ბატუტისტებში ლიდერობა ლუბამ იგდო ხელთ. უფროსებში 2007 წლის გაზაფხულზე იასპარეზა პირველად კანადაში მსოფლიო თასზე, სადაც ისეთმა უძლიერესმა ათლეტებმა მოიყარეს თავი, როგორებიც არიან ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი რუსი **ირინა კარავაევა**, ოლიმპიადების პრიზიორები - კანადელი **კარენ კოკბურნი**, ჩინელი **შან-შანი** და სხვები. 17 წლის თბილისელმა სპორტსმენმა დებიუტი მეხუთე ადგილით აღნიშნა. ამის შემდეგ მამასთან - **ვლადიმირ გოლოვინთან** და საქართველოს ნაკრების თავკაც **ზაურ სულაშვილთან** ერთად კვებეკის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეუდგა მზადებას...

სანამ ლუბა მწვრთნელებთან ერთად გადამწყვეტი ორთაბრძოლებისთვის ვარჯიშებს ამუშავებს, ჩვენ მის მიერ განვლილ გზას გადავხედოთ, ცხადია, სპორტსმენისვე დახმარებით.

პატარაობისას ერთობ მოუსვენარი ყოფილა. სავარძელში თავდაყირა იდგა, თურმე, და ისე უყურებდა ტელევიზორში მულტფილმებს. ერთხელ, ამ სურათს შესწრებია **ნინა დრონოვას** აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ვალენტინა კლიმოვა**, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ლუბას დედას, სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს სამგზის ჩემპიონს **ლუდმილა სოროკინას** წვრთნიდა (სხვათა შორის, ლუბას მამა - ვლადიმირიც ტანმოვარჯიშე იყო, ერთ დროს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი). სწორედ, ქალბატონ ვალენტინას ურჩევია მშობლებისთვის, ბავშვი ბატუტზე ხტომის სექციაში მიიყვანეთო. ასე დაიწყო ლუბა გოლოვინას გზა დიდ სპორტში. უკვე ხუთი წლისამ მოსკოვის ღია პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. იქიდან მოყოლებული, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ერთ ტურნირზე კვარცხლბეკს მილმა არ დარჩენილა. ახალგაზრდებში ყველაზე დიდ წარმატებას 2005 წელს ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში მსოფლიო პირველობაზე მიაღწია.

- ფინური ტიპის კოტეჯებში დაგვაბინავეს, - იხსენებს სამი წლის წინანდელ ამბებს ლუბა. - მე და მამაჩემი მეორე სართულიდან ხვეული კიბეებით ძირს რომ ვეშვებოდით, ფეხი დამისრიალდა და დავგორდი.

**- Очнулся, гипс...**

- (იცინის) არა, საქმე აქამდე არ მისულა. ექიმმა მითხრა, სერიოზული არაფერიაო. მართლაც, ტკივილმა მალე გაიარა. კარგ მინიშნებადაც ჩავთვალე ეს ფაქტი, რადგან 2003 წლის ერთი შემთხვევა გამახსენდა: კუნძულ კრეტაზე "ისლანდიის თასის" გათამაშებაზე ვიყავი. დამლაგებელი სასტუმროს დერეფანს სველი ჩვრით წმენდდა. ამ დროს მეც გამოვიარე, ფეხი დამიცურდა და დავეცი. რუსუდან ხოფერიამ და **სოფო გულიაშვილმა** იდაყვზე სველი ნაჭერი დამადეს და შემიხვიეს. ასე მტკივანი ხელით ვიასპარეზე და თასი მოვიგე. ჰოლანდიაში უფრო რთულად იყო საქმე: საშეჯიბრო ბატუტი მხოლოდ მოთელვისას მოვსინჯე და ვერ გავითვალისწინე მისი თავისებურებები. მეორე ელემენტის შესრულებისას ბატუტის კიდეზე დავეშვი და წონასწორობა დავკარგე. ვარჯიში რომ არ ჩამშლოდა, ექსპრომტად შევცვალე პროგრამა, ცხადია, ამან შეფასებაზე იმოქმედა და ფინალში მეხუთე შედეგით შევედი. იქ კი ყველაფერი კარგად წავიდა - 12,7 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შევასრულე და ჩემპიონობა მოვიპოვე. ვერცხლის პრიზიორს უზბეკ **ანა სავკინას** 2,5 ქულით ვაჯობე.

**- შარშანწინ საფრანგეთში ევროპის პირველობაც დიდი უპირატესობით მოიგე...**

- შეჯიბრების წინ მუხლის ტრავმამ შემახსენა თავი და სათანადოდ ვერ მოვემზადე. ამის მიუხედავად, მაინც დავჯაბნე მეტოქეები. მეცში საკვალიფიკაციო ხტომების შემდეგ 2,2 ქულით ვუსწრებდი უახლოეს მდევარს - უკრაინელ **ვიქტორია გუროვას**, ამიტომ ფინალში არ გამირისკავს - 11,1 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშით ოქროს მედალი დავიმსახურე. საფრანგეთში საგულისხმო ის იყო, რომ მე, **თამარ კაკაშვილმა** და **ნანა ლუჭაშვილმა** გუნდურში მესამე ადგილი დავიკავეთ...



ლუბა გოლოვინა

და აი, მივადექით კვებეკს. თუმცა, სანამ ოკეანეს გადაუფრენდა, ლუბა მსოფლიო თასის ბულგარეთისა და რუსეთის ეტაპებზე გამოვიდა. რადგანაც ტრავმა ჯერ კიდევ ბოლომდე მოუშუშებელი ჰქონდა, ტურნირებზე სრული დატვირთვით არ უასპარეზია. კანადის მსოფლიო ჩემპიონატი ქართველთათვის უსიამოვნო ფაქტით დაიწყო - გოლოვინამ მოთელვისთვის განკუთვნილ დროს გადააცილა და 0,5 ქულა თავიდანვე დაკარგა. ამის მიუხედავად, ოლიმპიადაზე წამსვლელთა თექვსმეტეულში მე-14 ადგილი დაიკავა. დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი როდია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსმა მსაჯმა **ლუდმილა მენეჟანმა**, რომელიც რუსთავშია დაბადებული, ჩვენს მხტომელს ძალიან დაბალი ქულა დაუწერა. საქართველოს დელეგაციის წევრებმა პროტესტი მაშინვე გადასცეს მსაჯთა კოლეგიას და რუსეთის მხარეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ყოველივეს მიუხედავად, გოლოვინამ ლიცენზია დაიმსახურა და პეკინში იასპარეზებს.

**- თქვენი შეგირდის საოლიმპიადო პერსპექტივებს როგორ აფასებთ?** - ვკითხე ზაურ სულაშვილს.

- ლუბა ძალიან ახალგაზრდაა. ნელა იძენს უფროსებთან პაექრობის გამოცდილებას. უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში ისახელა თავი. ამჟამად 13,7 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშის დახვეწაზე მუშაობს. უნაკლოდ თუ შეასრულებს, ოლიმპიადაზე ფინალში მოხვედრა შეუძლია. იქ კი ყველაფერია მოსალოდნელი. ანა დოლონაძე სიდნეიში წინასწარი ვარჯიშების შემდეგ პირველი იყო და საბოლოოდ მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, ათენში მე-6 შედეგით შევიდა ფინალში, თუმცა ჩემპიონი გახდა.

- ივნისის მიწურულს ესპანეთში მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე ვიასპარეზეთ, - ჩაერია საუბარში საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსუდან ხოფერია. - უძლიერესი შემადგენლობა გამოდიოდა. ლუბამ მე-4 ადგილი დაიკავა - მცირედით ჩამორჩა ოლიმპიურ ჩემპიონს კარავაევას, რომელიც "ბრინჯაოს" დასჯერდა. პირველი-მეორე ადგილები ჩინელებმა გაიყვეს. უძლიერესი იყო ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი შან-შანი. მათთან პაექრობამ დაგვარწმუნა, რომ ლუბას პეკინში შეუძლია რვა საუკეთესოში მოხვდეს. არიან მხტომელები, რომლებიც ლუბაზე მაღალი სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშებს ასრულებენ, მაგრამ ჩვენ სავალდებულო პროგრამის ხარჯზე უნდა გავიდეთ ფონს, სადაც უფრო მეტად ტექნიკა ფასობს. გოლოვინა აქ, ტრადიციულად, ძლიერია. ფინალში მოხვედრის შანსი გვაქვს. იქ კი, როგორც ბატონმა ზაურმა ბრძანა, ყველაფერია მოსალოდნელი.

ერთიც მინდა დავძინო: ლუბა თამაშების არა მარტო დებიუტანტია, არამედ ოლიმპიელ ბატუტზე მხტომელთა შორის - ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა. პეკინის შემდეგ, როცა ვეტერანები დატოვებენ დიდ სარბიელს, ჩვენი სპორტსმენი აშკარა ფავორიტად იქცევა და ნებისმიერი შეჯიბრებიდან მისგან მხოლოდ მედლებს უნდა ველოდოთ...

ლუბა გოლოვინა მწვრთნელებთან ერთად კიევში იმყოფებოდა შეკრებაზე, საიდანაც სამშობლოში დღეს დაბრუნდება.

ვაჟა დანელია

რაგბი. შვიდკაცა

# ევროპის ჩემპიონატის შემდეგ



საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ახლახან გერმანიის ქალაქ ჰანოვერში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი უკვე მეექვსედ ერთა თასზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი მეტოქე, პორტუგალიის ნაკრები გახდა.

ჰანოვერში დაკავებულმა მესამე ადგილმა შვიდკაცა ბორჯღალოსნები მსოფლიო შვიდკაცა რაგბის მარაქაში დააბრუნა. ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებასთან ერთად შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიაში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ქართველი მეშვიდკაცეები დუბაის მსოფლიო თასის გარდა, გაისად საფრანგეთსა და შოტლანდიაშიც იასპარეზებენ პლანეტის სდაუკეთესო გუნდებთან ერთად.

ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, რაგბის ამ სახეობის მიმართ ჩვენში გაზრდილ ყურადღებას მოითხოვს. რა დასამალია, ბოლო წლებში შვიდკაცა რაგბში პოზიციები დავთმეთ. თუმცა ჰანოვერის შეჯიბრებამ ქართველი მეშვიდკაცეების "შელახული რეპუტაცია" ისევ აღადგინა.

პოტენციალი ქართულ რაგბიში ამოუწურავი რომაა, ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა. ნაკრების თითოეულმა მორაგბემ ყველაფერი გაიღო მიზნის მისაღწევად და, შესაბამისად, მათზე აუგის სათქმელად ენა არავის მოუბრუნდება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰანოვერში რამდენიმე ძლიერმა ქართველმა მორაგბემ ვერ შესძლო გამგზავრება. **ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გუნდიშვილი** და **დავით კაჭარავა** საკმარისად სერიოზული ძალაა იმისთვის, რომ ქართველთა გუნდი შინ ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებულიყო. მაგრამ, არის ერთი დეტალიც. ყველა ესენი და ის მორაგბეებიც, რომლებმაც ჰანოვერში ღირსეულად იასპარეზეს, ეროვნული ნაკრების წევრები არიან და ორ ფრონტზე [illegible] ას, როგორც წესი, დიდი ენერგია, დრო და, გნებავთ, ჯანმრთელობაც მიაქვს. არადა, უელსთან ტოლ-სწორად თამაშმა და მესამე ადგილისთვის ირლანდიელებთან გამარჯვებამ გვიჩვენა, რომ კლასიკურ, 15-კაცა რაგბთან ერთად შვიდკაცაშიც შეგვწევს ძალა ელიტარულ გუნდებთან ბრძოლისა.

ევროპის სერიის წლევანდელი ორი ეტაპი (სოპოტი, თბილისი) და ჰანოვერის ტურნირი სერიოზულ, დეტალურ ანალიზს მოითხოვს. გვინდა თუ არა, სავარაუდოდ, 2016 წლისთვის შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა გახდება. ყოველ შემთხვევაში, IRB-ის ახალი შეფი **ბერნარ ლაპასე** ძალისხმევას არ ზოგავს ამის მისაღწევად და, ვფიქრობთ, მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის მთავარი მიზანიც ესაა.

ერთი სიტყვით, საქართველოში შვიდკაცა რაგბს სერიოზული მიხედვა ესაჭიროება, თუნდაც იმიტომ, რომ თამაში, თანაც მაღალ დონეზე, რეალურად შეგვიძლია. შესამუშავებელია რაგბის ამ სახეობის განვითარების სპეციალური პროგრამა. შვიდკაცა სპეციფიკური თამაშია - მწვრთნელებსა და აღმზრდელებს შესაბამისი ცოდნა მოეთხოვებათ. მარტო ნიჭითა და თავდადებით შორს, ძალიან შორს რომ ვერ წავალთ, ესეც ცხადია.

დღეს, კაფე "მსოფლიო სპორტში" რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა პრესკონფერენციას გამართავს, სადაც, სავარაუდოდ, მომავლის გეგმებზეც ისაუბრებენ. მანამდე კი ისღა დაგვრჩენია, შვიდკაცა რაგბის მსოფლიო ფერხულში დაბრუნება მივულოცოთ ქომაგს.

ბესიკ ჯანგავაძე

ტრანსფერები

## მამუკა მაგრაქველიძემ ოში დატოვა

საქართველოს ნაკრების პირველხაზელმა **მამუკა მაგრაქველიძემ** პირველი დივიზიონიდან მეორეში გამოვარდნილი "ოში" დატოვა. "ქირვანამ" ახლახან ამავე დივიზიონის "ტარბთან" გააფორმა ხელშეკრულება. შეგახსენებთ, რომ "ტარბში" გასულ სეზონში კიდევ ერთი პირველხაზელი **იგორ ბარბაქაძე** ირჯებოდა, რომელსაც კონტრაქტი კლუბთან დაუმთავრდა და ამჟამად თავისუფალი აგენტია.

ბესიკ ჯანგავაძე

**საქართველოს თასი. მეოთხედფინალი**

**აია-ლოკომოტივი 0:27**
**უნივერსიტეტი-არმაზი (ჩაიშალა)**
**ყოჩები-აკადემია (გადაიდო)**
**ლელო-დინამო (19 ივლისი)**

სუმო

# ქართველებმა მოგება-წაგება გაცვალეს

გუშინ, ნაგოიას ბაშოზე **ლევან ცაგურიამ** (**კოკაი**) და **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**) როლები გაცვალეს – უფრო გამოცდილმა ქართველმა სუმოისტმა ტურნირზე პირველი გამარჯვება იზეიმა, მეორემ კი პირველად წააგო. არადა, ორთაბრძოლები ისე წარიმართა, წესით, კოკაი აგებდა, ხოლო ტოჩინოშინი იგებდა. კოკაის მეტოქე ყოფილი სეკივაკე, 36 წლის **ტამაკასუგა** იყო. ქართველს მეტოქის კონტრშეტევა გაეპარა და მხოლოდ დოჰიოს კიდეზე, შესძლო თავის შეკავება, ბოლოს კი ჰატაკიკომის წყალობით გამარჯვებაც. ტოჩინოშინმა კი ეგრევე შეუტია დებიუტანტ **მასაცუკასას**, მაგრამ მეტოქის მავაში ხელთ ვერ იგდო და წონასწორობა დაკარგა. ორივე ქართველს 1-1 ბალანსი აქვს.

დღეს კოკაი ყოფილ ჩემპიონს (ოძეკის) **დეჯიმას** დაეჭიდება, რომელიც ახლა მე-8 მაეგაშირაა და 1-1 ბალანსი აქვს ქართველის დარად. მარტის ბაშოზე ამათი დაპირისპირება კოკაის სასარგებლოდ დასრულდა. ტოჩინოშინს კიდევ ერთ დებიუტანტთან - **ჩიოჰაკუჰოსთან** მოუწევს ბრძოლა.

მესამე დივიზიონში ასპარეზობა მარცხით დაიწყო **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**). მან ოშიდაშით წააგო **კაგამიოსთან**. თუკი ამ ბაშოსაც უარყოფითი შედეგით დაასრულებს, გაგამარუ მესამე დივიზიონიდან გავარდება.

ბაშოზე კი სასწაულებს ახდენს კომუსუბის ტიტულის მფლობელი **ტოიონოშიმა**. იაპონელი, რომელიც 170 სანტიმეტრიც არაა სიმაღლეში რისხვად მოევლინა ჯერ დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს**, შემდეგ – ჩემპიონ **კაიოს**. დღეს, ტოიონოშიმა იმპერატორის თასის ამჟამინდელ მფლობელ, ბულგარელ **კოტოოშუს** ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



**ნაგოიას ბაშო**

ივლისის სუპერტურნირი
13-27 ივლისი. აიჩის გიმნაზიუმი (იაპონია)

**II დღე**

მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 10)-ტამაკასუგა (მ 11) 1:0 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 14)-მასაცუკასა (მ 16) 0:1 (ჰატაკიკომი); ჰაკუჰო (ი)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; ასაშორიუ (ი)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; კოტომიცუკი (ო)-კისენოსატო (კ) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-კაიო (ო) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ასასეკირიუ (მ 2) 1:0; კოტოოშუ (ო)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; კოტოშოგიკუ (ს)-ფუტენო (მ 3) 1:0; ამა (ს)-ტოჩინონადა (მ 3) 1:0; გოეიდო (მ 4)-ბარუტო (მ 5) 1:0; ვაკანოსატო (მ 4)-მიაბიამა (მ 5) 1:0.

**III დღე**

მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 10)-დეჯიმა (მ 8); ტოჩინოშინი (მ 14)-ჩიოჰაკუჰო (მ 16); ასაშორიუ (ი)-ამინიშიკი (მ 1); ჰაკუჰო (ი)-ვაკანოჰო (მ 1); კაიო (ო)-ჰოკუტორიკი (მ 2); ჩიოტაიკაი (ო)-კისენოსატო (კ); კოტოოშუ (ო)-ტოიონოშიმა (კ); კოტომიცუკი (ო)-ასასეკირიუ (მ 2); ამა (ს)-ვაკანოსატო (მ 4); კოტოშოგიკუ (ს)-გოეიდო (მ 4); ფუტენო (მ 3)-მიაბიამა (მ 5); ტოჩინონადა (მ 3)-ბარუტო (მ 5).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ ბექა წივწივაძესთან

# ელიტაში უნდა დავრჩეთ!



ბექა წივწივაძე

ახალი თაობის ქართველი გამთამაშებლებიდან, ბექა წივწივაძე ერთ-ერთი საუკეთესოა. 19 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა სტუ-სა და "აკადემიაში" ჩამოყალიბდა, მერე ლიტვურ საბონისის აკადემიასა და "ატლეტასში" იმაღლებდა კლასს, წლევანდელი სეზონი კი "ვითაში" გაატარა. პარალელურად, ბექა ასაკობრივ ნაკრებებში იმკვიდრებდა თავს. იგი ამჟამად, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე, ბექა წივწივაძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

**- უპირველეს ყოვლისა, განვლილი სეზონი გავიხსენოთ...**

- მთლიანობაში, ჩემთვის წარმატებული სეზონი არ ყოფილა. იყო უამრავი ტრავმა, მერე ფორმის ნაჩქარევად აღდგენა და არც ისე დიდი წარმატება "ვითასთვის". დარწმუნებული ვარ, რა შემადგენლობა და მწვრთნელებიც გვყავდა, ამით უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო. როგორც იცით, ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე, რის გამოც ერთი თვე ვერ ვვარჯიშობდი და სეზონის დიდი ნაწილი გამიცდა. ისე, "ვითაში" ჩემს გარდა კიდევ ბევრ კალათბურთელს ჰქონდა ტრავმა. განსაკუთრებით მტკივნეული იყო ბუბა ბერიშვილის, დავით ბერძენიშვილის, გიორგი მარკოიშვილისა და ჩემი ტრავმები. გუნდი ვერ შეიკრა, თავისი თამაში ვერ ანახა, რადგან ბევრი მატჩი არაოპტიმალური შემადგენლობით ჩავატარეთ. ასე რომ არ მომხდარიყო და ყველა ჯანმრთელად ვყოფილიყავით, უფრო მაღალ ადგილს დავიკავებდით.

**- აპირებ თუ არა "ვითაში" დარჩენას?**

- ჯერ ევროპის ჩემპიონატი მაქვს სათამაშო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. მხოლოდ ამის შემდეგ მივხედავ საკლუბო საქმეებს.

**- რაიმე შემოთავაზებები გაქვს?**

- არის რაღაც ვარიანტები, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ჯერ ამისთვის არ მცალია - წინ ევროპის ჩემპიონატია.

**- კონკრეტულად, რომელმა კლუბებმა მოგმართეს, მხოლოდ ქართული ვარიანტები გაქვს თუ უცხოურიც?**

- ქართული გუნდების გარდა, ლიტვური და ლატვიური ვარიანტები მაქვს.

**- ოპტიმალურ ფორმაში ხარ?**

- ჯერ არა, მაგრამ სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და იმედი მაქვს, რომ სასურველ ფორმაში მალე შევალ. მთელი ნაკრები ავთო ბერიძესთან ვემზადებით, რომელიც ფიზმომზადების მხრივ, საქართველოში საუკეთესო სპეციალისტია. მართალია, ვიღლებით, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ასეა საჭირო...

**- განვლილ სუპერლიგას როგორ შეაფასებ?**

- წლეულს ძალიან კარგი ჩემპიონატი გვქონდა. ექვსივე გუნდს შეეძლო ერთმანეთის დამარცხება, რაც მოედანზე არაერთხელ გამოჩნდა. მაგალითად, ბოლოადგილოსან "მაკაბს" სანამ გიორგი შერმადინი ჰყავდა, ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეეძლო. ერთადერთი, რამაც ცოტა გააუფერულა სუპერლიგა, მაყურებლის ნაკლებობა იყო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ გაისად ტრიბუნებზე გულშემატკივრის რაოდენობა გაიზრდება. მთლიანობაში, წლევანდელი სუპერლიგა წინა სეზონზე დინამიური და კარგი საყურებელ-სათამაშო გამოდგა.

**- ახალგაზრდულ ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი თუ ჰყავს?**

- არა, ასეთი კალათბურთელი არ გვყავს. გუნდში ბევრი გამოცდილი კალათბურთელია და ასაკიდან გამომდინარე, ყველა ვცდილობთ, რომ ჩვენი ძლიერი მხარეები და გამოცდილება ნაკრებს მოვახმაროთ. ვნახოთ, ვის როგორ წაუვა თამაში, რა შედეგს მოიტანს ჩვენი მონდომება და მწვრთნელთა შრომა-გამოცდილება. მართალია, ევროპის ჩემპიონატზე რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ იმედია, ელიტაში ადგილს შევინარჩუნებთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გულშემატკივარს იმედები არ გავუცრუოთ.

**- შენ ძირითადად, პირველ ნომრად თამაშობ არა?**

- დიახ, მაგრამ მეორე ნომრად თამაშიც შემიძლია და ამ პოზიციაზეც მშვენივრად ვგრძნობ თავს. პირველი ნომერი, ანუ გამთამაშებელი გუნდის დირიჟორია, რომელსაც თამაშის დალაგება ევალება, მეორე ნომერი კი უფრო შეტევებშია ჩართული, ქულებს აგროვებს და სტაბილური სროლა მოეთხოვება. სადაც მწვრთნელები დამაყენებენ, იქ ვითამაშებ და შევეცდები, ნაკრებს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო.

**- ნაკრების თავკაცი დავით უსტიაშვილი ვარჯიშებზე შენ და გიორგი გაფრინდაშვილს გაყენებთ ხოლმე სასტარტო ხუთეულში?**

- ხან ერთმანეთის გვერდიგვერდ ვთამაშობთ, ხანაც მოწინააღმდეგეები ვართ. საბოლოოდ, მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ ვინ სად და რამდენი ხნით დადგება. მთავარია, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის შევძლოთ სრული კონცენტრაცია, ძალების რაციონალურად გადანაწილება და ყველაფერი კარგად იქნება. ნაკრებში ბევრი ტრავმირებულია. მე სამჯერ ვიტკინე ფეხი, რიჩარდ მათიაშვილსაც ფეხის მიკროტრავმა აქვს, გიორგი შერმადინს მუცლის არეში მწვავე ტკივილები აწუხებს, ჯგერენაიას კუნთი დაეჭიმა, გადაღლილია ამერიკიდან ახლად ჩამოსული ფაცაცია...

თუმცა, ჩვენ ერთი ოჯახივით ვართ, ერთმანეთს მაქსიმალურად ვუდგევართ მხარში და შევეცდებით, რომ ევროპის ჩემპიონატზე დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ექვსი დღით გვიან ვიწყებთ

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის საბოლოო გეგმა. თავდაპირველად გამოცხადებულმა გეგმამ მცირე ცვლილება განიცადა - 25 ივლისის ნაცვლად, მოსამზადებელი ეტაპი დაიწყება 31 ივლისს.

მთლიანობაში, განრიგი ასეთია:

**31 ივლისი-4 აგვისტო**

თბილისი. საწვრთნელი შეკრება საქართველოში მოთამაშე კალათბურთელთა გაფართოებული შემადგენლობისთვის

**4 აგვისტო**

სამედიცინო შემოწმება

**5-13 აგვისტო**

თბილისი. ნაკრების საწვრთნელი შეკრება

**14 აგვისტო**

გამგზავრება კიევში

**15-16 აგვისტო**

ორი ამხანაგური საკონტროლო მატჩი უკრაინის ეროვნულ ნაკრებთან

**17-23 აგვისტო**

სტამბოლი. საწვრთნელი შეკრება

**24 აგვისტო**

გამგზავრება რიგაში

**25-27 აგვისტო**

რიგის საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობენ საქართველო, ლატვია, ჩეხეთი და საფრანგეთი

**28 აგვისტო**

გამგზავრება ვენაში

**29-30 აგვისტო**

ორი ამხანაგური საკონტროლო მატჩი ავსტრიის ეროვნულ ნაკრებთან.

**31 აგვისტო**

გამომგზავრება თბილისში

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები:

**5 სექტემბერი**

საქართველო-ლუქსემბურგი (თბილისი)

**10 სექტემბერი**

ირლანდია-საქართველო (დუბლინი)

**13 სექტემბერი**

საქართველო-სლოვაკეთი (თბილისი)

**17 სექტემბერი**

შვედეთი-საქართველო (უმეო)

**კობა ხატისაშვილი**

ხელბურთი

# თამაზ თევზაძე ევროხელბურთის მეთოდკომისიაში?

**25-26 სექტემბერს, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში კონგრესს გამართავს, სადაც მმართველი ორგანოების არჩევნებსაც ჩაატარებს. ევროპის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ხელბურთის განვითარების მეთოდკომისიაში არჩევის ერთ-ერთი კანდიდატია საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე. ეს ინფორმაცია გუშინ ბატონმა თამაზმაც დაგვიდასტურა.**



თამაზ თევზაძე

- ამ ორგანოში ოთხი წლის წინაც ვიყრიდი კენჭს და მაშინ 2 ხმით წავაგე ესრაელის წარმომადგენელ იცხაკ თეომიმ ფრანკელისთან. გადავწყვიტე, რომ წლეულსაც ვცადო ბედი და ჩემი კანდიდატურა ევროპის ფედერაციაში საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ წარადგინა.

**- ამჯერად ვინ გეყოლებათ კონკურენტებად?**

- პოლონელი ჯერზი ელიასჟი და რუმინელი ტატიანა კოჟოკარუ.

**- რა ფუნქციები აკისრია ხელბურთის განვითარების მეთოდკომისიას?**

- იგი მუშაობს ახალგაზრდული და სასკოლო ხელბურთის განვითარებისა და ხელბურთის პოპულარიზაციის მიმართულებით, ორგანიზებას უკეთებს არაოფიციალურ შეჯიბრებებს.

**- შემოდგომით საქართველოს ხელბურთის ფედერაციაც ჩაატარებს არჩევნებს და იქ დაბრუნებას თუ აპირებთ?**

- ეს ახალ ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული. ისე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ფედერაციაში ვიქნები თუ არა - სადაც არ უნდა ვიყო, ქართულ ხელბურთს მუდამ მაქსიმალურად ამოვუდგები გვერდში.

**კობა ხატისაშვილი**

ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი

# სადაც შენი დაიქვეხნო...

ქვეყანას, რომელსაც ფარიკაობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს, დაფიქრებით ანგარიშგასაწევია, მაგრამ ერთია წარსული, მეორე - დევანდელობა. ქართველი მუშკეტერები ძველებურად ველარ ჩაუქობენ, თუმცა ამ დღეებში კიევში გამართულ ევროპის ჩემპიონატში კიდევ ერთხელ დაანახეს საფარიკაო სამყაროს, რომ ღირსეულად შეუძლიათ იბრძოლონ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ გუნდთან.

ინგლისელების საფარიკაო თავმოყვარეობას ხსენებულ ჩემპიონატზე, ყველასგან მოულოდნელად, სწორედ ქართველმა მუშკეტერებმა მიაყენეს ჩრდილი. ამას კი არავინ მოელოდა, ცხადია, არც დიდი წარმატებებით გაამაყებული თვით ინგლისელები. ჩვენების მეტოქე უკრაინელებთან წაგების შემდეგ სწორედ ინგლისელები იყვნენ. 45:44 ქართველთა სასარგებლოდ. ბრძოლის სიმწვავეზე თვით საბოლოო შედეგი მეტყველებს, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ თავიდანვე ჩვენები იგებდნენ 10:0-ს, ცხადი გახდება, რომ ფსიქოლოგიურად მეტოქე სწორედ სტარტზევე გატყდა, რისი გამოსწორებაც მერე ველარ შეძლო. ამ გამარჯვებამ საქართველოს გუნდს X ადგილი მოუტანა, რაც ევროპის საფარიკაო ელიტაში შესვლას ნიშნავს. სამწუხაროდ, მხოლოდ XV ადგილს დასჯერდნენ ჩვენი დაშნით მოფარიკავეები.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# პირველ დღეს ითონიშვილმა ივაჟკაცა



ნოდარ ითონიშვილი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლეილა მესხის აკადემიის კორტებმა მცირე ხნით "ამოისუნთქა" და გასული კვირებიდან ისევ დაიტვირთა საერთაშორისო ტურნირის ეგიდით გამართული შეჯიბრებით. ამჯერად თინეიჯერული ასაკი უკან მოვიტოვეთ და ნაღდ, კაცურ ჩოგბურთს ვიხილავთ - ტრადიციულმა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა აიღო სტარტი. ტურნირის საპრიზო ფონდი 15 ათასი ამერიკული დოლარია, რაც არცთუ მცირედ ითვლება საქართველოს მასშტაბისთვის. ერთი კვირის შემდეგ კიდევ ერთი, 15-ათასიანი ტურნირი გადაებმება მიმდინარეს და ასეთი ბმის გამოა, რომ თბილისში საკმაოდ დიდი ნუსხა გვაქვს ქვეყნებისა - მასპინძელთა გარდა 15 ქვეყნიდან გვეწვივნენ ჩოგბურთელები. ქვეყანაცაა და ქვეყანაც, საჩოგბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნებია წარმოჩენილი და ამ მხრივ საკმაოდ ეგზოტიკურებიც, მაგალითად - ინდოეთი და კორეა. ამათ გარდა ვიხილეთ: სერბეთი, რუსეთი, იტალია, უკრაინა, ლიტვა, ბელარუსი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, სლოვაკეთი, საფრანგეთი და ისრაელი.

შაბათსა და კვირას საკვალიფიკაციო ტურნირი ჩატარდა, რის შემდეგაც შედგა ძირითადი ბადე. ქართველთაგან კვალიფიკაცია ვერავინ გადალახა, მხოლოდ ქართული წარმოშობის რუსმა **ალექსანდრე გიგიტაშვილმა** შეძლო ყველა წინაღობის დაძლევა. პირველ წრეში ოთხი ქართველი მაინც ითამაშებს, აქედან სამი ველური ბარათით მოხვდა: **ნოდარ ითონიშვილმა, გიორგი ხრიკაძემ** და **ლაზარე კუხალაშვილმა** მიიღეს ასეთი წყალობა ორგანიზატორებისგან. მეორეს კი რეიტინგით ეკუთვნოდა - ლადო ჩიხლაძე განთესვით მესამეა.

სასიამოვნოა, რომ ლადო უმძიმესი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა კორტს და ჩვეული ფორმის აღდგენას ცდილობს. გასულ კვირას საქართველოს პირველმა ჩოგანმა ბაქოში ითამაშა და არცთუ ცუდად - ნახევარფინალამდე გააღწია. ცხადია, თბილისში მეტის სურვილით აღივსება, მით უფრო, რომ შარშან ლადომ ორჯერ იმარჯვა მსგავს ტურნირებში. ჩიხლაძის პირველმა მეტოქემ ლაზარე კუხალაშვილმა ძლიერ გამოცდას უნდა გაუძლოს, ლადომ კი, თუ სურს, რომ ძველებური ფორმა აღიდგინოს, აუცილებლად ჭირდება გამარჯვება. ამათი შეხვედრა დღეს 15 საათსა და 30 წუთზეა დაგეგმილი და მესამე კორტზე შედგება.

გუშინ ქართველთაგან ორმა ითამაშა: **გიორგი ხრიკაძემ** და **ნოდარ ითონიშვილმა**. ხრიკაძის მეტოქე სლოვაკი **მიხალ პაზიცკი** იყო, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 852-ეა, ჩვენებური კი - 1806-ე. ცხადია, ფავორიტი სტუმარი გახლდათ, მაგრამ პირველ სეტში გიორგიმ იძალა და 6:4 გაიმარჯვა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მატჩის სადავეები სლოვაკმა იგდო ხელთ და მომდევნო ორ სეტში რთულად, მაგრამ მაინც გაიმარჯვა: 6:3, 7:5.

სანაცვლოდ, გაგვახარა ითონიშვილმა, თუმცა გვარიანად კი გვანერვიულა: პირველ სეტში 2:3 ჩამორჩა უკრაინელ **გლებ ალექსეენკოს**, მაგრამ შეძლო ინიციატივისართმევა და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით სეტებში დაწინაურდა - 1:0. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელმა კვალიფიკაცია გამოიარა. რეიტინგით კი 700 საფეხურით ჩამორჩება ქართველს, მაგრამ საკმაოდ ათლეტურია, მაღალი, გრძელი ხელ-ფეხით, რაც კორტზე გადაადგილებაში გარკვეულ უპირატესობას აძლევდა. საბედნიეროდ, გონება ვერ უჭრიდა სათანადოდ, რაც ქართველის წისქვილზე ასხამდა წყალს. ნოდარმა მეორე სეტი პირწმინდად წააგო - 1:6 და ვიფიქრეთ, გატყდა ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა და უფრო გონივრული თამაშით საბოლოო გამარჯვება მოიპოვა 7:6 (2). ნოდარმა ამის შემდეგ წყვილებშიც მოსინჯა ძალები - გიორგი ხრიკაძეს შეუამხანაგდა, მაგრამ წარმატების გამეორება ველარ შეძლო - უკრაინელებთან, **ივან ანიკოვთან** და **ალექსანდრ იარმოლასთან** დაძაბულ ბრძოლაში წააგეს: 6:1, 6:7 (2), 10-5. განვმარტავთ, რომ წყვილთა შორის მესამე სეტში ტაიბრეიკი 10 ქულამდე თამაშდება. ივან ანიკანოვმა და ალექსანდრ იარმოლამ ერთეულებშიც იმარჯვეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. ესენიც და ითონიშვილიც დღეს დაისვენებენ. ჩვენი ყურადღება კი დღეს მესამე კორტისკენ იქნება მიპყრობილი...

**ზვიად შათირიშვილი**

# ტატიშვილი და ჩახნაშვილი გვერდიგვერდ

გუშინ, ATP-ის და WTA-ს ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ჩვენთვის საინტერესო იყო მერამდენე ადგილზე დაუბრუნდებოდა **ირაკლი ლაბაძე** მსოფლიო კლასიფიკაციას და შეძლებდა თუ არა **მაკა ჩახნაშვილი** ერთი კვირის წინათ დაკარგული საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსის დაბრუნებას.

ვაჟებში უკვე ექვსი ჩოგბურთელი გვყავს სარეიტინგო სიაში. დიდი პაუზის შემდეგ ირაკლი ლაბაძე დაბრუნდა. ლაბაძემ სხევინგენში (ჰოლანდია) 100-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში გააღწია, რის გამოც 19 სარეიტინგო ქულა მიიღო. ამ 19 ქულით ლაბაძე მსოფლიოს 777-ე ჩოგანია. საქართველოს პირველი ჩოგანი კვლავ **ლადო ჩიხლაძეა**, ბაქოს ტურნირის ნახევარფინალში გასვლისთვის მას 4 სარეიტინგო ქულა დაემატება, თუმცა ეს ამ კვირისთვის არ მოესწრო. ლადოს 62 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 458-ე ჩოგანია, ერთ კვირაში მან 6 ადგილი დაკარგა. ჩიხლაძისთვის მნიშვნელოვანი ივლისის თვე იქნება, აქ უნდა შეძლოს შარშან საქართველოში მოგებული ორი ტურნირის ქულების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რეიტინგში უკან დაიხევს.

სხვები: 1166 (-13) **ნოდარ ითონიშვილი** – 5 ქულა; 1274 (-13) **ლაზარე კუხალაშვილი** – 3; 1602 (-5) **გიორგი ჭანტურია** – 1; 1816 (-10) **გიორგი ხრიკაძე** – 1. წყვილებში ლაბაძე 782-ე პოზიციაზეა, ლადო ჩიხლაძე – 814-ეზე.

ქალთა რეიტინგში მართლაც საინტერესო ცვილებები მოხდა. მაკა ჩახნაშვილმა უმალ დაიბრუნა მოწინავე 200-ეულში ადგილი, რაც WTA-ს ტურნირში (პალერმოში) მეოთხედფინალში გასვლის წყალობით მოხდა. მაკამ 30 სარეიტინგო ქულა შეიმატა, იმის გამო, რომ **ანა ტატიშვილი** უქმობდა, ჩახნაშვილს რეიტინგში მისი დაწევის შანსი მიეცა. მაკას სულ ცოტა დააკლდა – ქართველი გოგონები გვერდიგვერდ განლაგდნენ – ანა ტატიშვილი მსოფლიოს 178-ე ჩოგანია, მაკა ჩახნაშვილი – 179-ე. ანას 164 ქულა აქვს, მან 4 ადგილი დაკარგა. მაკას 161 ქულა დაუგროვდა, მან 29 ადგილით წაიწია წინ.

**სოფიო შაფათავას** მომავალ ორშაბათს დაერიცხება რომის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის კუთვნილი 7 ქულა და ის აუცილებლად შევა სამასეულში. დღეს სოფიო 77 ქულით მსოფლიოს 303-ე ჩოგანია (-1).

სხვები: 492 (-4) **თინათინ ყავლაშვილი** – 34 ქულა; 554 (+2) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 27; 589 (-6) **მანანა შაფაქიძე** – 24; 609 (-73) **სალომე დევიძე** – 22; 685 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** – 17; 728 (-3) **ეკა გორგოძე** – 14; 922 (-8) **მაგდა ოქრუაშვილი** – 6; 1014 (-12) **სოფიო მელიქიშვილი** – 4. წყვილთა თანრიგის ქართველთა მოწინავე სამეული ასე გამოიყურება: ... 199. მაკა ჩახნაშვილი; 246. ანა ტატიშვილი; 352. ოქსანა კალაშნიკოვა. აქვე დავძენთ, რომ წლის რბოლაში მაკა ჩახნაშვილი 159-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მხოლოდ სამი ქართველი

ეს კვირა ქართული ჩოგბურთის მოყვარულებისთვის ნაკლებად დატვირთული იქნება. ჩვენი ვაჟები **ირაკლი ლაბაძის** გარდა, თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამოდიან თუ გამოდიოდნენ. ლაბაძემ კი ვერ შეძლო ATP-ის 500-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა ჰოლანდიაში. ქალებში **მაკა ჩახნაშვილი** ბიელას (იტალია) 100-ათასიან ტურნირშია. ის დღეს ეთამაშება მე-2 ნომრად განთესილ ესპანელ **ლორდეს დომინგეს-ლინოს** (103). კასაბლანკაში (მაროკო) მე-3 ნომრად განთესავენ **სოფიო ქვაცაბაიას**. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში იწყება 10-ათასიანი ტურნირი, სადაც მე-5 ნომრად **სალომე დევიძეს** განთესავენ. ძირითადი ბადე წუხელ გვიან ღამით გამოქვეყნდებოდა.

ამერიკის ქალაქ ჯოპლინის „ფიუჩერსის" ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში 27 წლის **მიხეილ ჩადუნელმა** ითამაშა. პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი ამერიკელ სტივენ ფორმანთან დამარცხდა – 6:3, 5:7, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭიდაობა

# ოცწლიანები კოშიცეში

სლოვაკეთის ქალაქი კოშიცე 16-20 ივლისს 20 წლის მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ქართველი ფალავნები ამ შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებენ: ბერძნულ-რომაულის ტილით მოჭიდავეები: **ზურაბ მაჭარაშვილი** (50 კგ., ოზურგეთი), **ქემალ ხარაბაძე** (55, აჭარა), **ლევან აბჟანდაძე** (60, თბილისი), **ლაშა ლოლაშვილი** (66, თბილისი), **არსენ კახაბრიშვილი** (74, მარტყოფი), **გიორგი ღვინიაშვილი** (84, ქუთაისი), **ვასილ იმერლიშვილი** (96, რუსთავი), **რამირ შაქარაშვილი** (120, თბილისი), მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ადეიშვილი**; თავისუფალი სტილით მოჭიდავეები: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50, გორი), **გიორგი ედიშერაშვილი** (55, თბილისი), **გიორგი მაყიშვილი** (60, გორი), **ზურაბ აბრამიშვილი** (66, გორი), **გიორგი მარსაგიშვილი** (74, ყაზბეგი), **თორნიკე სვანიძე** (84, თბილისი), **გიორგი ჩიქოვანი** (96, თბილისი), **ლევან ბერიანიძე** (120, თბილისი), მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი**.

**ვაჟა დანელია**

## ჭადრაკი

# ნანალაშვილმა ქალებში იპირველა!

ესპანურ ბარბერაში დასრულდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, სადაც ოთხი ქართველი ქალბატონი თამაშობდა. საკმაოდ ძლიერ შეჯიბრებაში ქართველებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ვიდრე კონკრეტულ შედეგებს მოგახსენებდეთ, შევნიშნავთ, რომ 55 მონაწილეს შორის, ქართველ ქალთა გარდა კიდევ ორი მანდილოსანი ცდიდა ბედს - რუსი **მარია ბუტუცი** და პოლონელი **ჰანა ლესკი**.

ბოლო ტურში **ანა მათნაძე** და **ქეთი ნანალაშვილი** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; თეთრებით მათნაძე თამაშობდა. ანამ შესანიშნავად წარმართა ტურნირის პირველი ნახევარი, მაგრამ პირწმინდად ჩააგდო მეორე ეტაპი - ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და ლიდერებს ჩამორჩა. ანასაც და ქეთისაც 5 ქულა ჰქონდათ და ვინც მოიგებდა, ქალთათვის ცალკე დაწესებული პრიზის - 150 ევროს მფლობელი გახდებოდა; შესაძლო იყო, რომ მეტიც მოეგოთ, რადგანაც ვაჟთა შორის 12 ადგილი ჯილდოვდებოდა ფულადი პრიზით და მეთორმეტე ადგილზე გასულს 150 ევრო ერგებოდა, შესაბამისად, მეტი შეხვდებოდა უფრო წინ მყოფს...

დუელში ფავორიტად მათნაძე ითვლებოდა, რადგანაც წოდებითაც მეტია და გამოცდილებითაც, თანაც თეთრი ფერიც მისი არჩივი გახლდათ. მოლოდინი არ გამართლდა, - ქეთიმ შესაშური თავგამოდება გამოიჩინა და გაიმარჯვა. ქულის შემატებამ ქეთის ვაჟთა ათეულში შესვლის უფლება მისცა, მეხუთე-მეათე ადგილები გაიყო, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო, მეათე ადგილზე გავიდა; ფულად ჯილდოდ კი 170 ევრო მიიღო.

სამწუხაროდ, **სოფიკო გურამიშვილმა** ბოლო ტურში თეთრებით წააგო ჩილელ ლუის როხასთან და ცხრილში 21-ე ადგილი ერგო. ანა მათნაძემ მეთხუთმეტე ადგილზე დაასრულა ტურნირი; მარიამ დანელიამ ბოლო ტურში გაიმარჯა და ოთხი ქულით 36-ე ადგილზე გავიდა.

ქართველი გოგონები ესპანურ ტურნეს ამით არ ასრულებენ და კიდევ ერთ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ცხადია, გულშემატკივარს ამ შემთხვევაშიც არ მოვაკლებთ ინფორმაციას...

**ზვიად შათირიშვილი**

# უდანაკარგოდ მხოლოდ ერთია

**ნანა ალექსანდრიას** სახელობის საჭადრაკო ფესტივალი, ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გრძელდება. 6 ტურის შემდეგ, 8-წლამდელ გოგონებში უდანაკარგოდ მხოლოდ **ნინო ჯალალონია** თამაშობს. 10-წლამდელებში ნინო ხომერიკს, **მაგრურა იმანლის** და **აიდან ჰოკატოვას** (ორივე აზერბაიჯანი) 5-5 ქულა აქვთ. ვაჟებში ორი დაწინაურდა – აზერბაიჯანელი **ულვი სადიხოვი** და სომეხი **ერიკ ხაჩატურიანი** – 5.5-5.5 ქულა.

12-წლამდელ გოგონებში 5.5 ქულით **ანა შამათავა** ლიდერობს. ვაჟებში **ნიკოლოზ ქუმსიაშვილს, გუგა ბურდულსა** და **ირაკლი ბერაძეს** 5-5 ქულა აქვთ.

16-წლამდელ გოგონებში **ნინო ანაკიძე, ნათია ქალაბაძე** და **ნინო უნაფქოშვილი** დაწინაურდნენ – 4.4-4.5 ქულა. ვაჟებში 5.5 ქულით ირაკლი ჯანიშვილი ლიდერობს.

**ზვიად შათირიშვილი**

## ავტოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი

# პეისკარის მართვა პრესტიჟულია

ცოტა ხნის წინათ, როცა რუსთავის ავტოდრომი ოფიციალურად გადაეცა საქართველოს საავტომობილო ფედერაციას, წრიულ რბოლაში პეისკარის ანუ უსაფრთხოების მანქანის საჭესთან ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** ვიხილეთ. ეს იყო პირველი უნიკალური შემთხვევა.

ავტოსპორტში, განსაკუთრებით ამერიკაში(!), პეისკარის მართვა პრესტიჟული საქმეა. მას ყველა რბოლაში ერთი და იგივე ფუნქცია აკისრია - რბოლების და პილოტების უსაფრთხოების დაცვა. ევროპაში მიღებული არაა ამგვარი ავტომობილის საჭესთან ცნობილი ადამიანისთვის ადგილის დათმობა. ამერიკაში კი ამ ხერხს სპეციალურად მიმართავენ, რადგან იქ შოუს დადგმა უყვართ და თუ ხალხმა თავის სიახლოვეს ცნობილი ადამიანი არ იხილა, მისთვის რბოლას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. ამიტომაა, რომ ინდიკარის, ნასკარის, გრანდამის, ტრანსამი და სხვა შეჯიბრებების დროს პეისკარს ან მსახიობები და მომღერლები, ანაც ბიზნესმენები და პოლიტიკოსები მიმართავენ და ანშლაგიც გარანტირებულია.

როგორ გგონიათ, ხალხი არ მივა ავტოდრომზე, როცა იცის, რომ იქ სათაყვანებელი პილოტების გარდა, პეისკარის საჭესთან, მაგალითად, იხილავს **მორგან ფრიმენს, დენზელ უოშინგტონს, უილ სმიტს, არნოლდ შვარცენეგერს, სილვესტერ სტალონეს, დასტინ ჰოფმანს, ჯინ ჰექმენს, ტომ კრუზს, ანტონიო ბანდერას, ბრედ პიტს, ანჯელინა ჯოლის, ფეი დანაუეის, მიშელ პფაიფერს** და ბევრ სხვა ცნობილი პიროვნებას? მივა და თანაც, როგორ! სირბილ-სირბილით, რომ არავინ დაასწროს ადგილზე დაჯდომა, ბინოკლის მომარჯვება და არემარის დათვალიერება.

კარგი იქნება თუ ჩვენთანაც, არა მარტო წრიული რბოლის დროს, ამ ტრადიციას დავამკვიდრებთ, მოვიწვევთ ცნობილ პიროვნებებს, რომლებიც რბოლებს პეისკარით გახსნიან. ეროვნული დროშის აქნევით სტარტზე გაუშვებენ ავტომრბოლელებს, დაასრულებენ რბოლებს და პრიზიორებს დააჯილდოვებენ. ხალხი თავისუფლად გაესაუბრება არა მარტო ავტომრბოლელს, არამედ იქვე მდგომ რომელიმე მსახიობს, მომღერალს, სპორტსმენს, საზოგადო მოღვაწეს და აღმოაჩენენ, რომ საოცრად უყვართ ავტოსპორტი.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# უკანასკნელი იმედი



ათენში დიდი ამბები იქნება

ალბათ, თავად **პიერ დე კუბერტენი** ვერ წარმოიდგენდა, თუ რა დიდი ბრძოლების გადატანა დასჭირდებოდათ სპორტსმენებს, მის მიერ აღდგენილ ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად. მაგალითად, კალათბურთელების საკვალიფიკაციო ტურნირის მოყვანაც შეიძლება, რომელიც გუშინ, ათენში ოთხი მატჩით გაიხსნა და რომელსაც ზოგიერთები შემცირებულ ვადებში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ. ჯერჯერობით, ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ცხრა მონაწილეა ცნობილი - არგენტინა, ავსტრალია, ირანი, ლიტვა, ანგოლა, ჩინეთი, ესპანეთი, აშშ, რუსეთი. და მათ კიდევ სამი გუნდი უნდა დაემატოს.

ათენი საკვალიფიკაციოს მონაწილეებს აუტანელი სიცხით ხვდება. კიდევ უფრო მაღალი იქნება ტემპერატურა ოლიმპიური სპორტული კომპლექსის შენობაში (არენა OAKA - "პანათინაიკოსის" საშინაო დარბაზია). განსაკუთრებით იმ დროს, როცა პარკეტზე **ტეო პაპალუკასის, ნიკოს ცისისის, ვასილის სპანულისის** და **დიმიტრიოს დიამანტიდისის** საბერძნეთის ნაკრები გავა. ბერძნების გარდა, ტურნირზე ვარსკვლავები მრავლად არიან: გერმანელები **დირკ ნოვიცკი** და **კრის კამანი**, ბრაზილიელები - **ლეანდრო ბარბოზა** და **ტიაგუ სპლიტერი**, პუერტორიკოელები - **კარლოს აროიო** და **დანიელ სანტიაგო**, სლოვენიელები - **რაშო ნესტეროვიჩი** და **იაკა ლაკოვიჩი**, ხორვატები - **ზორან პლანინიჩი** და **როკო-ლენი უკიჩი**. და კიდევ, სხვაგან სად შეიძლება ნახო ისეთი ეგზოტიკა, რასაც კორეისა და კამერუნის ნაკრებები წარმოადგენენ? საინტერესო იქნება **სინგ-ჯინ ჰას** ხილვა, რომლის სიმაღლე 221 სანტიმეტრია, ხოლო მთლიანად კორეის ნაკრების საშუალო სიმაღლე 195 სანტიმეტრს შეადგენს. კამერუნელი "მოუთვინიერებელი ლომების" ნახევარი კი, NCAA-ს სტუდენტურ ლიგაში თამაშობს.

რა თქმა უნდა, ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირს საკუთარი ფავორიტებიც ჰყავს. პირველ რიგში, ეს არის საბერძნეთის ნაკრები, მაგრამ არც სხვა გუნდები უნდა დავივიწყოთ: კრის კამანით გაძლიერებული გერმანია, ბრაზილია, რომელმაც **ოსკარ შმიტდის** გარეშეც ისწავლა გამარჯვება, ახალი ზელანდია (მორაგბეების მსგავსად, ისიც ასრულებს ჰაკას და ხშირად გვთავაზობს სიურპრიზებს), ხორვატია, სლოვენია ან კანადა...

მოკლედ, ათენში დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. თითოეული მატჩის ფასი ძალიან მაღალია. შესარჩევის 12 მონაწილიდან არცერთს არ სურს პეკინის გარეშე დარჩენა და ლონდონის ოლიმპიადისთვის ოთხწლიანი ლოდინი.

გია თვალაბეიშვილი

**ტურნირის განრიგი**

**14 ივლისი**

A ჯგუფი. საბერძნეთი-ლიბანი
B ჯგუფი. ზელანდია-კაბო ვერდე
C ჯგუფი. კორეა-სლოვენია
D ჯგუფი. ხორვატია-კამერუნი

**15 ივლისი**

A ჯგუფი. ლიბანი-ბრაზილია
B ჯგუფი. კაბო ვერდე-გერმანია
C ჯგუფი. სლოვენია-კანადა
D ჯგუფი. კამერუნი-პუერტო რიკო

**16 ივლისი**

A ჯგუფი. ბრაზილია-საბერძნეთი
B ჯგუფი. გერმანია-ზელანდია
C ჯგუფი. კანადა-კორეა
D ჯგუფი. პუერტო რიკო-ხორვატია

**18 ივლისი**

1/4 ფინალი

**19 ივლისი**

1/2 ფინალი

**20 ივლისი**

ფინალი. მე-3 ადგილისთვის

# ორი ზედმეტია

ლიტვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამუნას ბუტაუტასმა** 14-მდე შეამცირა იმ კალათბურთელების სია, რომლებიც პეკინის თამაშებისთვის აგრძელებენ მზადებას. დაახლოებით ერთ კვირაში, ნაკრების ხელმძღვანელობა კიდევ ორ კალათბურთელს გაუშვებს შინ და ბალტიისპირეთა განაცხადი საბოლოო სახეს მიიღებს.

მანამდე კი, ლიტვის ნაკრებში შემდეგი მოთამაშეები რჩებიან:

**მცველები:** შარუნას იასიკიავიჩუსი ("პანათინაიკოსი", საბერძნეთი), ტომას დელინიკაიტისი ("აზოვმაში", რუსეთი), რიმანტას კაუკენასი ("სიენა", იტალია), მარიუს პრეკიავიჩუსი ("ლეტუვოს რიტასი"), რამუნას შიშკაუსკასი (ცსკა, რუსეთი);

**ფორვარდები:** მინდაუგას ლუკაუკისი ("ლეტუვოს რიტასი"), ლინას კლეიზა ("დენვერი", NBA), სიმას იასაიტისი ("ტაუგრესი", ესპანეთი), იონას მასიულისი ("ჟალგირისი"), დარიუს სონგაილა ("ვაშინგტონი", NBA), კშიშტოფ ლავრინოვიჩი ("სიენა", იტალია), დარიუშ ლავრინოვიჩი ("დინამო", რუსეთი);

**ცენტრები:** რობერტას იავტოკასი ("დინამო", რუსეთი), მარიონას პეტრავიჩუსი ("ლეტუვოს რიტასი").

ფორმულა 1

# კულტჰარდი DTM-ში გადადის?



ფორმულა 1-ის წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა ნახევარი დისტანცია განვლო და სტატისტიკური მონაცემებით, სეზონის საუკეთესო პილოტი "BMW-ზაუბერის" პოლონელი პილოტი, **რობერტ კუბიცა** გახლავთ. ამის შესახებ კანადური სპორტული ტელეარხი, CBS Sport იუწყება.

ცხრა ეტაპის შემდეგ, კუბიცა მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება ჩემპიონატის სამ ლიდერს. CBS Sport-ის მონაცემებით, პოლონელმა სხვა პილოტებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვა, ამასთან, სხვებზე სტაბილურად გადის სეზონს.

მისი საშუალო საფინიშო კოეფიციენტი 4.89-ს უდრის და ეს საუკეთესო მაჩვენელებია 20 პილოტს შორის. შედარებისთვის, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონის, **კიმი რაიკონენის** ანალოგიური მაჩვენებელი 5.33 ბალს შეადგენს, "სილვერსტოუნის" რბოლის გამარჯვებულის, **ლუის ჰემილტონის** კოეფიციენტი კი, 6.11 გახლავთ.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, ბრიტანელმა ვეტერანმა **დევიდ კულტჰარდმა** სეზონის დასრულების შემდეგ, ფორმულა 1-დან წასვლის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. გუშინ კი გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გაისად, "რედ ბულის" პილოტს DTM-ის სერიაში ვიხილავთ. თურმე, შოტლანდიელი ავტომრბოლით "აუდის" გუნდი ყოფილა დაინტერესებული. ეს საინტერესო ინფორმაცია გერმანულ გამოცემა "ფოკუსში" დაიბეჭდა.

სხვადასხვა დროს, DTM-ის ჩემპიონატში ფორმულა 1-ის რამდენიმე ვარსკვლავი გადაბარგდა: **ჟან ალეზი, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, მიკა ჰაკინენი, ალან მაკნიში**... დღეს კი, ამ სერიაში **რალფ შუმახერი** მოღვაწეობს.

აქვე შეგახსენებთ, რომ კულტჰარდმა ისიც გამოაცხადა - სხვა სერიაში კარიერის გაგრძელებას არ ვაპირებო.

გია თვალაბეიშვილი

პეკინი 2008

# შეცდომა დაუშვებელია



ის ჩინელი სპორტსმენი, რომელიც პეკინის თამაშების წინ დოპინგ-ტესტს ჩააგდებს, არა მხოლოდ ოლიმპიადიდან მოიკვეთება, არამედ სამუდამო დისკვალიფიკაციითაც დაისჯება. ამის შესახებ სააგენტო "სინხუას", ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, **ცზიან ჩჟისუემ** აცნობა.

ჩინოვნიკის სიტყვებით, დღესთვის ჩინეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პეკინის ოლიმპიადაზე "სუფთა" გუნდით წარსდგეს. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი რეგულარულად ატარებს დოპინგ-ტესტებს, გარდა ამისა, აწარმოებს საგანმანათლებლო სამუშაოს, რათა თავიდან აიცილოს აკრძალული პრეპარატების გამოყენების შემთხვევები.

*"ვფიქრობ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ - დოპინგის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩინელ სპორტსმენს არ უნდა ჰქონდეს სპორტული კარიერის გაგრძელების საშუალება"*, - ამბობს ცზიან ჩჟისუე.

მანვე ისიც განაცხადა, რომ ანალოგიურ სასჯელს მიიღებს ის მწვრთნელი და ექიმი, რომელიც სპორტსმენის მომზადებაზე იყო პასუხისმგებელი: *"სასჯელი არამარტო სპორტსმენებს, არამედ მწვრთნელებსაც და ექიმებსაც შეეხებათ. შეიძლება მათ არ ჰქონდეთ უშუალო შეხება სადოპინგო რეჟიმის დარღვევასთან, მაგრამ უნდა იცოდნენ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მათ აკისრიათ"*.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ჩინეთში დაახლოებით 6 ათასი დოპინგ-ტესტი ჩატარდა, რომლის შედეგადაც წესრიგისდამრღვევი ორი ათლეტი გამოვლინდა. ოლიმპიადისთვის მზადებისას, მათ აკრძალული პრეპარატის მიღება დაუმტკიცდათ. ორივე მათგანს სწორედ ზემოთნახსენები სანქციები შეეხოთ.

პეკინის თამაშების ორგანიზატორებს ხშირად განუცხადებიათ "სუფთა" თამაშების ჩატარების თაობაზე. ამისთვის, ჩინეთში ახალი ანტი-სადოპინგო სააგენტოც კი შეიქმნა, რომელმაც გასული წლის დეკემბერში დაიწყო მუშაობა. ადრე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ყველა სპორტული ობიექტი და ოლიმპიური სოფლის ყველა კლინიკა დოპინგ-კონტროლის სადგურებით იქნება აღჭურვილი.

გია თვალაბეიშვილი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ევანსმა სიტყვა შეასრულა



კედელ ევანს

ავსტრალიელმა **კედელ ევანსმა** ჯერ კიდევ ტურ დე ფრანსის დაწყებამდე ივარაუდა, რომ ლიდერის ყვითელ მაისურას ჰოტაკამის ეტაპის შემდეგ მოირგებდა. გუშინ, მეათე ეტაპის შემდეგ, რომელიც საფრანგეთის პირენეის სამთო სადგურ ჰოტაკამში დასრულდა, ოზმა ველომრბოლმა მართლაც მოირგო ლიდერის მაისურა. არადა, მეცხრე ეტაპის შემდეგ, ძნელი სათქმელი იყო, რომ ის მომდევნო ეტაპზე გამოსვლას შეძლებდა.

გუშინ ველომრბოლებს ორი ურთულესი სამთო მონაკვეთი – ტურმალე და ჰოტაკამი ჰქონდათ გასავლელი. ეს ორივე მთა უკატეგორიოთა, ეგრეთ წოდებულ ცხენის კლასს მიეკუთვნება. ამასთან, გუშინდელი ეტაპის ფინიშიც აღმართზე იყო დაგეგმილი, რაც ტოპ-ველომრბოლებს დაწინაურების რეალურ შანსს აძლევდა. მათაც, ეს შანსი კარგად გამოიყენეს. რბოლა იტალიელმა **ლეონარდო პიეპოლიმ** მოიგო, საერთო კლასიფიკაციაში კი პირველზე ევანსმა გადაინაცვლა.

ცხრა ეტაპის შემდეგ, ევანსი ექვს წამს აგებდა ლუქსემბურგელ **კიმ კირხენთან**, ახლა კი, მხოლოდ ერთ წამს უგებს სხვა ლუქსემბურგელს - **ფრანკ შლეკს**, ვინც გუშინდელი ეტაპი მესამემ დაამთავრა.

*"გუშინდელი წაქცევის შემდეგ გავიფიქრე, რომ ჩემთვის ტური ფაქტობრივად დასრულებული იყო. წაქცევამ ძალიან შემაშინა. მეგონა, ვერ გადავრჩები-მეთქი. მაგრამ გამიმართლა, ექიმებმა იმედი მომცეს და მეც კვლავ სტარტზე გამოვედი"*, - განაცხადა ევანსმა, ვისაც ტანის მარცხენა მხარე მთლიანად იარებითა და სილურჯეებით აქვს აჭრელებული. თუმცა, თავად ამბობს, რომ ჭრილობები მაშინ უფრო აწუხებს, როდესაც დაღმართში ეშვება. აღმართში კი მასზე ფიქრისთვის არც მცალიაო.

რაც შეეხება პიეპოლის, ის ძალიან გამოცდილი სამთო სპეცილისტია, თუმცა ადრე აქცენტს მეტწილად ჯიროზე აკეთებდა, რის გამოც, ტურზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. მაგრამ ამჯერად, მონდომა და კარიერაში პირველად მოიგო ფრანგული ველომარათონის ეტაპი. აღსანიშნავია, რომ ის იტალიელი **რიკარდო რიკოს** თანაგუნდელია, რომელმაც უკვე მოასწრო ორი სამთო ეტაპის მოგება. სხვათა შორის, წინა ეტაპი სწორედ რიკომ მოიგო, ვინც მაშინვე განაცხადა, პიეპოლიც შესანიშნავ ფორმაშია და ხვალ ალბათ ის მოიგებსო...

მოამზადა
მერაბ ლორთქიფანიძემ

**მე-10 ეტაპი.**
**პოდან ჰოტაკამამდე (156 კმ)**

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დუვალი) 4:19.27 (36.08 კმ/სთ); 2. ხუან ხოსე კობო ასებო (ესპანეთი, სონიე დუვალი) იგივე დროში; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.28; 4. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.06; 5. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 2.05; 6. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დუვალი) 2.17; 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 2.17; 8. კედელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 2.17; 9. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.17; 10. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 2.17...

**კლასიფიკაცია 10 ეტაპის შემდეგ**

1. კედელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 42:29.09; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.01; 3. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.38; 4. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 0.46; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.57; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.28; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 1.56; 8. ხუან ხოსე კობო ასებო (ესპანეთი, სონიე დუვალი) 2.10; 9. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დუვალი) 2.29; 10. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 2.32...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. პეკინის ოლიმპიადის წინ

# ბოლტი ორას მეტრზეც სწრაფია




სანამ პეკინის ოლიმპიადა დაიწყებოდს, მისი მონაწილეები სხვადასხვა ტურნირებზე გადიან მოთელვას და ზოგიერთი მათგანი რეკორდებსაც კი ამყარებს. გასულ უქმეებზე რეკორდი ოქროს ლიგის რომაულ შეხვედრაზე, რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** შემოგვთავაზა (რის შესახებაც წინა ნომერში მოგიყევით). ამჯერად რეკორდზე არა, მაგრამ მასთან მიახლოებულ შედეგებზე ვილაპარაკებთ.

იამაიკელ სპრინტერ **უსაინ ბოლტით** დავიწყოთ, ვინც ერთი თვის წინათ, 100 მეტრზე სპრინტში გახდა მსოფლიოს რეკორდსმენი (9.72 წამი), ამჯერად კი ათენში, დიდი პრიზის ტურნირზე, 200 მეტრზე სპრინტში იასპარეზა და თავი მიმდინარე სეზონის საუკეთესო დროით (19.67 წამი) გამოიჩინა. 21 წლის სპრინტერის კარიერაში, ეს ამ დისტანციაზე საუკეთესო შედეგია. ამაზე უკეთესი დრო კი მსოფლიოში სულ ოთხჯერ დაფიქსირებულა. ყოველივეს მიუხედავად, ბოლტმა უარჰყო ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, ის მალე გააუმჯობესებს ლეგენდარული **მაიკლ ჯონსონის** 12-წლიან რეკორდს (19.32 წამი).

*"ეს ფანტასტიკური შედეგია, თუმცა მას ადრე თუ გვიან, ვინმე გააუმჯობესებს. ვიმედოვნებ, ეს მე ვიქნები, მაგრამ ამ სეზონში ამაზე არ ვფიქრობ. წლეულს ჩემი მიზანი მხოლოდ ოლიმპიადაზე გამარჯვებაა"*, - ამბობს ბოლტი, ვინც იამაიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე, ორივე სპრინტში მოიპოვა პეკინის საგზური, მაგრამ ჯერაც არ გადაუწყვეტია, ორივეზე იასპარეზოს, თუ ას მეტრზე სპრინტში გამოსვლისგან თავი შეიკავოს.

ათენში სხვა ვარსკვლავებმაც იასპარეზეს. მათ შორის, 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს კუბელმა რეკორდსმენმა **დაირონ რობლესმა**, ვინც ამჯერად ფინიშს 13.05 წამში მიაღწია, რაც მისივე რეკორდული შედეგისგან (12.87 წამი) გვარიანად შორსაა. თუმცა, ეს მაინც ამ სეზონის მესამე საუკეთესო დროა.

*"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ჩემი მიზანი ოლიმპიადაზე გამარჯვებაა, სადაც მეტად სერიოზული კონკურენციაა მოსალოდნელი. მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ არ მსურს. არ მინდა, ფსიქოლოგიურად გადავიტვირთო და მერე ამან პეკინში კარგად გამოსვლაში შემიშალოს ხელი. უპირველესი ამოცანა, ოლიმპიადის ფინალში გასვლა იქნება. მერე კი ნებისმიერი მედლის მოპოვება. რაც შეეხება უმაღლეს მიზანს, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ეს ოქროს მედალია"*, - ამბობს რობლესი, ვისაც პეკინში კონკურენტებად მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, ჩინლი **ლიუ სიანი** და ამერიკელი თარჯმრბენები ეყოლება.

ათენში ას მეტრზე სპრინტში უმაღლესი დონის ვარსკვლავებს არ უასპარეზიათ. მათ არყოფნში კი ბაჰამელმა **დერიკ ატკინსმა** საშუალოზე უარესი დროით (10.10 წამი) გაიმარჯვა.

მამაკაცებს შორის სიმაღლეზე ხტომაში კი შვედ **სტეფან ჰოლმს** არ ჰყავდა ბადალი. ის 2.37 მეტრზე გადებულ თამასას გადაახტა. სხვათა შორის, ეს მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგია.

მამაკაცებისვე სიგრძეზე ხტომაში, ადგილობრივი მაყურებლის გასახარად, ბერძენმა **ლუის ცატუმასმა** გაიმარჯვა, ვინც 8.44 მეტრზე გადახტა, რაც ამ სეზონის მესამე საუკეთესო შედეგია.

ქალთა შორის 100 მეტრზე სპრინტში ყველაზე სწრაფი იამაიკელი **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი** იყო, რომელმაც ფინიშს 10.92 წამში მიაღწია. სხვათა შორის, შარშან, ამავე ტურნირზე მას ხელი მოეცარა, მაგრამ თავადვე აღიარებს, რომ კარიერაში ყველაზე კარგი შედეგები სწორედ ათენში აქვს ნაჩვენები.

ქალთა შორის 400 მეტრზე სპრინტში ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა** გაიმარჯვა, რომელმაც დისტანცია 49.86 წამში გაირბინა. მისი შედეგი 0.03 წამით ნაკლები რომ ყოფილიყო, ის ამ სეზონის საუკეთესო დრო იქნებოდა.

სენსაციური გამოდგა ქალ შუბის მტყორცნელთა ტურნირი, რომელზეც მსოფლიოს კუბელი რეკორდსმენი **ოსლეიდის მენენდესი** მეორე ადგილს დასჯერდა. გამარჯვება კი ჩეხეთის ჩემპიონმა **ბარბორა სპოტაკოვამ** მოიპოვა.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

# იდოვუ რეკორდს უმიზნებს

ინგლისის ქალაქ ბირმინგემში მიმდინარეობს ბრიტანეთის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი, რომელთა შედეგების მიხედვითაც, განისაზღვრება იმ მძლეოსანთა ვინაობა, რომლებსაც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლება მიენიჭებათ. ერთ-ერთი პირველი, ვინც პეკინის საგზურის მოპოვება შესძლო, სპრინტერი **დუეინ ჩემბერსია**, რომლის პეკინში გამოსვლა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

სამაგიეროდ, ოლიმპიადაზე ულაპარაკოდ მოხვდება სამხტომელი **ფილიპს იდოვუ**, ვინც მართალია, წინა ორ ოლიმპიადაზე თავი ვერაფრით გამოიჩინა, მაგრამ ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოა და იმასაც იქადნის, ამ სეზონში ოლიმპიური ოქროს მოპოვების გარდა, მსოფლიო რეკორდის დამყარებასაც ვაპირებო.

ბირმინგემის ტურნირის ფინალურ ეტაპზე, იდოვუ პირველივე ცდაზე 17.58 მეტრზე გადახტა, რაც ამ სეზონის საუკეთესო შედეგია. გამარჯვება რომ მოიპოვა, განაცხადა, კარგი ნახტომი იყო, მაგრამ გაცილებით შორს გადახტომაც შემიძლია, თუ გამორბენი ისეთი მექნება, როგორიც მჭირდებაო. მისი "უფრო მეტი" კი, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი მეტრია...

სხვათა შორის, ამ სეზონში იდოვუმ უკვე მესამედ დააფიქსირა სეზონის საუკეთესო შედეგი. პირველად მან ეს კუნძულ კრეტაზე ასპარეზობისას შესძლო, სადაც 17.55 მეტრზე გადახტა. შემდეგ, ეს შედეგი ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა და სანამ ბირმინგემში იასპარეზებდა, 17.27-მეტრიანი ნახტომიც შეასრულა. ახლა კი სეზონის საუკეთესო შედეგს კიდევ ერთი სანტიმეტრი ნაუმატა.

ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონმა ათენის ოლიმპიადაზე ვერაფრით შესძლო ლეგალური ნახტომის შესრულება – ის მუდამ წითელ ზოლს აბიჯებდა, რის გამოც, წინა ოლიმპიადა უშედეგოდ დაასრულა. უკეთესად არც სიდნეიში უასპარეზია. ახლა კი, 29 წლის მხტომელი ირწმუნება, რომ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება.

*"ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო სამხტომელი ვარ. თითქმის ყველა ტურნირს ვიგებ. და რაც დრო გადის, შედეგებს სულ უფრო ვაუმჯობესებ. თუ ტრავმას არ მივიღებ, ახლო მომავალში, ჩემგან განსაკუთრებული შედეგია მოსალოდნელი. ახლა ერთი კვირა ვივარჯიშებ, მერე კი "კრისტალ პელესის" ტურნირზე გამოვალ. იქ კი ჩემი მიზანი მარტო გამარჯვება არ იქნება. რაღაც უფრო მეტი მინდა"*, - ამბობს იდოვუ, ვინც "უფრო მეტში" მსოფლიო რეკორდს გულისხმობს.

მსოფლიო რეკორდი (18.29 მეტრი) კი მის სახელოვან თანამემამულე **ჯონათან ედვარდსს** ეკუთვნის, რომელმაც ის 1995 წელს დაამყარა. იდოვუ ამბობს, რომ კარგი გარბენისა და ფეხის ზუსტად დადგმის შემთხვევაში, თავისუფლად შეუძლია 18.40 მეტრზე გადახტომა.

*"ახლა თავი სუპერმენი მგონია. ვფიქრობ, ჩემს შეჩერებას პეკინში ვერავინ შესძლებს. ნამდვილი ტყვიაგაუმტარი ვარ"*, - იქადნის იდოვუ. პეკინში გამოჩნდება, მართლა სუპერმენია, თუ ისევ წითელზე დაიწყებს ფეხის დაბიჯებას.

რაც შეეხება ჩემბერსს, მან შესარჩევი ტურნირის ფინალური გარბენი, ასი მეტრის ზუსტად ათ წამში გარბენით მოიგო. მაგრამ პეკინში გამოვა თუ არა, ეს ინგლისის უმაღლეს სასამართლოზეა დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ ბრიტანული ოლიმპიური კომიტეტის წესებით, ნებისმიერი სპორტსმენი, ვინც დოპინგზე თუნდაც ერთხელ ჩავარდება, ოლიმპიადაზე ველარ იასპარეზებს. ჩემბერსმა კი სინთეზურ სტეროიდ ტეტრაჰიდროგესტრინონის (THG) გამოყენებისთვის, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო (2006 წლიდან). ახლა მას სარჩელი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში აქვს შეტანილი და მისი ოლიმპიური მომავალიც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ჰკიდია.



იდოვუ ასპარეზობისას

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

# TV სპორტი

**15 ივლისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ლიონი.
**14:10** ევრო 2008. ესპანეთი-რუსეთი.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
**18:10** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
**19:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:00** ევრო 2008. საბერძნეთი-შვედეთი.
**22:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:15** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**23:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. მილანი-არსენალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:50** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**09:35** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**10:05** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ვიტორია.
**11:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
**13:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-მილანი.
**15:20** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი.
**17:50** სპორტკლუბი.
**18:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წყვილები. 1/4 ფინალი. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი.
**20:20** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჩელსი-არსენალი.
**22:35** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**23:05** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**23:35** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ვიტორია.
**01:20** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
**03:00** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**03:25** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი.
**06:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-მილანი.

**EUROSPORT**

**10:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი.
**12:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ინგლისი. ჩეხეთი.
**13:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ჩეხეთი.
**14:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი.
**15:30** სნუკერი. მსოფლიო სერია. II დღე. ბერლინი. გერმანია.
**17:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი.
**18:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი.
**20:00** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**20:15** მულტისპორტი.
**20:45** სნუკერი. მსოფლიო სერია. II დღე. ბერლინი. გერმანია.
**22:15** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. კ. სპინკსი (აშშ)-ვ. ფილიპსი (აშშ). სენტ ლუისი. აშშ.
**23:00** პროფესიული კრივი (LIVE).
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:30** რალი. რალის ახალი სერია IRC. რუსეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ინგლისი. ჩეხეთი.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასის შესარჩევი. საემიროები.
**18:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასის შესარჩევი. არგენტინა.
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი.
**00:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კონფერენციის ფინალი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**01:30** მულტისპორტი.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ევროპის ჩემპიონატი. Under 19 | |
|---|---|
| ბულგარეთი-უნგრეთი | 0:1 |
| ჩეხეთი-ინგლისი | 2:0 |
| გერმანია-ესპანეთი | 2:1 |
| საბერძნეთი-იტალია | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კაენი-ჰავრი | 2:0 |
| ძროული-კრ. პალასი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-ჰერეფორდი | 1:0 |
| მაკლსფილდი-ბლექბერნი | 1:2 |
| შელბურნი-მილუოლი | 1:1 |
| უნივერსიტი-დანდი იუნ | 2:1 |
| იურმალა-ბლეკპული | 1:1 |
| ბოტაფოგო-პარტიზანი | 2:1 |
| კლიფტონვილი-იფსვიჩი | 0:6 |
| გლენტორანი-ჰართსი | 1:1 |
| ჰიტჩინი-ლუტონი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლინი-ბრანი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ერებრუ-სუნდსვალი | 2:1 |
| მალმიო-ჰამარბიუ | 2:4 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-მიუპა | 1:1 |
| **ისლანდია** | |
| ფრამი-კეფლავიკი | 0:2 |
| ბრინდავიკი-ტროტური | 2:2 |
| ბრეიდაბლიკი-ჰკ | 2:1 |

| ბრაზილია | |
|---|---|
| ფლამენგო-ვასკო | 3:1 |
| გრემიო-პორტუგეზა | 2:1 |
| ნაუტიკო-სპორტ რესიფე | 0:2 |

**კალათბურთი**

| პეკინი 2008. შესარჩევი | |
|---|---|
| ზელანდია-კაბო ვერდე | 77:50 |
| სლოვენია-კორეა | 88:76 |
| ხორვატია-კამერუნი | 93:79 |
| საბერძნეთი-ლიბანი | 119:62 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ამერსფორტი | |
|---|---|
| მარტინი-შჩუკინი | 7:6, 6:4 |
| გაბაშვილი-ასკიონე | 6:2, 7:6 |
| მარერო-კ. როხუსი | 5:7, 2:6 |
| ვასალო არგელო-ბრიცი | 6:4, 6:3 |
| კრუსიატი-დე ბეიკერი | 5:7, 4:6 |
| **ATP. ინდიანაპოლისი** | |
| ბეკერი-პლესი | 6:3, 6:4 |
| სირიანი-ლედოვსკიხი | 6:3, 6:2 |
| ლუ-ო'ნილი | 7:6, 7:6 |
| სიმონი-მაუ | 6:2, 3:6, 6:3 |
| **ATP. უმაგი** | |
| მონტკური-ვეისი | 6:4, 6:2 |
| პაშანსკი-ნასო | 6:3, 2:6, 7:6 |
| კარანუშიჩი-პიკარი | 6:2, 6:2 |
| ფონინი-ბერანკისი | 6:3, 6:2 |
| ვოლანდრი-ჩიპოლა | 6:1, 6:4 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| კეოტავონგი-კოინი | 6:1, 6:0 |
| სჩინკი-იოანი | 6:0, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# არვიდას საბონისი: კარიერა ცალი ფეხით გავიარე







არვიდას საბონისი ლიტვაში ძალიან პოპულარულია. სადაც არ უნდა გამოჩნდეს ბალტიისპირელი გიგანტი, ყველგან აღფრთოვანებული შეძახილები ისმის: "საბას! საბას!" თავად ლეგენდა ამ ყველაფერს მშვიდად და ღირსეულად ხვდება. ავტოგრაფზე უარს არ ამბობს, ხოლო მასთან სურათის გადაღებას ყველა ცდილობს - სოლიდური ბიზნესმენებიდან დაწყებული, ხუთი წლის ბიჭებით დამთავრებული. ეს მათთვის პრესტიჟის საქმეა.

**- ასეთი პოპულარობა დამღლელი არ არის?**

- კარგია, რომ ხალხს ძველებურად უყვარს კალათბურთი... აი, ეს არის მთავარი.

**- ევროპის ყველა დროის საუკეთესო ცენტრად ითვლებით. ბანალური კითხვაა, მაგრამ მაინც: რა უნდა გააკეთონ ახალგაზრდა კალათბურთელებმა იმისთვის, რომ თქვენ დაგემგვანონ?**

- დედას უნდა დაუჯერონ (იცინის). ბავშვობაში ძალიან დამჯერი ვიყავი. ყოველთვის ვჭამდი იმას, რასაც დედა მაძლევდა. ამიტომაც გავიზარდე ამხელა. სტაფილო ძალიან სასარგებლოა მხედველობისთვის, ჭარხალი - სისხლისთვის. როგორც ხედავთ, ამაში არაფერია რთული.

**- საიდუმლო მხოლოდ ბოსტნეულში არ უნდა იყოს. თქვენ ხომ 39 წლის ასაკში, "ჟალგირისში" დაბრუნების შემდეგ, ბევრი მაჩვენებლით ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელი გახდით...**

- ვფიქრობ, ჩემი ძველი თანაგუნდელები - ხომიჩუსი და სხვები, ასევე შეძლებდნენ 40 წლამდე თამაშს. და ტოლს არაფერში დაუდებდნენ ახალგაზრდებს. ჩვენ უბრალოდ, შეჩვეულნი ვიყავით თავდაუზოგავ მუშაობას. ვარჯიშების შემდეგ ტელევიზორებთან კი არ ვსხდებოდით, არამედ დარბაზში მუშაობას ვაგრძელებდით. ეს არის და ეს.

**- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ დღეს კალათბურთში დიდი ფული ტრიალებს?**

- ჩვენს დროში ფულის გამო არ ვთამაშობდით - ეს ნამდვილად ასე იყო. დღეს კი... ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელი თავიდანვე მაღალ ხელფასს იღებს და შემდეგ, ველარ უძლებს გამოცდას. 20 წლის ასაკში კარგ კონტრაქტს მიიღებენ და ფიქრობენ, რომ ყველაფერს მიაღწიეს. ამ შემთხვევაში რაიმე რჩევის მიცემა უაზრობაა. ეს ყოველი ცალკეული ადამიანის შინაგანი მორალური არჩევანის საკითხია. ვიღაც მზად არის მცირედით დაკმაყოფილდეს, ვიღაცას პირიქით, სურს თავისი ნიჭის 100 პროცენტით რეალიზაცია მოახდინოს... საქმისადმი დამოკიდებულება - აი, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი.

**- საიდან მოდის თქვენი გაბარიტების მოთამაშისთვის ასეთი უნიკალური თვისებები - მოედნის ბრწყინვალე ხედვა და ტყორცნა? ეს ღმერთისგან ბოძებული საჩუქარია თუ ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგი?**

- რა თქმა უნდა, მეორე. ვარჯიშების შემდეგ დარბაზში ვრჩებოდი - და ვმუშაობდი...

■ ■ ■

**- 20 წელი შესრულდა სეულის თამაშებზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვებიდან. დღეს რას ნიშნავს თქვენთვის ოლიმპიადის ოქროს მედალი?**

- საერთოდ, ოლიმპიადების მხრივ არასოდეს მიმართლებდა. 1984 წელს შესანიშნავი გუნდი გვყავდა, მაგრამ ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, სსრკ-ის ნაკრები ლოს ანჯელესში არ გაემგზავრა. შემდეგ კი, ტრავმების ეპიდემია დაიწყო...

**- ცნობილია, რომ სეულის ოლიმპიადაზე სრულიად შემთხვევით მოხვდით...**

- მართლაც უმძიმესი ტრავმა მქონდა. თითქის წელიწადნახევარი თამაშგარეში ვიყავი. თავიდანვე არ იგეგმებოდა ჩემი სეულში გამოსვლა. გომელსკის ვკითხე: იყო თუ არა ჩემი კორეაში ტურისტად წასვლის შესაძლებლობა? ძალიან მინდოდა ოლიმპიადას დავსწრებოდი. ის დაფიქრდა და მიპასუხა: "სეულში წამოხვალ. და ითამაშებ კიდეც!" მან ეს მტკიცედ გადაწყვიტა. და მართლაც - ვითამაშე, თუმცა, ფაქტობრივად, ცალი ფეხით.

**- ის ოლიმპიადა სსრკ-ს ნაკრებისთვის არც ისე კარგად დაიწყო. თავიდან ჯგუფში იუგოსლავიასთან წააგეთ...**

- სამაგიეროდ, ფინალის წინ, იმავე იუგოსლავიის წინააღმდეგ, გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. ამერიკასთან ნახევარფინალში მივხვდი, რომ ჩვენს გუნდს ველარავინ შეაჩერებდა. მართალია, იუგოსლაველებს დიდი ხანი მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ ასი პროცენტით ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ოქრო ჩვენ დაგვრჩებოდა. გომელსკიმ ჩვენგან ნამდვილი ოჯახი შექმნა. სწორედ მაშინ იწყებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. წარმომიდგენია, რა პოლიტიკურ ზეწოლას უძლებდა მაშინ ჩვენი მწვრთნელი - ნაკრებში ხომ ძალიან ბევრი ლიტველი თამაშობდა?! მაგრამ მან ყველა ჩვენთაგანის დაცვა მოახერხა. სეულის შემდეგ კი, იმდენი შესძლო, რომ მოთამაშეებს საზღვარგარეთ წასვლის და იქ ფულის შოვნის საშუალება მოგვცა... დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გუნდი აღარ იქნება. არსად და არასოდეს. ძალიან შეიცვალა კალათბურთი. ახლა ბევრს რამეს არა პატრიოტიზმი, არამედ ფული წყვეტს. ჩვენ მზად ვიყავით თავი დაგვედო ვარჯიშებზე, გვეთამაშა ნებისმიერი ხარისხის ტრავმით, თუნდაც ამით ზიანი მიგვეყენებინა კარიერისთვის და ინვალიდები დავრჩენილიყავით. დღეს ასეთ გუნდებს ვერ ვხედავ.

**- თქვენ ამბობთ, რომ ის გუნდი ოჯახივით იყო. მაგრამ იმდროინდელი ნაკრები უდიდესი ოსტატებისგან შედგებოდა, რომელთაგანაც სტატისტის როლს არავინ დათანხმდებოდა და ყველას ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია. ასეთი კონკურენცია გუნდში ფსიქოლოგიურ პრობლემებს არ წარმოშობდა?**

- უმჯობესია, ეს კითხვა ხომიჩუსს დაუსვათ (იცინის). "პატარებს" შორის მართლაც უდიდესი კონკურენცია იყო. ძირითადი ცენტრის სტატუსი კი, მე მეკუთვნოდა და თითქოს ეს არავისში იწვევდა ეჭვს.

**- ოთხი წლის წინათ, ათენის ოლიმპიადაზეც შეგეძლოთ თამაში. რატომ არ გამოიყენეთ ეს შანსი? იმ წელიწადს, "ჟალგირისში" გატარებული სეზონის მიხედვით, ნაკრებისთვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეგეძლოთ. და, ალბათ, ლიტვა არ წააგებდა ნახევარფინალს იტალიასთან...**

- მაშინ ტრავმა მქონდა, თანაც ძალიან სერიოზული... ხომ გითხარით, ოლიმპიადებზე არ მიმართლებდა. არასოდეს ყოფილა ისე, საჭირო მომენტში იმდენად ჯანმრთელი მაინც ვყოფილიყავი, რომ ნორმალური ვარჯიშის შესაძლებლობა მქონოდა. სწორედ იმ სეზონში, "ჟალგირისში" თამაშის შემდეგ დავასრულე კარიერა. უკვე მობეზრებული მქონდა ყველაფერი. თეორიულად, კიდევ შემეძლო უმაღლეს დონეზე თამაში. მაგრამ სეზონისთვის მზადება... აღარ შემეძლო თვეების განმავლობაში დამქანცველი შრომის ატანა. ორგანიზმი დასვენებას ითხოვდა. თანაც, ბოლოს და ბოლოს, ოჯახი ჩემგან მეტ ყურადღებას იმსახურებდა.

■ ■ ■

**- ამავე მიზეზით გადაწყვიტეთ, უარი გეთქვათ მწვრთნელის კარიერაზე?**

- დიახ. მწვრთნელი - კიდევ უფრო რთული პროფესიაა. მოთამაშეს ხანდახან ეძლევა კალათბურთისგან დასვენების საშუალება. მწვრთნელს - არასოდეს. კოლოსალური ნერვიული დაძაბულობა, ოჯახის წევრების მიმართ ნული ყურადღება. არა... ეს ჩემი სამუშაო არ არის. თუმცა სპორტულ ფორმას ვინარჩუნებ. სხვანაირად, უბრალოდ, არ შეიძლება. ორგანიზმი მრავალი წლის განმავლობაში შეეჩვია დატვირთვებს. ამიტომაც, კვირაში ერთხელ აუცილებლად ვთამაშობ კალათბურთს მეგობრებთან ერთად.

**- NBA-ში გადასვლისას, გაგიჭირდათ თუ არა ადაპტაცია? ევროპაში საბონისი საკალათბურთო ღმერთი იყო. იქ კი, ამბიციურ, ათლეტურ ბიჭებს "მოხუცისთვის" რაღაცის დამტკიცება სურდათ...**

- ისეთი შეგრძნება არ მქონია, რომ NBA-ში აუცილებლად უნდა მომესინჯა ძალები. უბრალოდ, მადრიდის "რეალში" ფინანსური პრობლემები დაიწყო. "ბარსელონაში" გადასვლა არ მსურდა, არც საბერძნეთში. ვიფიქრე: რატომ არ უნდა წავიდე ამერიკაში? რა თქმა უნდა, მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ NBA-ში შვიდი წლით "ჩავრჩებოდი". იქ ნორმალურად მიმიღეს. არავის მიუცია საკუთარი თავისთვის ისეთი ხუმრობის უფლება, რომელსაც, როგორც წესი, ახალბედებს უწყობენ ხოლმე. რაც არ უნდა იყოს, მათზე დიდი ვიყავი (იცინის). ხანდახან, მწვრთნელები ვარჯიშებზე სულის მოთქმის საშუალებას მაძლევდნენ. ვფიქრობ, ასაკის გამო. მოკლედ, კალათბურთის მხრივ, არანაირი პრობლემა არ შემქმნია. რაც შეეხება ამერიკაში ცხოვრებას, ის მკვეთრად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ევროპაში და მით უმეტეს, სსრკ-ში ვიყავი მიჩვეული.

■ ■ ■

**- ვინ იყო NBA-ში ყველაზე რთული მოწინააღმდეგე?**

- რა თქმა უნდა, შაკილ ო'ნილი. შაკის შესაჩერებლად, მასსავით ჯანმრთელი და ძლიერი უნდა ყოფილიყავი. ერთი ერთზე მისი შეჩერება - არარეალური იყო. არანორმალური გაბარიტების გარდა, ო'ნილი საოცრად მოქნილიც იყო. ასე რომ, მხოლოდ პარტნიორების დახმარების იმედად ვიყავი.

**- საბჭოთა კავშირში ასეთი მოწინააღმდეგე, ალბათ, ტკაჩენკო იყო?**

- დიახ. ნამდვილი ადამიანი-მთა. მის ფონზე მოზარდის შთაბეჭდილებას ვტოვებდი. მასთან შეჯახებისას, მატჩში ათჯერ მაინც ვეცემოდი პარკეტზე. რა თქმა უნდა, საქმეში ჩემი სამსახიობო ნიჭის ჩართვა და ჯარიმების გაფორმება მიწევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ შევაჩერებდი.

**- თქვენს ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა რომ შეგეძლოთ, გამოიყენებდით ამ შესაძლებლობას?**

- ალბათ, არა. ბედს ნამდვილად არ ვუჩივი. ბევრი ტიტული მოვიგე, ბევრი მეგობარი შევიძინე... ერთადერთი, ალბათ, 16 წლისა არ ვითამაშებდი ყველა ასაკის ნაკრებში. ორგანიზმი ჯერ ზრდის პროცესში იყო, მე კი, სამმაგი დატვირთვები მქონდა. როგორც ჩანს, სწორედ იმ პერიოდში "მოვკალი" ჩემი მუხლები, რის გამოც, მთელი ცხოვრება ვიტანჯებოდი. 1984 წლიდან მოყოლებული, უფრო ტრავმებს ვებრძოდი, ვიდრე კალათბურთს ვთამაშობდი. თუმცა ყოველთვის ვცილობდი, მოედანზე გავსულიყავი - იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქ მხოლოდ ხოხვის საშუალება მქონდა. ჩვენ ასე გაგვზარდეს. დიახ, დღეს კალათბურთელები სულ სხვა პირობებში მუშაობენ. სპეციალური სპორტული ფეხსაცმელები, დამცავი საშუალებები... დღეს, საზღვარგარეთ მგზავრობა ჩვეულებრივი ამბავია, და არა ფულის შოვნის საშუალება, როგორც ეს ჩვენს დროს იყო.

**- თავის დროზე, ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ საბონისს "გადაკეთებული" ასაკი აქვს...**

- არა, ყველაფერი პატიოსნადაა. დავიბადე 1964 წელს, როგორც ეს პასპორტში წერია. სხვათა შორის, დრაკონის წელიწადში. იქნებ ამიტომაც ვარ ასეთი დიდი?!

**- რა შეგიძლიათ ურჩიოთ ლიტვის ნაკრებს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე?**

- ოლიმპიადაზე მონაწილეობა - უკვე ზეიმია. ასე რომ, გუნდს, უბრალოდ, წარმატებას ვუსურვებ. შემადგენლობის მიხედვით, ამერიკა სხვებზე უკეთესი გუნდი ჩანს, მაგრამ მისი დამარცხება მაინც შესაძლებელია. თუ ლიტვის ნაკრები საკუთარ თავში დარწმუნებული იქნება, მაღალ ადგილებზე ფიქრი შეეძლება. რა თქმა უნდა, ბევრი რამ სხვადასხვა გარემოებებზე იქნება დამოკიდებული: იღბალზე, ლიდერების ჯანმრთელობაზე...

მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა